



ციბეხანი

№ 144 / ივლისი / 2013

მთავარი თემა:
ხომოხი ისვდება ბიზნეს ბაზარზე?
გვ. 26-45

ფასი 2 ლარი

ISSN 1987-7528



9 771987 752008

ინტერვიუ ბიზნეს ბაზარზე

ხომოხის ჰომოტივიზაცია

ტენიანი ახალი ხომოტივიზაციისთვის

გვ. 22

იოტა iOS-ისთვის



ლიბრალი - ახლა უკვე თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

იპითხე ყველაფერი!

იპითხე კომფორტულად!

www.lit.ge

იოტა iOS-ისთვის საშუალებას გაძლევს მარტივად იპითხოო lit.ge-ს ნიშნები და პერიოდულად თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

პალიკაზიის გადმოსაწერად, თქვენი მონეტარილიდან iTunes-ზე მოქმედებთ „JOTA READER“





ლიბერალი

№ 144 / ივლისი / 2013

მთავარი რედაქტორი

შორენა შავერდაშვილი

აღმასრულებელი რედაქტორი

ნინო ბექიშვილი

რედაქტორები

ლიკა ზაკაშვილი

ირაკლი აბსანძე

ჟურნალისტიკა:

ზურაბ ვარდიაშვილი, თათია ხალიანი, ანი ქანკოტაძე, თინა ყიფშიძე, გიორგი გოგუა, გიორგი ქვიციანი, სოფო აფციაური, ეკა მაღალაძე, ქეთევან ლვედაშვილი

კონტრიბუცია:

ვასო კუჭუხიძე, მანანა ვარდიაშვილი, გიორგი ბუხუჩიძე, დემის პოლანდოვი

რედაქცია:

ფოტო-რედაქტორი

ლევან ხერხეულიძე

გრაფიკული დიზაინი

თორნიკე ლორთქიფანიძე

რედაქტორ-სტილისტი

ნინო ბექიშვილი

კორექტორი

ნათია ორმოცაძე

გამომცემლობა:

ლიბერალი

შორენა შავერდაშვილი

პრინციპალური მენეჯერი:

რუსუდან ბარათაშვილი

პარტნიორებთან ურთიერთობის მენეჯერი:

ირმა მოსულიშვილი

დისტრიბუტორი:

გაგი გელაშვილი

ჟურნალის გამოწერის მსურველები

დაგვიკავშირდით:

mziakublashvili@gmail.com

www.liberali.ge

რედაქტორის სვეტი



„ლიბერალის“ ბექდური ვერსია, მომავალი კვირიდან, საზაფხულო არდადეგებს აცხადებს. ზაფხულში ჟურნალის საცალო გაყიდვები მკვეთრად კლებულობს და ჩვენც გვიკარგავს ღამეების თენების ხალისს იმისათვის, რომ ორშაბათობით ჟურნალი ვიხურობთ იყოს. ჩვენს ბუღალტერიას რომ ახარებს ეს ამბავი, ამაზე აღარაფერს ვამბობ.

სამაგიეროდ, არც ზაფხულში იკლებს ჩვენი ინტერნეტ-აუდიტორია. ბოლო თვეების სტატისტიკით (Google Analytics-ის მიხედვით), ჩვენი მკითხველი ყოველთვიურად 100,000-ზე მეტი ადამიანია. აქ იგულისხმება აუთენტური მკითხველი და არა „კლიკები“. www.liberali.ge-ზე 100,000-მდე ადამიანი კითხულობს ყოველდღიურ ახალ ამბებს, ვრცელ სტატიებს, ინტერვიუებს, კომენტარებსა და ბლოგებს. ჩვენი მულტიმედია პროექტები, ფოტოებისა და ვიდეოების სახით, არანაკლებ პოპულარულია. როგორც ჩვენი კოლეგა და მეგობარი ნინო ზურიაშვილი ხუმრობს, რაც რუსთაველზე გადმოვიდა „ლიბერალის“ რედაქცია, ბევრად უფრო ოპერატიულები გახდითო. მართლაც, 1 მაისის, 17 და 18 მაისის მოვლენებმა ჩვენს თვალწინ ჩაიარა და ამ დღეების მონაცემებით, ჩვენმა აუდიტორიამაც რეკორდულ ციფრებს, დღეში 30,000-მდე მნახველს მიაღწია.


ამიტომ თავად „ლიბერალის“ რედაქცია, რა თქმა უნდა, არ ისვენებს და ონლაინ განაგრძობს ყოველდღიურ, ინტენსიურ მუშაობას როგორც ახალ ამბებზე, ისე სიღრმისეულ სტატიებსა და თვალსაზრისებზე.

სექტემბრიდან „ლიბერალი“ გახსნის ახალ სეზონს და, შესაძლოა, განახლებული ფორმატიც წარმოგიდგინოთ. ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა სარეკლამო ბაზარი, რომელიც არა მარტო მედია-მფლობელების შეფასებით, არამედ „გამჭვირვალობა-საქართველოს“ ანგარიშის მიხედვითაც თავისუფალია პოლიტიკური წინეხისაგან, რაც დამოუკიდებელ მედიას განვითარების პერსპექტივას უჩენს.

თუმცა, ქვეყანაში ზოგადი დაბალი ეკონომიკური მაჩვენებლების გამო, არ გვაქვს იმის ილუზია, რომ „ლიბერალს“ სარეკლამო ბაზარი სრულად დაფარავს. მომავალ წელსაც კვლავ, ნაწილობრივ, საგრანტო შემოსავლებზე ვიქნებით დამოკიდებული. თუმცა, ბოლო თვეების მონაცემებით, მე, როგორც გამომცემელს, მუშაობის ხალისი ნამდვილად დამიბრუნდა. ჩვენს თემატურ ნომრებში სოფლის მეურნეობაზე, ჯანდაცვასა თუ ბიზნესზე რეკლამას თავისუფლად ათავსებენ მსხვილი თუ პატარა, ადგილობრივი თუ საერთაშორისო კომპანიები. ეს კი „ლიბერალის“ ცხოვრებაში სერიოზული გარდატეხაა და დიდი მადლობა ყველას ჩვენთან თანამშრომლობისათვის!

ბედნიერ ზაფხულს გისურვებთ!

სიყვარულით,
შორენა შავერდაშვილი, მთავარი რედაქტორი



შეიძლება თუ არა საბადასახადო პოლიტიკა?

„როგორც ექსპერტები, ასევე თავად ბიზნესმენები ამბობენ, რომ ეს პერიოდი არ არის საკმარისი ახალი საგადასახადო პოლიტიკის შესაფასებლად. არსებითი ცვლილება იქნება, რომ უზრუნველყოფილი იყოს ბიზნესის მაქსიმალური თავისუფლება და ჯანსაღი კონკურენტული გარემო. „ამ პერიოდის განმავლობაში რაიმე ფუნდამენტური ცვლილება ამ სფეროში არ მომხდარა, მაგრამ ბიზნესისთვის მთავარია იყოს თავისუფლება, არ იყოს შეზღუდვები. დანარჩენი უკვე კონკურენციის პირობებში, თავად ბიზნესზე დამოკიდებული. ქვეყანაში არსებული საგადასახადო სისტემა, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ნორმალური და ლიბერალურია. თუმცა არის გარკვეული საკანონმდებლო საკითხები რომლებიც დასახვეწია“, – ამბობს კომპანია „ვისოლის“ დირექტორი ვასილ ხორავა.

▶ **თათია ხალიანი**
33.36

ხომჯინის პოლიტიკა - ტახტი ახალი ხელისუფლებისთვის

„საქართველოს პოლიტიკური მმართველობა იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რის გამოც ჩვენი პროდუქციისთვის რუსეთის ბაზარი ჩაკეტა. შესაბამისად, რუსეთის ბაზარზე ქართული ღვინის დაბრუნება სახელმწიფოს თანამონაწილეობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენაში ჩართული იყო ოთხი მხარე: რუსეთის პოლიტიკური მმართველობა, საქართველოს პოლიტიკური მმართველობა, რუსეთის ბაზარზე მოქმედი იმპორტიორი კომპანიები და ღვინის ქართული კომპანიები. აქედან ორი მხარე – იმპორტიორები და ღვინის კომპანიები ყოველთვის თანახმა ვიყავით ურთიერთობის აღდგენაზე. გადამწვევტი სიტყვა საქართველოს და რუსეთის პოლიტიკურ მმართველობებს უნდა ეთქვას.“

▶ **მანანა ვარდიშვილი**
33.22

პრემიერის ვიზიტი ისრაელში და ქართულ-იზრაელის ურთიერთობის განვითარების შესახებ

24-25 ივნისს საქართველოს დელეგაცია პრემიერ-მინისტრის მეთაურობით ისრაელში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა, რომლის ფარგლებშიც ბიძინა ივანიშვილი ისრაელის პრეზიდენტ შიმონ პერესს, პრემიერ ბენიამინ ნეთანიაჰუსა და ქნესეთის სპიკერ იული ედელშტაინს შეხვდა. მიუხედავად იმისა, რომ ვიზიტამდე რამდენიმე დღით ადრე საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ ებრაულ გამოცემასთან საუბრისას ისრაელთან უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობის აღდგენის აუცი-




ლებლობაზე ისაუბრა, ქართული დელეგაციის წარმომადგენლების განცხადებით, განსახილველ საკითხები ძირითადად სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების გაღრმავებას ეხებოდა.

საქართველოსა და ისრაელს შორის უკანასკნელ წლებში გაცივებული ურთიერთობის ფონზე პრემიერის საკმაოდ დიდი დელეგაციის თანხლებით ვიზიტი ისრაელში ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის აღდგენისთვის გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯად შეიძლება შეფასდეს.

▶ **ვასო კუჭუხიძე**
33.52

მხლოებითი ფეხა - მალაბოთიანი სოფლების ახალი პეისპეჩი


„კერვალიშვილმა რაჭაში ფერმის აშენება 5 წლის წინათ საკუთარი ხარჯებით დაიწყო. „თავიდან დავინწყე ფერმის აშენება, რომ შვეიცარიელები რისკზე წამომეყვანა. მათ ნდობას ძალიან ვუფრთხილდები, რადგან შვეიცარიელების რაჭაში ჩამოყვანა ძალიან ძნელი იყო. რაც არ უნდა ვილაპარაკოთ, საქართველო არასტაბილური ქვეყანაა და აქ ფულის დაბანდება მათთვის რისკებთანაა დაკავშირებული. ბიზნესის აქ კეთება კი არა, ბანკშიც კი არ დებენ ფულს მოგების მაღალი პროცენტის მიუხედავად“, – ამბობს კერვალიშვილი.

 ანი ჭანკოტაძე
03.26

აქორობა

იაფი კრედიტების პროექტი სამი თვის შემდეგ



 მანანა ვარდიაშვილი
03.49

გამოცემალი:

შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი, ჭანტურას ქ. 5. ტელ.: (995 32) 2933627 ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებ-გვერდი: www.liberali.ge

სავა გამოცემალი:

გაზეთი „ლიბერალი“

„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.

ფურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

ბაჭყალი:

შპს „სეზანი“. მისამართი: თბილისი, ნერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.

გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

ნომერი:



ფოტო: ლეონ სარაქულიძე

- 12 **მოკლედ რომ აზრი**
- 14 არსებითად შეიცვალა თუ არა შრომის კოდექსი?
კომენტარი
- 16 რას მოაქვს წარმატება? მდგრადი ეკონომიკური განვითარების 8 გაკვეთილი
მთავარი თემა
- 32 6 მილიარდიანი საინვესტიციო ფონდის მოლოდინში
- 40 წარმეულის დასაბრუნებლად
- 44 ფილანტროპია სოციალური სამართლიანობისა და მშვიდობისთვის
ეკონომიკა
- 46 პირამიდების ხიბლი და ტრაგედია
- 49 იაფი კრედიტების პროექტი სამი თვის შემდეგ
პოლიტიკა
- 52 პრემიერის ვიზიტი ისრაელში და ქართულ-ებრაული ინტერესები
რეგიონი
- 54 „ჩვენ ახალ ტაძრებს ვაშენებთ“
- 56 **ციტატები**



თიბისი ბანკი ბიზნესის მხარდასაჭერად – 7 ნაბიჯი წარმატებისკენ !

თუ თქვენ ფლობთ მცირე ან საშუალო ბიზნესს და მოტივირებული ხართ წარმატებაზე, თიბისი ბანკის ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამა სწორედ თქვენთვისაა. ჩვენს სტატიაში შევეცდებით, მოგიყვით პროექტის შესახებ, რომელიც თიბისი ბანკმა ცოტა ხნის წინ სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად დაიწყო.

„7 ნაბიჯი წარმატებისკენ“ – ასე ჰქვია პროექტს, რომელიც თიბისი ბანკმა თავის სათავო ოფისში წარადგინა და რომელიც თავისი მნიშვნელობითა და შინაარსით უნიკალურია. პირველად ქართული ბიზნესის ისტორიაში, კომერციული ბანკი მცირე და საშუალო ბიზნესს განვითარების ახალ შესაძლებლობებს სთავაზობს. მიზანი, როგორც თიბისი ბანკში გვეუბნებიან, ამ სექტორის გაძლიერება და განვითარებაა.

რატომ მცირე და საშუალო ბიზნესი? რა სირთულებების ან გამოწვევების წინაშე დგას დღეს ეს სექტორი? ამ კითხვით ჩვენ თიბისი ბანკის გენერალურ დირექტორს ვახტანგ ბუცხრიკიძეს მივმართეთ: „მცირე და საშუალო ბიზნესი ქვეყნის ეკონომიკის საყრდენ ძალას წარმოადგენს. ამ სექტორის საქართველოში განვითარების დიდი პერსპექტივა და შესაძლებლობები აქვს. ბიზნეს-სექტორში ქვეყნის მართებით 500 000-მდე ადამიანია დასაქმებული, აქედან მნიშვნელოვანი წილი სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესზე მოდის.

ისტორიულად თიბისი ბანკისთვის მცირე და საშუალო ბიზნესი ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიული მიმართულება იყო. ასევეა დღესაც. დღეისთვის ჩვენ მცირე და საშუალო ბიზნესკომპანიების ძალიან ძლიერი ბაზა გავაჩინა, ვემსახურებით დაახლოებით 43 000-მდე იურიდიულ პირს, რომელთაც ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყნის ეკონომიკის მომავალი დგას სწორედ ამ ბიზნესზე, გვსურს, კიდევ უფრო გავააქტი-

ურთო ჩვენი საქმიანობა ამ მიმართულებით. ვფიქრობ თიბისი ბანკის ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამა ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, რაც ქვეყნისთვის მაკროეკონომიკურად იქნება ძალზე სასარგებლო,“ – აღნიშნავს ვახტანგ ბუცხრიკიძე, ბანკის გენერალური დირექტორი.

გავარკვიეთ, რომ თიბისი ბანკის ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამა წლის ბოლომდე გაგრძელდება და მოიცავს 7 სხვადასხვა კომპონენტს, რომლის ფარგლებშიც მცირე და საშუალო ბიზნესებს სხვადასხვა არაფინანსურ და ტექნოლოგიურ სერვისებს შესთავაზებენ. პროგრამის პირველ საფეხურზე მცირე და საშუალო ბიზნეს ორგანიზაციებისთვის უფასო ტრენინგების ციკლი დაიწყო.

პროგრამის კოორდინატორმა, თამარ ჟიჟილაშვილმა გვითხრა, რომ ტრენინგებზე დასწრების მსურველთა რაოდენობა სულ უფრო მატულობს: „დაახლოებით 300-მა ადამიანმა უკვე გაიარა ტრენინგები და მათივე შთაბეჭდილებებიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ ეს ძალიან დროული და საჭირო ინიციატივა იყო. პროგრამის მეორე კომპონენტი იქნება საგანმანათლებლო ვებ-პლატფორმა, რომელიც ასევე ძალზე საჭირო რესურსი იქნება მცირე და საშუალო ბიზნესისთვის. პროგრამის ფარგლებშივე შედგება თემატური კონფერენციები, რომლებიც მათ გამოცდილების გაზიარებისა და კომუნიკაციის გააქტიურების საშუალებას მისცემს. გარდა ამისა, ჩვენ ვგეგმავთ, შევთავაზოთ სხვადასხვა ტიპის უფასო კონსულტაციები მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს და ბოლოს ჩვენ შევქმნით სპეციალურად მათზე მორგებულ ტექნოლოგიურ სერვისებს, რომლებიც გაუადვილებს მათ თავის ყოველდღიურ საქმიანობას. ეს იქნება ინტერნეტბანკი, მობაილ ბანკი და სმს სერვისის სპეციალურად იურიდიული პირებისთვის.“



პროგრამის პირველი კომპონენტი – უფასო ტრენინგები დაახლოებით 2000-ზე მეტ მსმენელზე გათვლილი. ამ ეტაპზე ტრენინგები სამი მიმართულებით ტარდება: ეს არის ფინანსები, სოციალური მედიის მარკეტინგი და ადამიანური რესურსების მართვა. თამარ შვილაძევილის თქმით, უახლოეს მომავალში ამ მიმართულებებს სხვა, მსმენელთათვის საინტერესო თემები დაემატება.

იმისთვის, რომ უკეთ გავგეგომა პროგრამის პირველი კომპონენტის წარმატება, თიბისი ბანკის ყოფილ სათავე ოფისს, ჭავჭავაძის 11-ში მდებარე ფილიალს ვეწვიეთ. აქ ბანკმა ტრენინგებისთვის სპეციალური სივრცე მოაწყო, სადაც მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს მთელ დღეს უთმობენ და იმ საჭირო უნარ-ჩვევებსა და ცოდნას უზიარებენ, რომელიც მათ თავისი ბიზნესის ეფექტურად მართვაში ეხმარება.

სოციალური მედიის მარკეტინგში ტრენინგებს კომპანია „ლივინგტონის“ კრეატიული დირექტორი და თანადამფუძნებელი ლევან ნეფსვერიძე ატარებს. ლევანის თქმით, მისი კურსის დანიშნულებაა, დაეხმაროს მსმენელს, მოიზიდონ მეტი მომხმარებელი სოციალური მედიის საშუალებით. „იმის გათვალისწინებით, რომ დღეს საზოგადოება ინფორმაციის დიდ ნაწილს სოციალური მედიის საშუალებით იღებს, მარკეტინგული მიზნებისთვის მის გამოყენებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ვცდილობ, ჩემი ტრენინგის ფარგლებში კომპანიების წარმომადგენლებს დავანახო, რომ სოციალური მედიის გამოყენებით მართლაც შეიძლება წარმატების მიღწევა, დანარჩენს თავად გაუძღვებიან“, – ამბობს ლევან ნეფსვერიძე. ისინი, ვინც უკვე ისარგებლეს უფასო ტრენინგით, ბანკის ამ წამოწყებას დადებითად აფასებენ და აცხადებენ, რომ ტრენინგები მათი ბიზნესის განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს: „მინდა, მაღლობა გადავუხადო თიბისი ბანკს ასეთი საინტერესო ინიციატივისთვის. ბევრი რამ მაქვს წაკითხული, მაგრამ ინფორმაცია მივიღე ისეთ საკითხებზე, რომლებიც არ ვიცოდი და რომელსაც, ვფიქრობ, აუცილებლად გამოვიყენებ

ჩემს მომავალ საქმიანობაში“, – ამბობს კომპიუტერული კომპანია „F1“-ის წარმომადგენელი გიორგი ბარბაქაძე.

უფასო ტრენინგების ორგანიზებას თიბისი ბანკი აზიის განვითარების ბანკის (ADB) მხარდაჭერით ახორციელებს. ეს ორგანიზაცია 2007 წლიდან აქტიურად თანამშრომლობს როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორთან საქართველოში. ამჟერად, როგორც ADB-ის საქართველოს ოფისის წარმომადგენელი, კეის ჯულიანი ამბობს, პროექტში მათი ჩართვის მიზანს, საქართველოს კერძო სექტორის გაძლიერება წარმოადგენს.

„მოხარულები ვართ, რომ საშუალება გვაქვს, მხარი დავუჭიროთ თიბისი ბანკის ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამას, რადგან მიგვაჩნია, რომ მსგავსი ინიციატივები ეხმარება ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, რაც საბოლოო ჯამში, მოსახლეობის კეთილდღეობაზე აისახება. მოხარულები ვართ, რომ ამ პროექტის ფარგლებში, მცირე და საშუალო ბიზნესებს ექნებათ შესაძლებლობა შეიძინონ ცოდნა და ის არსებითი უნარები, რომლებიც მათივე ბიზნესების განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. დარწმუნებული ვარ, პროექტი წარმატებული იქნება.“

მათთვის, ვინც უკვე დაინტერესდა თიბისი ბანკის მიერ ორგანიზებული უფასო ტრენინგებით, გეტყვით, რომ დარეგისტრირება შესაძლებელია თიბისი ბანკის სატელეფონო ცენტრის საშუალებით ან ელექტრონულ მისამართზე tbcbusiness@tbcbank.com.ge; ტრენინგზე დასწრების მსურველთათვის აუცილებელი პირობაა, რომ ისინი წარმომადგენდნენ თიბისი ბანკის კლიენტ კომპანიას და იყვნენ გადაწყვეტილების მიმღები პირები: დამფუძნებლები, დირექტორები ან მენეჯერები.

ასე რომ, იჩქარეთ, გამოიყენეთ ყველა ის შესაძლებლობა, რომელსაც თიბისი ბანკი თქვენთვის ბიზნესის წარმატებისთვის ვთავაზობთ. „7 ნაბიჯი წარმატებისკენ“ – ეს არის ახალი შანსი, იყოთ მეტად წარმატებული თქვენს საქმიანობაში.

მსოფლიო ენდობა SICPA-ს



უნიკალური დამცავი საშუალებები, რომელიც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის ფულის ბანკნოტებზე დატანილი, სპეციალური მარკირება თამბაქოს, ალკოჰოლური სასმელებისა თუ ნებისმიერი ბრენდისთვის - უმაღლესი ხარისხის დაცვის მექანიზმებს მსოფლიოს საერთაშორისო კომპანია „სიკპა“ სთავაზობს.

1927 წელს შვეიცარიაში დაარსებული კომპანია ფულადი ნიშნების დამცავი უნიკალური მელნისა და საღებავების წარმოებაზე სპეციალიზდებოდა. დროთა განმავლობაში „სიკპა“ ამ მელნის წამყვანი მწარმოებელი გახდა მსოფლიოში. ევრო, ამერიკული დოლარი და კიდევ უამრავი ვალუტა, მათ შორის ქართული ლარიც, სწორედ „სიკპას“ საღებავების სისტემითაა დაცული.

კომპანიის სათაო ოფისი შვეიცარიაში, ლოზანაში მდებარეობს, ლოზანადან 100 კმ-ის დაშორებით კი ის წარმოა განთავსებული, სადაც მელანი

წარმოება. „სიკპა“ მსოფლიოს 30-მდე ქვეყანაში ფუნქციონირებს და 3000-ზე მეტ თანამშრომელს აერთიანებს.

„სიკპასთან“ თანამშრომლობენ კანადა, ამერიკის შეერთებული შტატები, მექსიკა, ბრაზილია, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, მექსიკა, სამხრეთ აფრიკა, თურქეთი, პოლონეთი, საბერძნეთი და სხვა ათობით ქვეყანა.

გარდა იმისა, რომ მსოფლიოს ფულადი ერთეულების, პრაქტიკულად, აბსოლუტური უმრავლესობა „სიკპას“ დამცავი სისტემით სარგებლობს, ყოველწლიურად „სიკპა“ უზრუნველყოფს 100 მილიარდამდე პროდუქციის კონტროლსაც.

2004 წლიდან კომპანიამ ახალი მიმართულება განავითარა. ეს არის ე.წ. Track and Trace-ის სისტემა, რაც ნებისმიერი პროდუქციის მარკირებასა და მისი კონტროლის მექანიზმებს გულისხმობს. „სიკპას“ მელნით ხდება პროდუქციის მარკირება, მასზე დაიტანება სპეციალური კოდი, შემდეგ ეს კოდი მონაცემთა ბაზაში აისახება და

ამგვარად შესაძლებელი ხდება პროდუქციის ყველა ეტაპზე მონიტორინგი. ფულის დაცვის სისტემის მსგავსად, ამ მიმართულებითაც კომპანიები ქვეყნების მთავრობებთან თანამშრომლობენ. ამ შემთხვევაში მთავარი მიზანია ბაზარზე ალურციხავი პროდუქტი არ მოხვდეს და ინტეგრირებული უსაფრთხოების სისტემა შექმნას. ამის შესაბამისად იზრდება საგადასახადო შემოსავლებიც.

2011 წლის ბოლოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში „სიკპას“ გაიმარჯვა და უკვე 2012 წლიდან თამბაქოსა და ალკოჰოლური სასმელების მარკირებას ახორციელებს. დაცული კოდირების ხაზი დღეს უკვე საქართველოს ყველა დიდ ლუდის ქარხანაშია დამონტაჟებული. სპეციალური დანადგარები საწარმოებში „სიკპას“ დაამონტაჟა. იქვეა მცირე სერვერებიც, რომლებიც მონაცემებს შემოსავლების სამსახურის ცენტრალურ სისტემაში გზავნი.

როდესაც ჩემოსხმული ლუდი, პროდუქცია გაივლის სპეციალურ დანადგართან, მასზე მატრიცული კოდი დაიტანება, სკანერი კი ამ კოდის აქტივაციას ახდენს. ამის შემდეგ თითოეული პროდუქტი უკვე სისტემაშია აღრიცხული. მონაცემთა ბაზაში, რომელიც შემოსავლების სამსახურს ეგზავნება, მითითებულია, რომელი პროდუქტი რა დროს და სად არის წარმოებული.

სავაჭრო ქსელში გასვლის შემდეგ კი საგადასახადო ინსპექტორს შეუძლია სპეციალური აპარატით ნებისმიერი კონკრეტული პროდუქტის წარმომავლობა დაადგინოს. ინსპექტორი გაიგებს არის თუ არა ის ქსელში რეგისტრირებული და მიიღებს ინფორმაციას, კონკრეტული კოდი რომელ პროდუქტზე უნდა იყოს დატანილი. ამგვარად სახელმწიფო თავიდან იცილებს ბაზარზე კონტრაბანდული საქონლის მოხვედრას.

საქართველოში გასაყიდ თამბაქოსაც „სიკპას“ მეთოდით იცავენ. ქაღალდის აქციზურ მარკებზე სპეციალური უხილავი მელნიტ შესაბამისი კოდი დაიტანება. ამ აქციზს მწარმოებელი თამბაქოს ყუთს აკრავს, ბაზარზე გაშ-

ვებამდე კი ააქტიურებს ამ კოდებს. ნებისმიერ ინსპექტორს შემოსწებისას ასევე შეუძლია დაადგინოს, რომ აქციზური მარკა ნამდვილად ლეგალურია და შესაბამისი თანხაც ბიუჯეტში უკვე არის გადახდილი.

სხვადასხვა ქვეყანა „სიკპასთან“ თანამშრომლობის სხვადასხვა დონეს ირჩევს. მაგალითად, ბრაზილიაში ყველანაირი სასმელის მარკირება ხდება, ქვეყანამ უკვე მეორედ გააფორმა კომპანიასთან კონტრაქტი. მაროკოში მინერალური წყლების დამცავი სისტემაცაა შემუშავებული. რაც შეეხება ალბანეთს, იქ ქვეყანა „სიკპას“ დაცვით ფარმაცევტულ ბაზარსაც უზრუნველყოფს. ის, თუ რომელი პროდუქტი იქნება უმაღლესი ხარისხით დაცული, ეს ქვეყნის ხელისუფლებამ და მოკიდებული. ამგვარი მეთოდით შეიძლება იყოს დაცული ყველა სფერო, რომელსაც სახელმწიფო რისკის შემცველად ან პრობლემურად მიიჩნევს.

გარდა სახელმწიფო დაკვეთებისა, „სიკპას“ მუშაობს კონკრეტულ ბრენდებთანაც. ერთ-ერთი საინტერესო პროექტი კომპანიამ ესპანური ღვინოების ასოციაციის დაკვეთით ამ ღვინოს ფალსიფიცირებისგან დასაცავად განახორციელა. ამ შემთხვევაში, არა მარტო სახელმწიფო მოხელეს, არამედ ჩვეულებრივ მომხმარებელსაც შეუძლია ხარისხის დადგენა. სმარტფონის საშუალებით ღვინის ბოთლზე

დაკრული კოდი იგზავნება კონკრეტულ ვებგვერდზე, რომელიც გვიჩვენებს, მართლაც იმ ღვინოს ყიდვას ვაპირებთ თუ არა, რასაც ეტიკეტზე ვხედავთ.

„სიკპას“ ქართული წარმომადგენლობა მუშაობს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთანაც, რათა მოხდეს ქართული ღვინის ექსპორტის მსგავსი დაცვაც. რითაც სახელმწიფოც და მომხმარებელიც ორმაგად დაცულები იქნებიან. ამ სისტემით დაცული ღვინის ფალსიფიცირება კი, პრაქტიკულად, ზუსტად იგივე მექანიზმებს საჭიროებს, რასაც ფულის გაყალბება.

კომპანიის ადგილობრივი წარმომადგენლობა მთლიანად ქართული კადრებითაა დაკომპლექტებული. თხუთმეტმა მაღალკვალიფიციურმა ელექტროინჟინერმა, IT სპეციალისტებმა თუ სხვა კადრებმა, სულ 30-მდე თანამშრომელმა სპეციალური ტრენინგები შვეიცარიაში გაიარა.

„სიკპას“ საქართველოში უკვე 10 მილიონ დოლარზე მეტი ინვესტიცია აქვს განხორციელებული. აქვე არის მოდერნიზებული და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასაწყობო სისტემა. გარდა ამისა, უკვე მიმდინარეობს პროექტი, რომლის განხორციელების შედეგადაც უახლოეს მომავალში „სიკპას“ ქართული წარმომადგენლობა (Sicpa Security Solutions Georgia) მეზობელ ქვეყნებს შორის რეგიონული ცენტრი გახდება.



ბანკი „რესპუბლიკა“ ჯგუფი „სოსიეტე ჟენერალი“ – ბიზნესისთვის სოციალურად პასუხისმგებელი საფინანსო ინსტიტუტი

ბანკი „რესპუბლიკა“ ჯგუფი „სოსიეტე ჟენერალი“ 2012 წელს კლიენტებთან ურთიერთობის ახალ პრინციპზე გადავიდა. „სოსიეტე ჟენერალის“ შემუშავებული გლობალური სტრატეგია ერთიანი გზავნილით – „Building Team Spirit Together – „ერთად შევქმნათ გუნდური სულისკვეთება“ მომხმარებელსა და ბანკს შორის განახლებული ურთიერთობის პრინციპს ეფუძნება.

აღნიშნული გლობალური მესიჯი ქართულ ბაზარზე ადაპტირდა როგორც გზავნილი – „ყოველი ჩვენგანი მნიშვნელოვანია“, ეს კი გულისხმობს, რომ ბანკის თანამშრომლები და მომხმარებლები საერთო მიზნით ერთიან გუნდს ქმნიან, თითოეული მხარის წარმატება კი მეორის წინსვლას განაპირობებს. ამ ახალი მიმართულების ფარგლებში 2013 წელს მცირე და საშუალო ბიზნესი ნომერ პირველ პრიორიტეტად გამოცხადდა.

2012 წლიდან ბანკმა „რესპუბლიკამ“ ჯგუფმა „სოსიეტე ჟენერალმა“ კვირეულების კულტურა დანერგა, რომლის ფარგლებშიც ბანკი კლიენტებს სისტემატურად ხვდება. შეხვედრები უკვე ჩატარდა ფერმერთა ასოციაციის წევრებთან და მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან თბილისსა და ბათუმში.

კვირეულების ფარგლებში ბანკის მენეჯმენტი მოწვეულ სტუმრებთან ერთად ბიზნესის წარმომადგენლებსაც სეგმენტირებულად ხვდება, რათა გაიგოს, გაითვალისწინოს მათი მოთხოვნილებები და აღნიშნულ სეგმენტთან მუშაობის სამოქმედო გეგმა გააცნოს. ამ გეგმის ფარგლებში ბანკში გადახალისდა მცირე და საშუალო ბიზნესსეგმენტზე პასუხისმგებელი გუნდი და გამარტივდა პროცედურები – მომსახურება მაქსიმალურად კლიენტზეა ორიენტირებული.

კვირეულების ფარგლებში ინფორმაციის გაცვლისა და კონსულტაციის მიღების მიზნით ბანკი „რესპუბლიკა“ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის წევრებთან მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლების შეხვედრებს უზრუნველყოფს.

აღნიშნული ორგანიზაციები პერმანენტულად სხვადასხვა სახის ტრენინგებს და საერთაშორისო კონფერენციებს ატარებენ. ბანკი „რესპუბლიკას“ მიერ მოწყობილ შეხვედრებზე ხდება ამომწურავი ინფორმაციის გაცვლა, ყოველივე ეს კი ხელს უწყობს კლიენტების მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. ამით ბანკი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საკუთარ გლობალურ სტრატეგიას, რომ მისთვის მნიშვნელოვანია კლიენტის ბიზნესის სტაბილური, წარმატებული ზრდა.

აღნიშნული კვირეულების პარალელურად ბანკი „რესპუბლიკა“ კორპორატიულ კლიენტებს პერიოდულად საჩუქრად სთავაზობს სხვადასხვა სახის სეგმენტირებულ ტრენინგებს, რომლებსაც სხვადასხვა ბიზნესსფეროს წამყვანი სპეციალისტები უძღვებიან.

ერთ-ერთ ასეთ ტრენინგს – „ბიზნესის ადმინისტრირების მოკლე კურსს“, რომელსაც ბიზნესის სპეციალისტი ირინა კიტიაშვილი უძღვებოდა, მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ირინა კიტიაშვილის თქმით, ბანკი „რესპუბლიკის“ გზავნილი – „ჩვენ ვიძლევით არა მარტო სესხს, არამედ გარკვეულ ცოდნასაც, რათა გავზარდოთ და გავაძლიეროთ თქვენი ეკონომიკური სარგებელი“ – საკმაოდ ეფექტური გამოდგა და საინტერესო გამოხმაურებებიც მოჰყვა.

„ტრენინგი ბიზნესსაფუძვლებს მოიცავდა. თითოეულ შეხვედრაზე გავიარეთ რამდენიმე მოდული, მიზნის ჩამოყალიბებიდან დაწყებული ფინანსური მართვის ელემენტებით დასრულებული. ტრენინგის მონაწილეებს ძალიან საჭირო და მნიშვნელოვანი ტექნიკური უნარ-ჩვევები გავუზიარეთ. ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ შეხვედრის მონაწილეები ერთმანეთს დაუახლოვდნენ და სხვადასხვა ბიზნესპროექტის ერთად წარმოების იდეაზე დაფიქრდნენ“, – ამბობს ირინა კიტიაშვილი.

აღნიშნული ტრენინგის მონაწილე, ერთ-ერთი კომპანიის იმპორტის მენეჯერი ლევან რატიანი იხსენებს, რომ ბანკი „რესპუბლიკის“ ორგანიზებულ საგანმანათლებლო შეხვედრებზე კარგი ატმოსფერო სუფევდა და საჭირო და მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღებაც იყო შესაძლებელი – „ძალიან საინტერესო საუბრები გვქონდა, კარგი ხალხი გავიცანი. ინფორმაცია, რომელიც აქამდეც ვიცოდი სულ სხვა კუთხით დავინახე. რაც მთავარია, ჩემთვის საჭირო ინფორმაცია ეფექტურად და ზუსტი ფორმით იყო მოწოდებული“.

ბანკი „რესპუბლიკა“ ჯგუფი „სოსიეტე ჟენერალი“ განაგრძობს საგანმანათლებლო აქტივობებს. ეს მიმართულება კომპანიის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ბანკი „რესპუბლიკის“ მიზანი თითოეული მომხმარებლის ინტერესებზე მორგება და მათთვის სასარგებლო გადაწყვეტილების მიღებაში დახმარებაა. ბანკი „რესპუბლიკა“ ჯგუფი „სოსიეტე ჟენერალი“ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს კლიენტთან ინდივიდუალურ დამოკიდებულებას, რათა მათ იმ დიდი და ერთიანი გუნდის წევრად იგრძნონ თავი, რომელსაც ბანკთან ერთად ქმნიან – თითოეული მხარის წარმატება მეორის წინსვლას განაპირობებს.

კლიენტებთან ურთიერთობის ახალ პრინციპზე გადასვლის ფორმატში ბანკი „რესპუბლიკის“ მომხმარებლებს საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება აქვს. ბანკი მათთან ერთად განიხილავს მომსახურების/პროდუქტის შესაძლო დახვეწის საკითხებს. ბანკი „რესპუბლიკა“ ჯგუფი „სოსიეტე ჟენერალი“ ურჩევს კლიენტს, თუ როგორ გახდეს responsible loaner და როგორ მოახერხოს რესურსების სწორი მართვა.

ბანსაკუთრებული პირობა

საინვესტიციო ბიზნესის

9,950%^{დან}



მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესისთვის. მხოლოდ ივლისის ბოლომდე უბალი საინვესტიციო ბიზნესისეხსები დოლარში 7 წლამდე ვადით, უპრეცედენტოდ დაბალი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით 9,95%-დან.

ყოველი ჩვენგანი მნიშვნელოვანია

 **ბანკი რესპუბლიკა**
BANK REPUBLIC



290 90 90

* 90 90

BR.GE

ვაჭი სოსიძე შინაარლი



ბიზნესსესიები „პროკრედიტ ბანკისგან“

სამშენებლო კონსტრუქციების მწარმოებელი კომპანია „ბედეგი“ საქართველოსთვის ეკონომიკურად რთულ პერიოდში, 1999 წელს, დაარსდა. კავკასიასა და მთელ პოსტ-საბჭოთა სივრცეში „ბედეგი“ ერთ-ერთი პირველი ფირმა იყო, რომელმაც სამშენებლო ბაზარს თანამედროვე ტექნოლოგიებით დამზადებული უმაღლესი ხარისხის პროდუქცია შესთავაზა. საწყის ეტაპზე მფლობელებს ვერც კი წარმოედგინათ, რომ „ბედეგი“ ასეთი წარმატებული და მასშტაბური ფირმა გახდებოდა. თუმცა რამდენიმე წელიწადში ის უკვე სამშენებლო პროდუქციის მწარმოებელთა შორის ერთ-ერთ ლიდერად ჩამოყალიბდა.

„ამ მასშტაბებზე გასვლა თავდაპირველად გათვლილი არ გვექონდა, მაშინ ეს წარმოუდგენელიც კი იყო. ძალიან ძნელი იყო საწყისი პერიოდი. თუმცა გაგვიმართლა, რომ ქარხანა ქალაქგარეთ, ორხევში ავაშენეთ. ელექტროენერჯის პრობლემა, რომელიც მთელ ქვეყანაში მწვავედ იდგა, ახლომდებარე ჰიდროელექტროსადგურმა მოგვიხსნა. გარდა ამისა საშუალება მოგვცა, რომ მოგვიანებით გავფართოებულიყავით,“ - იხსენებს ბედეგის დამფუძნებელი და დირექტორი კობა ლიპარტელიანი. კომპანიის სტაბილურ განვითარებაზე გავლენა ვერც 2008 წლის კრიზისმა და ომის შემდგომმა ეკონომიკურმა სტრესმა იმოქმედა. გამოწვევებს მათ 2009 წლის დასაწყისში ახალი ქარხნის გახსნით უპასუხეს.

„ბედეგი“ დღესდღეობით 26 სახეობის პროდუქტს - მათ შორის რამდენიმე ტიპის ბლოკს, მოსაპირკეთებელ ფილაქნებს, ქვაფენილებსა და ბორდიურებს აწარმოებს. ეს ჩამონათვალი ყოველწლიურად რამდენიმე ახალი პროდუქტით ივსება.

არსებული დინამიკის გაგრძელების შემთხვევაში კი „ბედეგი“ კიდევ უფრო მასშტაბური პროექტების განხორციელებას აპირებს.

„საკმაოდ ამბიციური გეგმები გვაქვს - ვაპირებთ, რომ სადახლოში ხელახლა ავამუშავოთ კარიერი, რომელიც სსრკ-ის დაშლამდე

საკავშირო დაქვემდებარების იყო. გვინდა ცემენტის მიკროქარხნისა და ბეტონის ქარხნის გახსნა, რომლებიც სუპერთანამედროვე ტექნოლოგიების მქონე დანადგარებით აღიჭურვება,“ - აღნიშნავს კომპანიის დირექტორი.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლე როგორც კომპანიის, ასევე მთლიანად ბაზრისთვის ენერგომშენახველი პროდუქციის საწარმოო ხაზი იქნება, რომელიც ფუნქციონირებას უკვე მიმდინარე წლის ნოემბერში დაიწყებს.

ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებული სიახლე უკვე შესთავაზა მომხმარებელს კიდევ ერთმა წარმატებულმა ქართულმა ბრენდმა „ახალმა ნათებამ.“ თუმცა მანამდე კომპანიამ განვითარების დიდი და საინტერესო გზა განვლო.

ე.წ. „ვაგზლის ბაზრობის“ ერთ-ერთ დახლზე დაწყებული ვაჭრობა დღეს უკვე სოლიდური ბიზნესია და მთელი საქართველოს მასშტაბით 13 მოქმედ მაღაზიას აერთიანებს.

კომპანია 10 წელზე მეტია განათების საშუალებების მწარმოებელ წამყვან ბრენდებთან თანამშრომლობს და მათი პროდუქციის რეალიზაციას თბილისსა და საქართველოს ხუთ ქალაქში (ბათუმში, ქუთაისში, ფოთში, გორსა და მარნეულში) ახდენს. შოურუმებში წარმოდგენილი პროდუქციის 25% უშუალოდ „ახალი ნათების“ შეკვეთით იქმნება და იყიდება.

კომპანიის დირექტორის თქმით, განათების ბაზარზე არსებული ჯანსაღი კონკურენციის მიუხედავად, „ახალი ნათება“ სამომხმარებლო დონეზე ცალსახა ლიდერია.

„კონკურენციას ჩვენ დადებით მოვლენად აღვიქვამთ. რაც უფრო მეტი მოთამაშე იქნება ბაზარზე, მით უფრო აქტუალური და საინტერესო გახდება სფერო. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი კომპანია განათების სამომხმარებლო ბაზრის უპირობო ლიდერია, როგორც მაღაზიათა რაოდენობის, ასევე წარმოდგენილი ფართო



ასორტიმენტის მიხედვით. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მომხმარებელთა ნდობას და პატივისცემას ვერ დავიმსახურებდით და ვერ განვითარდებოდით,“ - აღნიშნავს თემურ არდოტელი, კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი.

„ახალი ნათება“ კვლავაც აგრძელებს მომხმარებლებისათვის სიახლეების შეთავაზებას. გასული წელი კომპანიამ „მწვანე ინოვაციის წლად“ გამოაცხადა. მათ ასორტიმენტში არაერთი პროდუქტია, რომელიც ენერგოეფექტურობასა და ეკოთემატის წინ წამოწევას ემსახურება. ამ მიზნით მათ არაერთი აქცია ჩაატარეს, რომელიც მოსახლეობაში თემისადმი სენსიტიურობისა და ცოდნის დონის ამაღლებას ისახავდა მიზნად.

„ბედებსა“ და „ახალ ნათებას“ - ორ წარმატებულ ქართულ ბრენდს, „პროკრედიტ ბანკთან“ თანამშრომლობის მრავალწლიანი გამოცდილება აერთიანებთ.

„პროკრედიტ ბანკთან თანამშრომლობა 2005 წელს დაიწყო. რაც საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა ჩვენი კომპანიისათვის,“ - აღნიშნავს „ახალი ნათებას“ აღმასრულებელი დირექტორი, - „ჩვენი და ბანკის თანამშრომლობის პერიოდში იყო განსაკუთრებული მომენტი, რომელიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს. 2008 წლის ფინანსური კრიზისისა და აგვისტოს ომის შემდგომ ბანკებმა გააუარესეს უკვე შეთანხმებული პირობები - ზოგ შემთხვევაში გაყინეს საკრედიტო ხაზები, ზოგ შემთხვევაში კი ასწიეს საპროცენტო განაკვეთები „პროკრედიტ ბანკთან“ კი მთელი ეს პერიოდი უმტკივნეულოდ გავიარეთ. სწორედ მაშინ იყო გარდამტეხი მომენტი და ჩვენი ძირითადი პარტნიორი „პროკრედიტ ბანკი“ გახდა.

„როდესაც ენერგოეფექტური ხაზით დავიწყეთ მუშაობა, სულ მალე პროკრედიტ ბანკმა ახალი „ეკო-სესხი“ დაწერა. სასიამოვნო დამთხვევა იყო, რომ ჩვენი და ბანკის ინტერესები გადაიკვეთა. ძალიან კარგი ინიციატივაა ამ მიმართულებით მუშაობა. ენერგოეფექტური მასალების გამოყენება არა მხოლოდ ბუნებისთვისაა უკეთესი, არამედ მომხმარებლისთვისაც სასარგებლოა, სამომავლო ხარჯებს საგრძნობლად ზოგავს. ენერგოეფექტური ხაზი სწორედ

პროკრედიტ ბანკის ეკო-სესხის საშუალებით გავამდიდრეთ, რომელიც, რაც ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია, სტანდარტულ ბიზნეს-სესხებთან შედარებით, შეღავათიანი პირობებით გაიცემა.“

ბანკის განსაკუთრებულად პარტნიორულ ურთიერთობაზე უსვამს ხაზს „ბედების“ გენერალური დირექტორი კობა ლიპარტელიანიც, რომელიც 2003 წლიდან სარგებლობს ბიზნესმრჩევლის მომსახურებითა და ბიზნეს-სესხებით.

„ერთ-ერთი საუკეთესო ბანკია „პროკრედიტი“ ქართულ რეალობაში. მათთან ურთიერთობა მომწონს თუნდაც იმიტომ, რომ ვიცი ის მხოლოდ ბანკია, სხვა ბიზნესს არ ეწევა და ჩემი კონკურენტი არასდროს იქნება. არაერთი ბანკისგან მქონდა შემოთავაზება, რომ მათი კლიენტი გავმხდარიყავი, თუმცა „პროკრედიტთან“ ურთიერთობა ისეთი კომფორტია, რომ სხვა ბანკებთან თანამშრომლობა წარმოუდგენლად მიმაჩნია. ზუსტად ვიცი, რასაც ბიზნეს-მრჩეველი შემომთავაზებს ჩემი ბიზნესისთვის იქნება უკეთესი. ბანკი კარგად ხვდება ჩემს საჭიროებებს, ის ჩემი კარგი ფინანსური პარტნიორია, - ამბობს კობა ლიპარტელიანი.

„პროკრედიტ ბანკის“ ბიზნესგანყოფილების წარმომადგენლის, გიორგი ლომიძის თქმით, სესხები, რომლებსაც ბანკი ბიზნესმენებს სთავაზობს ინდივიდუალურ მიდგომას, მათთან აბსოლუტურად გამჭვირვალე, პატიოსან პარტნიორობასა და მაქსიმალურად კომფორტულ, მათ ბიზნესზე მორგებულ პირობებს გულისხმობს. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი კი კომპეტენტური ბიზნეს-კლიენტთა მრჩევლებისა და კლიენტების თანამშრომლობაა, რაც უმნიშვნელოვანესი საკითხია როგორც ბიზნესების, ასევე თავად ბანკისთვის.



ვითახება ავჯიჯაჟი



ეგვიპტის არმია მზადაა მშვიდობიანი საპროტესტო აქციების გამართვის უფლება უზრუნველყოს. როგორც ეგვიპტელი სამხედრო მაღალჩინოსნები აცხადებენ, პარტია „ძმებ მუსლიმებს“ და მათ მომხრეებს დემონსტრაციების გამართვის საშუალება ექნებათ.

ამის შესახებ ინფორმაცია მას შემდეგ გავრცელდა, რაც განდევნილი პრეზიდენტის, მოჰამედ მურსის პარტიის წევრებმა უარი თქვეს სამხედრო გადატრიალებაში მონაწილე პოლიტიკურ ძალებთან კონსულტაციების გამართვაზე და მიტინგებით დაიმუქრნენ.

პარალალურად, ეგვიპტური მედიის ინფორმაციით არმია უკვე დააკავა მუსლიმთა საძმოს მაღალჩინოსნები. მომხდარს გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უწყების ხელმძღვანელი გამოეხმაურა. ნავი პილას თქმით, განდევნილი პრეზიდენტის პარტიის წევრების მკაცრი დევნა უნდა შეწყდეს. მანვე მოითხოვა, რომ საპროტესტო გამოსვლების მონაწილე ქალების ორგანიზებული გაუპატიურების შემთხვევები გამოიძიონ. ეგვიპტის არმიამ პრეზიდენტი 3 ივლისს გადააყენა, შეერდა ქვეყნის კონსტიტუციის მოქმედება და დაინიშნა დროებითი მმართველი. ამ პოსტზე ეგვიპტის საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე, ადლი მანსური დაინიშნა. ეგვიპტის პირველი ისლამისტი პრეზიდენტი 2012 წლის 30 ივნისს აირჩიეს. ერთნაირი მმართველობის შედგენა მუჰამედ მურსის წინააღმდეგ ტაჰრირის

მოედანზე გამართულ საპროტესტო აქციებზე მილიონობით ადამიანი გამოვიდა.

სტამბოლის სასამართლომ ბუზი ჰაჩის ჩაქონსტრუქციის შეწყვეტა

„ვერონიუსის“ ცნობით, ადმინისტრაციულმა სასამართლომ ყველა ის სადავო პროექტი გააუქმა, რომელიც ტაქსიმის მოედნისა და გეზი პარკის რეკონსტრუქციას ეხებოდა. გამოცემის ინფორმაციით, სასამართლომ ეს გადაწყვეტილება 8 ივნისს მიიღო, თუმცა მის შესახებ ცნობილი მხოლოდ დღეს გახდა.

სტამბოლის ადმინისტრაციული სასამართლოს წარმომადგენლის განცხადებით, ტაქსიმის მოედანზე მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის პროექტის გეგმა სახელმწიფომ უკანონოდ მიიღო. ამ ეტაპისთვის ხელისუფლებას სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება, ან ახალი პროექტის წარდგენის საშუალება აქვს.

სტამბოლში გეზი პარკის რეკონსტრუქციის შეჩერების მოთხოვნით აქციები მასის ბოლოს დაიწყო. მოგვიანებით, დემონსტრაციებმა მთელი თურქეთი მოიცვა და ანტისამთავრობო აქციებში გადაიზარდა. მომიტინგეებსა და პოლიციელებს შორის მომხდარ შეტაკებებს 4 ადამიანი ემსხვერპლა, 8 000 კი - დაშავდა.

ომაჟაჟი ჟაჟიჟი სოჟის ოციჟიჟის ჩაქონით იმაჟიჟა

ჩეჩენ პარტიზანთა ლიდერი დოკუ უმაროვი რუსეთის ტერიტორიაზე საპასუხო ტერაქტებით იმუქრება და მოჯაჟედებს მოუწოდებს რუსეთის მიერ მოკლული კავკასიელების ძვლებზე სოჭის ოლიმპიადის ჩატარება არ დაუშვან.

<http://kavkazcenter.com/>-ის გავრცელებული ინფორმაციით, დოკუ უმაროვმა სპეციალური მიმართვა კავკასიის ემირატის ტერიტორიაზე მშვიდობიანი მოსახლეობის მკვლელობებთან დაკავშირებით გაავრცელა.


მან აღნიშნა, რომ კავკასიის ემირატის სამშვიდობო ინიციატივა რუსეთის ტერიტორიაზე საბრძოლო ოპერაციების შეჩერების შესახებ ოფიციალურმა მოსკოვმა არა როგორც კეთილი ნების შესტი, არამედ როგორც მათი სისუსტე ისე აღიქვა, ამას კი კავკასიაში მუსლიმთა დევნა და მშვიდობიანი მოსახლეობაში მსხვერპლის ზრდა მოჰყვა. <http://kavkazcenter.com/>-ზე გამოქვეყნებული დოკუ უმაროვის ვიდეო-მიმართვა Youtube.com-მა საკუთარი სერვერიდან წაშალა.

გლობალური ინოვაციის ინდექსით 2013 წელს საქართველომ 142 ქვეყანას შორის 73-ე ადგილი დაიკავა

ნინა ნელს საქართველო 75-ე ადგილას იყო. საქართველო ამ მაჩვენებლით სომხეთის შემდეგ (59-ე ადგილი) რეგიონში მეორეა. აზერბაიჯანი გლობალური ინოვაციის ინდექსის მიხედვით 105-ე ადგილასაა. გლობალური ინოვაციის ინდექსი შვიდ კომპონენტს მოიცავს – ინსტიტუციები, ადამიანური კაპიტალი და კვლევები, ინფრასტრუქტურა, ბაზრის განვითარება, ბიზნესის განვითარება, ცოდნა და ტექნოლოგიები, შემოქმედებითი შედეგები. 2013 წლის გლობალური ინოვაციის ინდექსში პირველი ადგილი შეინარჩუნა შვეიცარიამ, მეორე ადგილზეა შვედეთი, მესამეზე – დიდი ბრიტანეთი, მეოთხეზე – ნიდერლანდები, მეხუთეზე კი – აშშ.

საფრანგეთის საფრანგული სამსახური სატელეფონო საუბრებისა და სოციალური ქსელების მეშვეობით ქვეყნის მოქალაქეების შესახებ ინფორმაციას აგროვებს

საფრანგეთის სადაზვერვო სამსახური სატელეფონო საუბრებისა და სოციალური ქსელების მეშვეობით ქვეყნის მოქალაქეების შესახებ ინფორმაციას აგროვებს. ფრანგული გამომცემლობა Le Monde-ს მონაცემებით, საუბარია ამერიკის სადაზვერვო სამსახურის სისტემის “PRISM“-ის იდენტურ პროგრამაზე. ამ პროგრამით საფრანგეთის სპეცსამსახურები სატე-



ლევონო საუბრების ხანგრძლივობისა და ადგილმდებარეობის შესახებ იღებენ ინფორმაციას, აკონტროლებენ ელექტრონული ფოსტას და სოციალურ ქსელ Facebook-ს.

Le Monde-ს ინფორმაციით, მთელი მიღებული ინფორმაცია გიგანტური კომპიუტერის მეხსიერებაში ინახება, რომელიც უსაფრთხოების გენერალური სამმართველოს შენობის სარდაფშია და მასზე წვდომა საფრანგეთის სპეცსამსახურების ყველა დანაყოფს აქვს.

ბოლივია ამაიჩის შაჩთაბაძი შტახაბის საეცროს დახეხით იმაჩაბა

ოფიციალური ლა პასი აშშ-ის საელჩოს დახურვით იმუქრება. ბოლივიის მთავრობის თქმით, აღნიშნული ქმედება პასუხი იქნება ევო მორალესის წინააღმდეგ მიმართულ პროვოკაციაზე.


საქმე 2 ივლისს მომხდარ ინციდენტს ეხება, რა დროსაც მორალესის ავიალაინერს საფრანგეთმა, იტალიამ, პორტუგალიამ და ესპანეთმა საჰაერო სივრცე დაუხურეს. მორალესის თქმით, თვითმფრინავი ავსტრიაში საგანგებოდ მხოლოდ იმის გამო დაეშვა, რომ აშშ-ის ხელისუფლებას თვითმფრინავის ბორტზე ამერიკული პროკურატურის მიერ ძებნილი ედვარდ სნოუდენი ეგულებოდა. ბოლივიის პრეზიდენტის თვითმფრი-

ნავისთვის გადაადგილების შეზღუდვა მოგვიანებით ევროპულმა ქვეყნებმა უარყვეს, პარიზმა კი ლა პასს ბოლში მოუხდა და მომხდარს გაუგებრობა უწოდა. მიუხედავად ამისა, ევო მორალესი ამტკიცებს, რომ მისი ნებართვით ლაინერი ვენაში ავსტრიაში სამართალდამცავებმა გაჩხრიკეს და მხოლოდ მას შემდეგ მისცეს აფრენის საშუალება, რაც ბორტზე სნოუდენი ვერ აღმოაჩინეს. მომხდარის გამო შეშფოთება გამოთქვეს და საგანგებო შეხვედრა გამართეს სამხრეთ ამერიკული ქვეყნების ლიდერებმა. მათ შორის ეკვადორის, არგენტინის და ვენესუელის პრეზიდენტებმა.

30 წლის ედვარდ სნოუდენი, რომელიც შტატების მიერ ჯაშუშობაშია ბრალდებული 23 ივნისიდან მოსკოვის შერემეტიევის აეროპორტში რჩება. თავშესაფრის მოთხოვნით მან 21 ქვეყანას მიმართა, მათგან კი ამ მოთხოვნის განხილვას მხოლოდ რამდენიმე, მათ შორის ბოლივიაც დასთანხმდა.

ჰიოხაბაჩა ნავანისთვის 6-წლიანი პატიმრობის შეფასებას ითხოვს

რუსეთის პროკურატურა ცნობილი რუსი ბლოგერის ალექსეი ნავანისათვის 6-წლიანი პატიმრობას ითხოვს. შესაბამისი შეამდგომლობით პროკურორმა კიროვის რაიონულ სასამართლოს მიმართა.

ბრალდების მხარე ოპოზიციონერს 500 ათასი დოლარის მითვისებაში ადანაშაულებს. პროკურორების მტკიცებით, აღნიშნული თანხა ნავანიმ 2009 წელს სანარმო „კიროვლესის“ დირექტორთან და „ვიატსკის სატყეო მეურნეობის“ გენერალურ დირექტორთან გარიგების შედეგად მიითვისა. ნავანის ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს. სასამართლო პროცესზე პროკურატურის შუამდგომლობას, რომელიც 36 წლის ბლოგერის დაპატიმრების გარდა 1 მილიონი რუბლის ოდენობით ჯარიმის გადახდასაც ითვალისწინებს, მხარი „კიროვლესის“ წარმომადგენელმაც დაუჭირა. ნავანის წინააღმდეგ სასამართლო პროცესის კიროვის სასამართლოში თითქმის ორი თვეა მიმდინარეობს. 36 წლის ბლოგერი, რომელიც პუტინის მთავრობას მწვავედ აკრიტიკებს, მოსკოვის მერის ვადამდელ არჩევნებში გეგმავს მონაწილეობას. გასულ კვირას მისი წინასაარჩევნო პროგრამა გამოქვეყნდა. 



ლიან

ბაქარ ბერიკაშვილი

პოლიტოლოგი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ლექტორი

საქართველოს მოქალაქეებს ბოლო 20 წელია პოსტკომუნისტური ნეოლიბერალური ავტოკრატის და რადიკალურად ინდივიდუალიზირებული საზოგადოების პირობებში უწევთ ცხოვრება.

უკანასკნელი 9 წლის განმავლობაში კი ეს წნეხი განსაკუთრებით გაიზარდა. ამ პირობებში, ბუნებრივია, სახელმწიფოს მიერ მშრომელთა უფლებები და მშრომელთა სოლიდარობა დემონიზირებული და სტიგმატიზირებული იყო, რისი მანიფისტირებაც არა მხოლოდ პოლიტიკურ დისკურსში, არამედ ასევე შრომის კანონთა კოდექსში ხდებოდა.

ახალი პოლიტიკური რეალობის პირობებში, როცა ძალიან ნელა, თუმცა ეტაპობრივად ხდება ნეოლიბერალური წესრიგის დეკონსტრუქცია, ის ცვლილებები, რომელიც ახალ შრომის კოდექსში შევიდა, საქართველოში მშრომელთა უფლებებისა და სოლიდარობის განვითარების პერსპექტივას ქმნის.

რასაკვირველია, წარმოდგენილი შრომის კანონთა კოდექსი არ წარმოადგენს იმ ნარატივს, რომელიც მშრომელთა უფლებებს ისე იცავს, როგორც ეს თანამედროვე ევროპულ საზოგადოებებში ხდება. თუმცა იმ ფონზე, რა წინააღმდეგობასაც ეს ტექსტი რადიკალური საბაზრო მენტალიტეტის მქონე პირებიდან, როგორც პოლიტიკური ასევე ეკონომიკური და სოციო-კულტურული ელიტებიდან წააწყდა, ის ბუნებრივია ერთგვარად პროგრესული საკანონმდებლო ტექსტია.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კოდექსის ის მუხლები, რომელიც გაერთიანების თავისუფლებას ეხება, რაც აძლევს უფლებას მშრომელებს, დაიცვან საკუთარი უფლებები და მოახდინონ ჩაგვრისგან ემანსიპაცია ასეთის არსებობის შემთხვევაში საკუთარი შიდა რესურსების გამოყენებითა და ორგანიზებული მოქმედების საფუძველზე.

შრომის კოდექსის ეს ცვლილება ხელს უწყობს საქართველოში მშრომელთა სოლიდარობის გაზრდას და მშრომელთა გაერთიანებების, როგორც სერიოზული სოციო-პოლიტიკური აქტორის წარმოქმნას. ■



ახსებითად შეისვანა თუ ა

■ შრომის კოდექსის ეს ცვლილება ხელს უწყობს საქართველოში მშრომელთა სოლიდარობის გაზრდას და მშრომელთა გაერთიანებების, როგორც სერიოზული სოციო-პოლიტიკური აქტორის წარმოქმნას.



არა

ლიკა ნიკლაური

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

შრომის კოდექსი შეიცვალა, თუმცა დასაქმებულის უფლებების დაცვის მიმართულებით არსებითი ცვლილებები არ არის. არსებით ცვლილებად შეიძლება გამოიყოს ზეგანაკვეთურ შრომასთან დაკავშირებული წესის ცვლილება. თუ ადრე ზეგანაკვეთური შრომა მხართა შეთანხმებით ნაზღაურდებოდა, მოქმედი რედაქციით ის სავალდებულო წესით უნდა ანაზღაურდეს. ასევე ზეგანაკვეთური სამუშაოს მინიმალური ანაზღაურება ჩვეულებრივ საათობრივ ანაზღაურებაზე მეტი უნდა იყოს.

შრომის კოდექსის ძველ რედაქციაში შრომითი ურთიერთობის განწყვეტის საფუძველი იყო შრომითი ურთიერთობის მოშლა და ზოგადად არ იყო განწერილი ის მიზეზები, რაც შრომითი ხელშეკრულების მოშლის საფუძველი შეიძლება გამხდარიყო. ეს პრობლემებს ქმნიდა. ამჟამინდელ რედაქციაში ამოიღეს მოშლა და სხვა საფუძველები ჩაინერა, რომელიც შრომითი ურთიერთობის განწყვეტის მიზეზი შეიძლება გახდას და ასევე, ჩაამატეს ფრაზა – „სხვა ობიექტური გარემოება“, რაც აბსურდული ხასიათისაა და კონკრეტულ სიტუაციაში შეიძლება ინდივიდუალურად გამოიყენონ.

პრობლემა 37-ე მუხლის ერთ-ერთ ქვეპუნქტშია, სადაც ხელშეკრულების განწყვეტის საფუძველად ჩანერეს ხელშეკრულების და შინაგანანესის პირობის დარღვევა, თუკი პირის მიმართ დისციპლინარული ღონისძიება მოქმედებს, ანუ თუ მას შენიშვნა უკვე მისცეს. მიგვაჩნია, რომ ეს იგივეა, რაც წინა კოდექსში, როდესაც დამსაქმებელს ნებისმიერი წვრილმანის გამო შეეძლო დასაქმებულის სამსახურიდან გაშვება, თუკი ის წლის განმავლობაში განმეორებით დაუშვებდა შეცდომას.

როდესაც დამსაქმებელს წვრილმანი მიზეზის საფუძველზე შეეძლება ადამიანი სამსახურიდან გაათავისუფლოს, ეს სხვა უფლებებსაც აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ, თუნდაც არ აგინაზღაურონ ზეგანაკვეთური შრომა, არ მოგცენ შვებულება, მაგრამ დასაქმებულს ჰქონდეს შიში, რომ თუ ამ უფლებებს გამოიყენებს, დამსაქმებელმა შეიძლება გაათავისუფლოს. ეს რისკი არსებობს. კანონმდებლობაში დასაქმებულის უფლებების დაცვის საკმარისი გარანტიები არ არსებობს.

ძველი რედაქციით არ იყო განწერილი გასაჩივრების ვადები და გამოყენებული იყო სამოქალაქო კოდექსი, რომლის მიხედვითაც გათავისუფლებიდან სამ წელში შეგეძლო გადაწყვეტილების გასაჩივრება. მოქმედ რედაქციაში ეს დრო 30 კალენდარულ დღემდეა შემცირებული.

საბოლოოდ, ჯერ კიდევ არ გვაქვს დახვეწილი შრომის კოდექსი. ჯერ კიდევ არსებობს შანსი, რომ დამსაქმებელმა დასაქმებული იმის გამო გაათავისუფლოს, რომ ის საკუთარი უფლებების დაცვას ცდილობს და ამისთვის ნებისმიერი წვრილმანი დეტალი გამოიყენოს. **■**

ჩა შრომის ხოდასი?

■ საბოლოოდ, ჯერ კიდევ არ გვაქვს დახვეწილი შრომის კოდექსი. ჯერ კიდევ არსებობს შანსი, რომ დამსაქმებელმა დასაქმებული იმის გამო გაათავისუფლოს, რომ ის საკუთარი უფლებების დაცვას ცდილობს და ამისთვის ნებისმიერი წვრილმანი დეტალი გამოიყენოს.

ჩანსი მოქმედების ნაჩვენებია? მდგრადი ეკონომიკური ბუნებრივების 8 ბაზრითი

სტატიაში განიხილება გარდამავალ პერიოდში მყოფი ქვეყნების წარმატებული ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელი რვა პირობა, რომლებიც „წარმატებული ქვეყნების“ სიღრმისეული და შედარებითი შესწავლის საფუძველზე შემუშავებული. ძირითადი საკითხი აქ ის არაა, თუ რა უნდა გააკეთონ ან არ გააკეთონ მთავრობებმა. ძირითადი საკითხი ჩემთვის შემდეგია: რა იყო წარმატების მთავარი საფუძველი და რატომ? დასკვნების გაკეთება ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებული ქვეყნების მაგალითზე შეიძლება.

გიუნტერ ბესლერი, შვეიცარიის ელჩი თბილისში, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ბაზელის უნივერსიტეტის ევროპული საკითხების შესწავლის ინსტიტუტის მონვეული პროფესორი. ამ სტატიაში გამოთქმულია მისი პირადი მოსაზრებები.

ამას წინათ მაღალი დონის გამოჩენილი მოღვაწე-ბისაგან შემდგარმა ჯგუფმა, რომელთა შორის ელენ ჯონსონ სერლიფი და დევიდ კემერონიც არიან, 2015 წლის შემდგომი პერიოდისთვის განვითარების პროგრამული ორიენტაციების შესახებ ანგარიში გამოაქვეყნა სახელწოდებით „ახალი გლობალური პარტნიორობა“ (“გაერო“-ს გამომცემლობა, 2013). ჯგუფის მიზანი მდგრადი განვითარების მეშვეობით უკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრა და ქვეყნების ეროვნული ეკონომიკის გარდაქმნაა. ჯგუფმა ათასწლეულის დეკლარაციას და აქამდე მისი მეშვეობით მიღწეულ მნიშვნელოვან შედეგებს მაღალი შეფასება მისცა, თუმცა იქვე აღინიშნა, რომ მსოფლიომ ათასწლეულის დეკლარაციის მიზნებზე უფრო შორს უნდა გაიხედოს, რადგან მათში ყველაზე ღარიბ და მარგინალიზებულ ადამიანებს საკმარისი ყურადღება არ ეთმობოდა. მიზნებში „არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ რა გამანადგურებელ ზეგავლენას ახდენს განვითარებაზე კონფლიქტები და ძალადობა. არ ყოფილა გათვალისწინებული ჯანსაღი მმართველობითი სისტემებისა და ინსტიტუტების შექმნის აუცილებლობა, რომ კანონის უზენაესობა, სიტყვის თავისუფლება და ღია და ხალხის წინაშე ანგარიშვალდებული მთავრო-

ბების ჩამოყალიბება უზრუნველყოფილი იყოს. არ ყოფილა განხილული არც სამუშაო ადგილების შესაქმნელად აუცილებელი ინკლუზიური ზრდის საკითხები. სერიოზული ნაკლია ისიც, რომ ათასწლეულის განვითარების მიზნებში მდგრადი განვითარების ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი ასპექტებისთვის ადგილი ვერ მოინახა...“ (იხ. Executive Summary).

გამოჩენილი ადამიანების ჯგუფის ხედვებსა და რეკომენდაციებში დაახლოებით ბოლო ათი წლის განმავლობაში დაგროვილი მწარე გამოცდილება ნამდვილად აისახა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ათასწლეულის განვითარების მიზნების წყალობით, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ამჟამად 500 მილიონით ნაკლები ადამიანი ცხოვრობს, ხოლო ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 30%-ით შემცირდა. შეიძლება ასევე ითქვას, რომ ცივი ომის შემდგომ წლებთან შედარებით, შეიარაღებული კონფლიქტებისა და შეტაკებებში დაღუპული ადამიანების რიცხვიც შემცირდა. იმავდროულად, უყურადღებოდ არ უნდა დავგვრჩეს ადამიანის განვითარების საქმეში ბოლო ათი წლის განმავლობაში არსებული ჩრდილოვანი მხარეებიც, როგორცაა, მაგალითად, ნეოლიბერალიზმის

გავრცელება და მარცხი, რასაც შედეგად მზარდი სოციალური მარგინალიზაცია, საზოგადოებაში უთანასწორობის ზრდა, ფართომასშტაბიანი ეკონომიკური დანაშაულებანი, ელიტური კორუფციის ფართოდ გავრცელება, უმუშევრობის მზარდი დონე, უმძიმესი სახელმწიფო ვალეები, გლობალური კრიზისი საფინანსო სექტორში, და ბოლოს, გამანადგურებელი ეკოლოგიური ზიანი და კლიმატური ცვლილებები მოჰყვა. ამასთან, ბოლოს ნახსენები პრობლემა უმნიშვნელო სულაც არ არის.

აღწერილი ამბივალენტური სურათის ფონზე მსურს განვიხილო გარდამავალ პერიოდში მყოფი ქვეყნების წარმატებული ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელი რვა პირობა, რომლებიც „წარმატებული ქვეყნების“ სიღრმისეული და შედარებითი შესწავლის საფუძველზეა შემუშავებული. ძირითადი საკითხი აქ ის არაა, თუ რა უნდა გააკეთონ ან არ გააკეთონ მთავრობებმა. ძირითადი საკითხი ჩემთვის შემდეგია: რა იყო წარმატების მთავარი საფუძველი და რატომ? დასკვნების გაკეთება ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებული ქვეყნების მაგალითზე შეიძლება. მათ შორისაა ევროკავშირის რამდენიმე ახალი წევრი, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის „ვეფხვები“ (მაგალითად, სამხრეთი კორეა და ტაივანი), აფრიკის ზოგიერთი ქვეყანა, რომლებიც განვითარების გზას ბოლო დროს დაადგა (მაგალითად, განა) და გარკვეულწილად BRIC-ის ქვეყნებიც (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი):

1 ზრდას განვითარების გარეშე მივყავართ მოდერნიზაციისკენ დემოკრატიზაციის გარეშე. გარდამავალ ეტაპზე მყოფ ქვეყნებს ეკონომიკური ზრდა ნამდვილად სჭირდებათ და ეს ზრდა საკმაოდ სწრაფიც უნდა იყოს. ზრდის საფუძველი ინფრასტრუქტურის, საფინანსო სექტორისა და ტექნოლოგიური კაპიტალის მოდერნიზაციაა, თუმცა ეს ყველაფერი არ არის. გრძელვადიან პერსპექტივაში, ზრდისა და მოდერნიზაციისათვის ზემოთქმულზე ბევრად მეტია საჭირო. აუცილებელია სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და მომსახურების სფეროების დაბალანსებული და

■ აუცილებელია სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და მომსახურების სფეროების დაბალანსებული და ერთდროული განვითარება, რაც სიცოცხლისუნარიანი სახელმწიფო ინსტიტუტების, მმართველობის გამართული სისტემისა და განათლებული სამუშაო ძალის პირობებში უნდა მოხდეს. ეკონომიკური, ეკოლოგიური, საზოგადოებრივი და პოლიტიკური სფეროების სტრუქტურული განონასწორებულობა მდგრადი განვითარების წინაპირობაცაა და ამოცანაც.

ერთდროული განვითარება, რაც სიცოცხლისუნარიანი სახელმწიფო ინსტიტუტების, მმართველობის გამართული სისტემისა და განათლებული სამუშაო ძალის პირობებში უნდა მოხდეს. ეკონომიკური, ეკოლოგიური, საზოგადოებრივი და პოლიტიკური სფეროების სტრუქტურული განონასწორებულობა მდგრადი განვითარების წინაპირობაცაა და ამოცანაც. ამ რთული ქსოვილის ფონზე, ქვეყნის ძლიერების განზოგადებული მაჩვენებლის მხოლოდ რაოდენობრივი განზომილებების საფუძველზე დადგენა ნამდვილად სარისკოა. თვით ეს რიცხვი არ გვიჩვენებს, რომ ქვეყნის ძლიერების განზოგადებული მაჩვენებელი შეიძლება ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავებული და საკმაოდ არაპროდუქტიული ზრდის მაჩვენებლებისგან შედგებოდეს, როგორცაა, მაგალითად, ბუნებრივი კატაკლიზმების, სარემონტო სამუშაოების, სახელმწიფოს არაჯანსაღი ჩარევისა და ადგილობრივ ეკონომიკასთან არავითარი კავშირის არმქონე პრესტიჟული საქმიანობის დროს განეული ხარჯები. ისტორიიდან ცნობილია ასევე, რომ არაციკლური სამხედრო ხარჯების გამო შეიძლება სანარმოო სექტორისთვის აუცილებელი ინოვაციები დაიბლოკოს.

2 მეარი ეკონომიკური განვითარება სასოფლო-სამეურნეო სექტორით იწყება. ნებისმიერ ქვეყანაში ინდუსტრიალიზაცია სოფლის მეურნეობის სექტორში ნაყოფიერების ზრდას ეფუძნება, რასაც, ზოგ შემთხვევაში, არაგანახლებადი ბუნებრივი რესურსების გამოყენებაც ემატება. სოფლის მეურნეობის ნაყოფიერების ზრდის გარეშე კონკრეტული ეკონომიკა ადგილობრივი მუშახელის დასასაქმებლად, სოფლის და სუბრეგიონული მომსახურებისა და სავაჭრო ცენტრების შესაქმნელად ან სოფლის მეურნეობის, მომსახურებისა და მრეწველობის სფეროებს შორის სიცოცხლისუნარიანი კავშირის დასამყარებლად აუცილებელ რესურსებს ვერ აწარმოებს. სოფლის მეურნეობა ქვეყნის გრძელვადიან განვითარებას უყრის საფუძველს და მას საქონლის იმპორტზე, უცხოურ ვალებზე და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე ნაკლებად დამოკიდებულს ხდის. სოფლის

განვითარების გარეშე დიდი მრეწველობისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის უპირატესობის მინიჭებას შრომის ნაყოფიერების კრიზისამდე და უმუშევრობის ზრდამდე მიყვავართ, რასაც შედეგად საზოგადოების გახლეჩა და ავტორიტარიზმისკენ მიდრეკილი რეჟიმების ჩამოყალიბება მოჰყვება. იმისთვის, რომ „ქალაქებისადმი გადაჭარბებული ყურადღება“ გადაილახოს და „სოფლის გაღარიბება“, უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი ტრადიციებისა და ქვეყნის ძლიერი მხარეებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით „სანარმოო ღირებულებების“ წარმოებაზე ყურადღების გამახვილებას, ვიდრე უბრალოდ საქონლისა და კაპიტალის იმპორტს.

3 პროდუქტიული შიდა ბაზრის შექმნა მასობრივი მოხმარების შედარებით მარტივი საქონლის წარმოებით იწყება და არა მაღალგანვითარებული ტექნოპარკების შექმნით. ინდუსტრიალიზაცია და მომსახურების მინოდება ნამდვილად შეიძლება სასოფლო-სამეურნეო სექტორის განვითარებასთან ერთად მოხდეს, თუმცა სოფლის მეურნეობაზე შეჩერება არ ღირს. არის საქონლისა და სანარმოო ღირებულებების მთელი წყება, რომლებსაც წარმოების სფეროში სოფლის მეურნეობას, მრეწველობასა და მომსახურების სფეროს შორის ურთიერთდამოკიდებულების გაღრმავება და გარკვეულწილად იმპორტის ჩანაცვლება შეუძლიათ. განვითარებულ სოფელში, კვების პროდუქტების წარმოებასთან ერთად, თანამედროვე სანყოფემა და მაცივრები და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაც არის, ინარმოება ასევე ხელსაწყოები, მანქანები და მოწყობილობა მოდერნიზებული სოფლის მეურნეობისთვის. რა საჭიროა, ძვირადღირებული და ძვირად მანქანების იმპორტი, თუ ისინი ნიადაგის დეგრადაციას უწყობს ხელს, როცა შეიძლება მცირე და საშუალო ფერმერული მეურნეობებისათვის ადგილობრივ პირობებზე მორგებული მანქანების წარმოება? ამასთან, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა სოფლად ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ურბანულ ცენტრებში.

4 მცირე უთანასწორობა მიწის, შემოსავლებისა და კაპიტალის განაწილებაში სუბეროვნულ დონეზე ჯანსაღ ეკონომიკურ კონკურენციას უწყობს ხელს. ისინი, ვინც დიდი და მზარდი უთანასწორობის წი-

ნალმდე ილაშქრებდა, დიდი ხნის განმავლობაში „თანასწორობაზე“ ამახვილებდნენ ყურადღებას, როგორც ნორმატიულ საზოგადოებრივ კონცეფციაზე, თუმცა ცნობილია, რომ აბსოლუტური თანასწორობა მსოფლიოში არსად და არასოდეს დამყარებულა. კომუნისტურ 70 წლის შემდეგ იმიტომაც დაეცა, რომ თანასწორობის დამყარებასთან ახლოსაც ვერ მივიდა, სამაგიეროდ ჩამოყალიბდა ნომენკლატურა, რომელიც რეპრესიული მეთოდებით მართულ საყოველთაო სიღარიბის სისტემაზე მაღლა იდგა. ემპირიული კვლევები გვიჩვენებს, რომ გარკვეული დონის უთანასწორობა შეიძლება განვითარების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, გამოგონებებისა და ინოვაციების მასტიმულირებელი გახდეს. ის უფრო კერძო ინიციატივებისა და ჩართულობის მასტიმულირებელია, ვიდრე სოციალური პროტესტებისა და უიმედობის. შემოსავლების, საკუთრების, მიწის რესურსების განაწილებასა და სხვა საკითხებში უთანასწორობის იმ დონის დადგენა, რომელიც სასარგებლო იქნებოდა საზოგადოებისთვის, ადგილობრივი კულტურის, საზოგადოების სტრუქტურისა და მმართველობითი სისტემის გამართულობის გათვალისწინებით უნდა მოხდეს. იმ დონის უთანასწორობის თავიდან აცილება, რომელიც პოლარიზაციასა და საზოგადოების გახლეჩას გამოიწვევდა, მმართველობის გამართული სისტემისა და სოციალურად მგრძობიარე საკითხების გადაწყვეტაში მთავრობის გონივრული ჩარევის მეშვეობით უნდა ხდებოდეს.

5 მდგრადი განვითარებისთვის გადამწყვეტია ადამიანური რესურსებისა და ცოდნის მობილიზაცია. ამგვარი მობილიზაცია მრავალმხრივ განვითარებულ და დეცენტრალიზებულ საგანმანათლებლო სისტემას უნდა ეფუძნებოდეს. ამ სისტემის ნაწილი შეიძლება იყოს სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტები, ტექნიკური სასწავლებლები, პროფესიული მომზადების ცენტრები და კონკრეტულ სამუშაო ადგილებზე მორგებული სპეციალური მოსამზადებელი კურსები და საგანმანათლებლო პროგრამები. გრძელვადიან პერსპექტივაში ინოვაციური რესურსების მობილიზაცია, შრომის ნაყოფიერების ზრდა, ახალი შესაძლებლობების აღმოჩენა, ბუნებრივი რესურსების დაზოგვა და დაბალანსებული ეროვნული ეკონომიკისა და საერთაშორისო ეკონომიკაში ინტეგრაციის უზრუნველყოფა სწორედ „გონებრივი კაპიტალის“ მეშვეობით ხდება. გონებრივი კაპიტალის მდგრად

განვითარებას ტრადიციულიდან თანამედროვე და სოციალურად დიფერენცირებული საზოგადოების ჩამოყალიბებამდე მივყავართ. განათლებული თანამედროვე ადამიანი განათლების გაგრძელების საჭიროებას გრძნობს, მეტი შემოსავლის მიღების სურვილი აქვს და პოლიტიკაში (ორგანიზაციებში, სამოქალაქო საზოგადოებაში, ასოციაციებში) მონაწილეობის მიღებაც უნდა. ყველაფერი ეს ერთად დემოკრატიული განვითარების მამოძრავებელი ძალაა.

6 სხვა ქვეყნებთან ვაჭრობასა და ექსპორტზე ორიენტაცია (თავიდან მცირე მასშტაბებით) ადგილობრივ წარმოებასა და განაწილების სისტემას აძლიერებს. გარდამავალ პერიოდში მყოფი ქვეყნებისთვის განსაკუთრებით დამანგრეველი ორი სტრატეგია აღმოჩნდა: ა) უცხოური ინვესტიციებისა და საქონლისთვის ადგილობრივი ეკონომიკის სრული გახსნა; ბ) ადგილობრივი ეკონომიკის სრული დახურვა (ავტარქია). ეკონომიკური ინტეგრაცია არც ქვეყნის საზღვარზე მაღალი კედლის აშენებას გულისხმობს და არც ასეთი კედლის სრულ არარსებობას. რეცეპტი ამ შემთხვევაში კარგად მოფიქრებული შერჩევითი ზომების ნაზავია, რომელიც ეკონომიკის ახლადწარმოქმნილ სექტორებს დაიცავს, განვითარებულ სექტორებს კი საექსპორტოდ მიმართავს. უკვე დადგენილია, რომ პროტექციონიზმი მსოფლიო ბაზრისთვის და, შესაბამისად, ეროვნული ეკონომიკისთვისაც დამლუბველია. მიუხედავად ამისა, წარმატებული მთავრობები მთელს მსოფლიოში ახალი წარმოებებისა და სექტორებისთვის გარდამავალ დაცვით მექანიზმებს იყენებენ. ეროვნული ეკონომიკის განვითარების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ზომებისა და ქმედებების წყება (საბაჟოები, სუბსიდიები, მარეგულირებელი მექანიზმები, ნამახალისებელი ზომები, გადასახადებისაგან განთავისუფლება და ა. შ.). მიუხედავად ამისა, ეკონომიკის ახლადწარმოქმნილი სექტორები სახელმწი-

ფოს შეუსაბამო ჩარევის ან ისეთი ზომების შედეგად არ უნდა ზარალდებოდეს, რომლებიც მოუქნელია, ვითარებას არ მიესადაგება და დროთა განმავლობაში ვერ გაუქმდება.

■ სოფლის განვითარების გარეშე დიდი მრეწველობისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის უპირატესობის მინიჭებას შრომის ნაყოფიერების კრიზისამდე და უმუშევრობის ზრდამდე მივყავართ, რასაც შედეგად საზოგადოების გახლეჩა და ავტორიტარიზმისკენ მიდრეკილი რეჟიმების ჩამოყალიბება მოჰყვება. იმისთვის, რომ „ქალაქებისადმი გადაჭარბებული ყურადღება“ გადაიღახოს და „სოფლის გაღარიბება“, უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი ტრადიციებისა და ქვეყნის ძლიერი მხარეებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით „საწარმოო ღირებულებების“ წარმოებაზე ყურადღების გამახვილებას, ვიდრე უბრალოდ საქონლისა და კაპიტალის იმპორტს.

7 სოციალურად ექსკლუზიური მოდერნიზაცია იმ ელიტების რეპრესიულ რეაქციას ინვესტს, რომლებიც ფართომასშტაბიანი განვითარების გარეშე უზრუნველყოფილი ზრდის შედეგებით სარგებლობს. ბედის ირონია ისაა, რომ მოდერნიზაცია სახელმწიფოს ინტენსიურ ანტილიბერალურ ჩარევას გულისხმობს, რაც იმავდროულად ანტიდემოკრატიულ ზენოლასა და მოსახლეობის უმრავლესობის გარიყვას ინვესტს. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია ამჟამად მთელ მსოფლიოში ორმოც მყიფე სახელმწიფოს ითვლის. ამ ქვეყნებს საერთაშორისო თანამეგობრობის განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება, რომ გაძლიერდნენ და მდგომარეობა კიდევ უფრო არ დაუმიძიმდეთ. როგორც ნესი, ამ ქვეყნებში არსებულ პრობლემებს სხვადასხვა მიზეზი აქვს. სპექტრი დიდია და შეიძლება სოფლის მეურნეობის ჩავარდნით, ბუნებრივი რესურსების მეტისმეტად ინტენსიური გამოყენებითა და სუსტი ეკონომიკით იწყებოდეს და სოციალური და ეთნიკური დაპირისპირებით ან შეტაკებებით, პოლიტიკური მოძრაობების რადიკალიზაციით, კრიმინალების ან ტერორისტების ძალადობითა და უმოქმედო სახელმწიფო ინსტიტუტებით მთავრდებოდეს. მყიფე სახელმწიფოების ეს ჯგუფი გვიჩვენებს, თუ რა უშლის ხელს მდგრად განვითარებას, მასში ხალხის ფართო მონაწილეობასა და სოციალურ მობილიზაციას.

8 გარდამავალ პერიოდში რეგიონული განვითარება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მსოფლიო ბაზრებზე გასვლა. ეკონომიკის ახალი და სუსტად განვითარებული სექტორების აღმოცენების შემთხვე-

ვაში, წარმატებული ქვეყნები, თავდაპირველად, რეგიონულ ინტეგრაციაზე იწყებდნენ ზრუნვას, მსოფლიო ბაზარზე კონკურენციას კი მოგვიანებით ცდილობდნენ. ფაქტია, რომ გარდამავალ პერიოდში მყოფი და ახლადწარმოქმნილი ქვეყნებისთვის წარმოებისა და ინოვაციების სექტორში ნიშის პოვნა ადვილი არაა. ისინი უნდა შევიდნენ ბაზრებზე, რომლებიც გაჯერებული ჯერ არ არის. მათ მსოფლიო ბაზარზე უკვე გაბატონებული მაღალი წარმადობის მქონე კომპანიებთან უნვეთ შეჯიბრება. როგორც ჩანს, დიდია იმის შანსი, რომ გზის გამკვალავი ინფრასტრუქტურაში (ბინათმშენებლობაში), ენერჯეტიკასა და კომუნიკაციებში ეკოლოგიურად მგრძობიარე ინვესტიციები გახდება. შესაბამისად, ყველა სფეროში მწვანე ტექნოლოგიების განვითარებამ და განახლებადი რესურსების ფრთხილმა გამოყენებამ სამომავლო განვითარებაში შეიძლება მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს. უფრო მეტიც, ყოველ ახალ სახელმწიფოს ალბათ ერთი-ორი ისეთი სექტორი სჭირდება, რომელიც ეკონომიკის სფეროში ნდობის ჩამოყალიბებასა და საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებაში ფლაგმანის როლს შეასრულებდა.

დიდი მასალა მოიპოვება იმის დასადასტურებლად, რომ გარდამავალ პერიოდში ეკონომიკის განვითარების მხრივ წარმატებულმა ქვეყნებმა ეს რვა პირობა სათანადოდ გაითვალისწინეს. ცხადია, სრულყოფილი არაფერია და ზემოხსენებული ქვეყნებიდან ზოგიერთს სერიოზული პრობლემები შეიძლება ამჟამადაც აწუხებდეს. არც იმის გარანტია არსებობს, რომ წარმატებული მთავრობები ყველაფერს სწორად გააკეთებენ. მიუხედავად ამისა, პოლიტიკური ორიენტაცია და სტრატეგიები ზოგადად მნიშვნელოვანია. „წარმატებული ქვეყნების“ მაგალითები გვასწავლის, რომ დემოკრატია და ეკონომიკა მუდმივ ურთიერთკავშირშია. ეკონომიკის მოდერნიზაცია განვითარების გარეშე დემოკრატიის განვითარებასა და საზოგადოების ინტეგრაციას აფერხებს. დემოკრატიზაციას ეკონომიკური განვითარების გარეშე ასევე ხილული ზღვარი აქვს. ის ვალებისა და პრობლემების „სოციალიზაციას“ იწვევს.

ზემოთხსენებული ანგარიში ერთგვარად ასრულებს

**■ „წარმატებული ქვეყნების“
მაგალითები გვასწავლის, რომ
დემოკრატია და ეკონომიკა
მუდმივ ურთიერთკავშირშია.
ეკონომიკის მოდერნიზაცია გან-
ვითარების გარეშე დემოკრატიის
განვითარებასა და საზოგადოების
ინტეგრაციას აფერხებს. დე-
მოკრატიზაციას ეკონომიკური
განვითარების გარეშე ასევე ხილ-
ული ზღვარი აქვს. ის ვალებისა და
პრობლემების „სოციალიზაციას“
იწვევს.**

ბს დიდი ხნის დებატებს, რომლებშიც მონაწილეობას უამრავი მეცნიერი იღებდა და რომელიც სამხრეთის ქვეყნების დეკოლონიზაციისა და ევროპაში ცივი ომის დასრულების შემდეგ დაიწყო. ძირითადი საკითხი ყოველთვის ერთი იყო: რით უნდა დავიწყოთ, დემოკრატიით თუ განვითარებით? გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ „უპარტიო სისტემაზე“ დაფუძნებული „განვითარებადი სახელმწიფოს“ აფრიკული მოდელი უბრალოდ კატასტროფით დამთავრდა (გენოციდი რუანდაში 1994 წელს). „მოდერნიზაციული სახელმწიფო“ მზარდი სამთავრობო ხარჯებით, ფინანსური სექტორის ყველფითა და შრომის ნაყოფიერების ვარდნით კიდევ ერთი მოდელია, რომელიც ცოტა ხნის წინ უზარმაზარ პრობლემებს შეეჯახა (ერთ-ერთი ასეთი მაგალითი საბერძნეთია).

ზემოხსენებული მაგალითების ფონზე, ამ ანგარიშმა ისევე, როგორც ათასწლეულის განვითარების მიზნებმა, მდგრადი განვითარების, სოციალური ჩართულობისა და დემოკრატიული მშვიდობის დამყარებისაკენ ერთი დიდი ნაბიჯის გადადგმის საშუალება გარკვეულწილად უკვე გააჩინა. იმ ხუთ დიდ ტრანსფორმაციულ ძვრაში, რომელსაც ჯგუფი გეთავაზობს, სინამდვილეში ახალი არაფერია და ეს ყველაფერი კარგადაა ცნობილი, ყველ შემთხვევაში, განვითარების დარგში მომუშავე ექსპერტებისთვის მაინც. თუ მსოფლიოს გამოჩენილი ლიდერები და დემოკრატიული მთავრობები ამ საკითხებს სერიოზულად მიუდგებიან, პარადიგმის ცვლილება ნამდვილად შეიძლება მოხდეს. პოლიტიკური პროგრამა შემდეგია: 1) დაუშვებელია მარგინალიზაცია; 2) ყურადღების ცენტრში მდგრადი განვითარება უნდა იყოს; 3) ეკონომიკის ტრანსფორმაცია სამუშაო ადგილების შექმნისა და ინკლუზიური განვითარებისთვის უნდა ხდებოდეს; 4) ყველასათვის უნდა დამყარდეს მშვიდობა და შეიქმნას ეფექტური, ღია და ანგარიშვალდებული ინსტიტუციები; 5) უნდა ჩამოყალიბდეს ახალი გლობალური პარტნიორობა. მოდით, გავხედოთ პარტნიორობის, რომ ამ პროგრამის განხორციელება დღესვე დავიწყოთ. ■

სტატია პირველად გამოქვეყნდა გაზეთ „მესინჯერში“, ინგლისურ ენაზე

რძის პროდუქტები
მთელი ქვეყნისთვის!



"სანტე" ლიდერობის 16 წელი

თექვსმეტი წელია „სანტე“ ქართველ მომხმარებელს თანამედროვე ტექნოლოგიებით დამზადებულ რძის ნატურალურ პროდუქტებს სთავაზობს.

კომპანია საბჭოთა პერიოდის საწარმო - „თბილრძეზე“ დაფუძნდა და 1997 წლის შემდეგ, შეძლო ქართულ ბაზარზე ლიდერის პოზიცია დაეკავებინა.

„სანტეს“ გენერალური დირექტორის მოადგილის, ერეკლე გამყრელიძის თქმით, კომპანია 1997 წლიდან ორ ძირითად მარკენებელზე - პროდუქტის მაღალ ხარისხსა და მის ხელმწიფადობაზე ამახვილებს ყურადღებას.

კომპანია თავდაპირველად მხოლოდ მანონსა და არაუანს აწარმოებდა. დღეს კი მომხმარებელს დაახლოებით 100-მდე დასახელების რძის ნაწარმს სთავაზობს: „კომპანია ამყობს, რომ ამ წლების განმავლობაში შეძლო რამდენიმე მიმართულებით განვითარებულიყო და მომხმარებლისთვის მრავალფეროვანი პროდუქცია შეეთავაზებინა, - აცხადებს ერეკლე გამყრელიძე და აღნიშნავს, რომ ამიერკავკასიის მასშტაბით „სანტე“ პირველი კომპანიაა, რომელმაც ისეთი საერთაშორისო კონტროლის სისტემები დანერგა, როგორცაა ISO და HACCP-ი.

2008-2010 წლებში კომპანიამ თავის საწარმოში ამერიკული სამთავრობო ორგანიზაცია OPIC-ის მეშვეობით, 10 მილიონის ინვესტიცია განახორციელა, რის შემდეგაც „სანტემ“ თავისი საწარმო სრულიად გადააიარაღა, თანამედროვე და მოწინავე ტექნოლოგიებით აღჭურვა.

გარდა ამისა, „სანტე“ მთელი საქართველოს მასშტაბით ნატურალური რძის ყველაზე მსხვილი შემგროვებელი კომპანიაა.

საწარმოს ქვეყნის მასშტაბით დაახლოებით 15 რძის შემგროვებელი პუნქტი აქვს და მათი საშუალებით ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში ყოველდღიურად 2000 - მდე ოჯახი გარკვეულ შემოსავალს იღებს.

გენერალური დირექტორის მოადგილე აღნიშნავს, რომ ეს არის დიდი სოციალური პროექტი, რადგან პროდუქტის გაყიდვიდან შემოსული თანხის დიდი ნაწილი, ისევ გლეხს უბრუნდება. მას კი საშუალება ეძლევა, ნატურალური რძის რეალიზება მოახდინოს: „შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ერთგვარი ხიდი მომხმარებელსა და გლეხს შორის. გლეხს ვცხმობთ, რომ ნატურალური პროდუქტის რეალიზება მოახერხოს, მომხმარებელი კი სამაგიეროდ,

ნატურალურ და სუფთა პროდუქციას იღებს“, - ამბობს ერეკლე გამყრელიძე.

დღესდღეობით „სანტეს“ პროდუქციის ყიდვა საქართველოს ნებისმიერ ნაწილში, სხვადასხვა პატარა სოფელსა და მაღალმთიან რეგიონებშია შესაძლებელი: „ეს არის მართლაც სახალხო პროდუქცია, რომელიც თავის მომხმარებელზე მთელი ქვეყნის მასშტაბით ზრუნავს“, - ამბობს გამყრელიძე.

კომპანიას რამდენიმე გამორჩეული ბრენდირებული პროდუქცია აქვს.

2011 წლიდან ბაზარზე დიდი პოპულარობით სარგებლობს „სანტისიმო“ - ეს არის პირველი ქართული დესერტების ბრენდი რძის პროდუქტების კატეგორიაში, რომელიც წარმოადგენს უნიკალური პროდუქციის ნაერთს და მაქსიმალურადაა მორგებული მომხმარებლის გემოვნებაზე.

სანტეს კიდევ ერთი გამორჩეული ბრენდია „სანტინო“, რომელიც ბაზარზე დაახლოებით 2 წელია გამოჩნდა და მომხმარებლის მხრიდან განსაკუთრებული მოთხოვნით სარგებლობს.

„აღნიშნულ ბრენდზე კომპანია დიდ იმედებს ამყარებს, იგი ერთადერთი რძის პროდუქტების ბრენდია, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, მხოლოდ ნატურალური და უმაღლესი ხარისხის რძისგან მზადდება“.

კომპანია ასევე, დიდ იმედებს ამყარებს 2012 წელს შექმნილ ყველის ბრენდზე. „სანებო“ პირველი ქართული ბრენდირებული ყველია, რომელიც შეფუთული სახით იყიდება: „ეს არის თანამედროვეობისა და ტრადიციულობის კარგი სინთეზი. დიდი იმედი გვაქვს, რომ მომხმარებელი აქტიურად დაიწყებს მის მოხმარებას და ბაზარზე დიდ გარღვევას მოგახერხებთ“, - ამბობს ერეკლე გამყრელიძე.

დღესდღეობით საწარმოში დაახლოებით 500 თანამშრომელი მუშაობს. ერეკლე გამყრელიძის თქმით, სწორედ ამ ადამიანების დამსახურებაა დღეს „სანტეს“ წარმატება და პროდუქციის მაღალი ხარისხი.

კომპანია ინოვაციებით მომხმარებელს მომავალშიც გაანებიერებს. სანტე მუდმივად ზრუნავს იმაზე, რომ პროდუქცია სასარგებლოდთან ერთად გემრიელი იყოს. სამომავლოდ კი შესაძლოა კომპანია „სანტემ“ საკუთარი გამოცდილება საერთაშორისო ბაზარსაც შესთავაზოს.



ფოტო: ლევან სარაძე

ხთვანის ჰოლიტიხა - ტესტი ახალი ხაინსუფცაბისთვის

ინტერვიუ „თბილღვინოს“ გენერალურ დირექტორთან, გიორგი მარგველაშვილთან

ღვინის მწარმოებელი მსხვილი კომპანიები რთველისთვის ემზადება. „რთველი – 2013“ მძიმე ტესტი იქნება როგორც ემბარგოს გადარჩენილი დარგისთვის, ისე ახალი ხელისუფლებისთვის, რომელიც მუდმივად ბიზნესის სახელმწიფო ზენოლისგან გათავისუფლებაზე საუბრობს.

პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, რომ საქართველოში ბიზნესგარემო შეიცვალა. კონკრეტულად თქვენთვის რა შეიცვალა ბიზნესგარემოში?
რაც შეიცვალა ბიზნესგარემოში, ეს არის თავისუფლების ხარისხი. ბიზნესმენები თავისუფლად გამოთქვამენ საკუთარ აზრს მათთვის მტკივნეულ საკითხებზე. წინა ხელისუფლების დროს აზრის გამოთქმის თავისუფლების ხარისხი ნაკლები იყო. თუმცა უშუალოდ ჩვენი

დარგის წარმომადგენლებს ხელისუფლებასთან დიალოგში აზრის გამოთქმის პრობლემა არასოდეს გვექონდა. შესაძლოა, არ ვასაჯაროებდით ამ თემებს და ამ პრობლემებზე ღიად არ ვსაუბრობდით ჟურნალისტებთან, მაგრამ ვსაუბრობდით ხელისუფლებასთან.
ხელისუფლების მხრიდან ზენოლაზე ღიად თქვენ პირველად გასულ წელს ალაპარაკდით, მაშინ, როცა საპარლამენტო არ-

ჩვენები დასრულდა და ბიძინა ივანიშვილი ბიზნესმენებს შეხვდა. თუმცა ეს თემა მაშინ ფართოდ არ გაშლილა. რაში გამოიხატებოდა ზენოლა?
მეღვინეობის სექტორში ძალიან მაღალი იყო სახელმწიფოს ჩართულობა. ჩვენი მთავარი პრობლემა იყო რთველის ჩატარების პოლიტიკა. სახელმწიფოს მიერ შექმნილი კომპანიების მეშვეობით სახელმწიფო მონაწილეობდა რთველში: ისინი ყიდულობდნენ ყურძენს ყველაზე

დიდი რაოდენობით და, შესაბამისად, ფასსაც ისინი ადგენდნენ. შედეგად, ჩვენ ვიხილავთ ყურძენში არარეალურ და არასამართლიან ფასს. ყურძნის დეფიციტის პირობებშიც კი რქანითელის ყველაზე მაღალი ფასი 40 თეთრი იყო. შარშან, როცა ყურძნის უხვი მოსავალი მოვიდა, 1 კგ რქანითელი 1 ლარი ღირდა. ეს არაადეკვატური ფასია.

რამდენადაც მახსოვს, კიდევ ერთი პრობლემა ის იყო, რომ სახელმწიფოს მიერ შექმნილი კომპანია – „გრუზინპრომი“, რომელიც არასამეწარმეო იურიდიული პირია და რომლის 100% ამჟამად სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ეკუთვნის, ღვინის წარმოების დაწყებისთვის ემზადებოდა.

ასეთი ინიციატივა ნამდვილად იყო. გეგმის მიხედვით, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული შპს „გრუზინპრომი“ ღვინის მწარმოებელი სრულფასოვანი კომპანია უნდა გამხდარიყო. როცა გავიგეთ, რომ სახელმწიფო იქნებოდა ჩვენი კონკურენტი არა მარტო ყურძნის შესყიდვის დროს, არამედ საბოლოო პროდუქციის რეალიზაციის დროსაც, ამან ძალიან შეგვაშფოთა.

პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, რომ ეკონომიკის მართვის მეთოდები შეიცვალა. შეიცვალა თუ არა ხელისუფლების რთველის პოლიტიკა? როგორ ჩატარდება წლევეანდელი რთველი და ხომ არ ფიქრობთ, რომ საპრეზიდენტო არჩევნების გამო ყურძენს წელსაც პოლიტიკური ფასი ექნება?

იმედი მაქვს, რომ ყურძნის ფასს ბაზარი დაადგენს და წლევეანდელ რთველში სახელმწიფოს ჩართულობა მხოლოდ ქარბი პროდუქციის შესყიდვით შემოიფარგლება. კვლავ აქტიუალურია სახელმწიფოს მმართველობაში არსებული ღვინის ქარხნების მომავალი ბედი და სტრატეგია. ჩვენ გვინდა მონაწილეობა მივიღოთ იმ გეგმის ჩამოყალიბებაში, სადაც ამ ქარხნების შემდგომი როლი და ფუნქციები განისაზღვრება. შეიცვლება თუ არა ხელისუფლების სართველო პოლიტიკა,

ეს რთველის დროს გამოჩნდება. ღვინის მწარმოებელთა ასოციაციამ სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარკვეული რეკომენდაციებით უკვე მიმართა.

რას გულისმობს თქვენი რეკომენდაციები?

სულ რამდენიმე პრინციპია. პირველი მათგანი რთველის დაწყების თარიღს ეხება. რთველი უნდა დაიწყოს მაშინ, როცა ყურძენი ტექნიკურად სიმწიფეში შევა და არა მაშინ, როცა ამას ხელისუფლება გადაწყვეტს. 2. სახელმწიფო ქარხნებმა თავიდანვე არ უნდა დაიწყონ ყურძნის შესყიდვა და კომერციულ კომპანიებს გონივრული ვადა უნდა მისცენ მარაგების შესავსებად. 3. ყურძნის ფასი ბაზარმა უნდა დაარეგულიროს. 4. ადგილწარმოშობის ისეთ ზონებში, როგორებიცაა ქინძმარაული, მუკუზანი და ა. შ. სახელმწიფოს ჩართულობა მიზანშეწონილი არ არის, რადგან ამ ზონებში წარმოებულ ყურძენზე მოთხოვნა მინიჭდება აჭარბებს. ჩვენ გვქონდა პარადოქსული შემთხვევები, როცა ყურძნის ქარბმოსავლიანობის დროს ადგილწარმოშობის გარკვეულ ზონებში ყურძენი დეფიციტი იყო, რადგან მას სახელმწიფო კომპანიები ყიდულობდნენ. 5. ღვინის კომპანიებს უნდა ჰქონდეთ უფლება, ყურძენი იყიდონ როგორც წვრილი, ისე მსხვილი ფერმერისგან. აქამდე მსხვილი ფერმერებისგან პროდუქციის ყიდვის უფლება არ გვქონდა. ხელისუფლება ამ რეკომენდაციებს თუ გაითვალისწინებს, რთველი ღირსეულად ჩაივლის.

რა ცვლილებებს ელოდით ახალი ხელისუფლებისგან და გამართლდა თუ არა თქვენი მოლოდინი?

ბევრი რამე რთველის დროს გადაწყვეტა. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ ჩაივლის წლევეანდელი რთველი და რა როლს შეასრულებს სახელმწიფო ყურძნის ფასწარმოქმნის პროცესში. ცვლილება, რომელიც თვალსაჩინო და ხელშესახებია, არის რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობების სრულფასოვანი აღდგენა.

ხელისუფლების დახმარების გარეშე შესაძლებელი იყო თუ არა ქართული ღვინის რუსულ ბაზარზე დაბრუნება?

საქართველოს პოლიტიკური მმართველობა იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რის გამოც ჩვენი პროდუქციისთვის რუსეთის ბაზარი ჩაიკეტა. შესაბამისად, რუსეთის ბაზარზე ქართული ღვინის დაბრუნება სახელმწიფოს თანამონაწილეობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენაში ჩართული იყო ოთხი მხარე: რუსეთის პოლიტიკური მმართველობა, საქართველოს პოლიტიკური მმართველობა, რუსეთის ბაზარზე მოქმედი იმპორტიორი კომპანიები და ღვინის ქართული კომპანიები. აქედან ორი მხარე – იმპორტიორები და ღვინის კომპანიები ყოველთვის თანახმა ვიყავით ურთიერთობის აღდგენაზე. გადამწყვეტი სიტყვა საქართველოს და რუსეთის პოლიტიკურ მმართველობებს უნდა ეთქვას.

საქართველოს პოლიტიკური მმართველობა „ზედაზენის“ და „ნატახტარის“ პროდუქციის რუსეთის ბაზარზე შესვლის წინააღმდეგი არ იყო...

კი, იყო პროდუქტები, რომლებიც რუსულ ბაზარზე შედიოდა. ამის შესახებ გადაწყვეტილებას რუსული მხარე იღებდა. 2012 წლის დასაწყისიდან მოყოლებული, რუსული მხარე მუდმივად აცხადებდა, რომ საქართველოსთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენისთვის მზად იყო. პროდუქციის იმ ჩამონათვალში, რომელსაც რუსული მხარე ასახელებდა, იყო ლიმონათი და, შესაბამისად, ამ კომპანიების ნაწარმი რუსეთში შევიდა. რაც შეეხება ღვინოს, მას რუსეთი ყოველთვის განსაკუთრებულ ჭრილში განიხილავდა. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ველოდით საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკურ გადაწყვეტილებას. საქართველოს წინა ხელისუფლებამ მაღალი რისკის გამო ქართული ღვინის რუსულ ბაზარზე დაბრუნების გადაწყვეტილება ვერ მიიღო.

ეს როგორ უნდა გავიგოთ: ხელისუფლება ზრუნავდა იმაზე, რომ ღვინის კომპანიებს ზედმეტი რისკი არ აეღოთ საკუთარ თავზე და სულ არ ადარდებდა ის, რომ ზუსტად იგივე დონით რისკავდა ხელისუფლებასთან დაახლოებული ბიზნესმენების ჯგუფი, რომელთაც ლუდსახარში „ზედაზენი“ შექმნეს და სანარმოს შექმნიდან სულ ცოტა ხანში რუსეთის ბაზარზეც შევიდნენ. თუ რუსეთში მათთვის სარისკო არაფერი იყო?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მიჭირს. ეს ჩემთვისაც გაუგებარი იყო. ეს კითხვა ალბათ, წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს უნდა დაუსვათ.

რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობა ალდგა, მაგრამ ამ პროცესის თანმდევი პოლიტიკური და ეკონომიკური რისკები არ გამქრალა. როცა რუსეთის სანიტარული სამსახურის უფროსმა, გენადი ონიშენკომ ქართულ ღვინოზე ემბარგო დააწესა, რუსეთში ქართული ღვინის დიდი პარტიები გაანადგურეს, რის გამოც მწარმოებლებს დიდი ზარალი მიაღდათ. მსგავსი რისკისგან თავის დაცვის მექანიზმი თუ ჩადეთ იმ ხელშეკრულებებში, რომლებიც რუსულ იმპორტიორ კომპანიებთან ახლა გააფორმეთ?

რა თქმა უნდა, ასეთი რისკები ისევ არსებობს. მიუხედავად ამისა, რუსეთის ბაზრის მიმზიდველობა იმდენად მაღალია, რომ ამ შესაძლებლობის არგამოყენება არ შეიძლებოდა. რისკები რომ ისევ არსებობს, სწორედ ამიტომ გავაფორმეთ ხელშეკრულება სამ სხვადასხვა იმპორტიორ კომპანიასთან და ამით რისკების დივერსიფიცირება მოვახდინეთ. თავდაცვის მექანიზმი ხელშეკრულებაშიც ჩავდეთ. ჩვენს პარტნიორებთან გაფორმებული ხელშეკრულებით, ჩვენ წინასწარ გადახდას ვითხოვთ. ასეთი რეჟიმი ერთი წლის განმავლობაში გაგრძელდება. იმ შემთხვევაში, თუ ერთი წლის შემდეგ საკრედიტო პირობებზე გადავალთ, იქაც დავალიანების მაქსიმალური დასაშვები ოდენობა განსაზღვრული იქნება.

როდის შევა „თბილღვინოს“ პროდუქცია

რუსულ ბაზარზე და რა საფასო სემგენცს დაიკავებს ის?

ჩვენი პროდუქციის პირველი პარტია რუსეთში ივლისის ბოლოს გადაიტვირთება, მაღაზიების დახლებზე კი ალბათ, აგვისტოს ბოლოს, ან სექტემბერში გამოჩნდება. პროდუქციის საბოლოო ფასს რუსული მხარე განსაზღვრავს. საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, თაროზე განთავსებული პროდუქციის ფასი ქარხნულ ფასს სამჯერ აღემატება. ქართული ღვინის, მათ შორის ჩვენი ღვინოების საშუალო ფასი 3-3,5 აშშ დოლარია. შესაბამისად, რუსეთის მაღაზიის დახლებზე ქართული ღვინის ფასი დაახლოებით 10-11 აშშ დოლარი იქნება.

რა ც შეიცვალა ბიზნესგარემოში, ეს არის თავისუფლების ხარისხი. ბიზნესმენები თავისუფლად გამოთქვამენ საკუთარ აზრს მათთვის მტკივნეულ საკითხებზე. წინა ხელისუფლების დროს აზრის გამოთქმის თავისუფლების ხარისხი ნაკლები იყო.

„თბილღვინოს“ ექსპორტის რა ნაწილს დაიკავებს რუსული ბაზარი?


რუსეთის მხრიდან მოთხოვნა ძალიან დიდია. მაგრამ არ გვინდა რომ რუსეთის ბაზარზე ისეთივე ჭარბი დამოკიდებულება შეიქმნას, როგორც ემბარგომდე არსებობდა. რუსულ ბაზარზე ჩვენი ექსპორტის 25%-ზე მეტს ალბათ, არ გავიტანთ.

ჩრება შთაბეჭდილება, რომ წელს მთელი აქცენტი გადავიდა რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენაზე და სხვა ბაზრებს ნაკლები ყურადღება ექცევა. ამერიკის, აზიისა და ევროპის ქვეყნების ბაზრებზე

ქართული ღვინის ცნობადობის და პოპულარიზაციის გაზრდის მიზნით რა კეთდება?

ვერ ვიტყვი, რომ ახლა ამ მიმართულებით იმაზე ნაკლები კეთდება, ვიდრე წინა ხელისუფლების დროს კეთდებოდა. წინა ხელისუფლების მხრიდან ამ მხრივ ცოტა ნამდვილად არ კეთდებოდა. ყოველ წელს რამდენიმე საერთაშორისო გამოფენაში ვმონაწილეობდით. დიუსელდორფის და ლონდონის გამოფენებში წელსაც მივიღეთ მონაწილეობა. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ქართული ღვინის პოპულარიზაციის საქმეში ყოფილი ხელისუფლება ჩვენს აზრს სიღრმისეულად არ ითვალისწინებდა. ხშირად გარკვეულ ღონისძიებებზე, რომელთა თანამდამფინანსებლები ჩვენ ვიყავით, საჭიროზე ბევრად მეტი ფული იხარჯებოდა.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში არაერთხელ იყო მცდელობა, რომ ქართული მეღვინეობის კონცეფცია და დარგის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია შექმნილიყო. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ რა შეიცვალა ამ მიმართულებით, დარგის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია ამჟამად გაქვთ?

დიახ, მსოფლიო ბანკის დახმარებით საქართველოს მთავრობამ მეღვინეობის ეროვნული სტრატეგიის შექმნაზე ტენდერი გამოაცხადა. ტენდერში ერთ-ერთმა ამერიკულმა კომპანიამ გაიმარჯვა და ქართული მეღვინეობის განვითარების გეგმა, დარგში არსებული მდგომარეობის ანალიზი და ახალ ბაზრებზე მოქმედების სტრატეგია წარმოადგინა. სტრატეგია არსებობდა, მაგრამ მხოლოდ ფურცელზე და მას არავინ იყენებდა. ის, რაც ეწერა ამ სტრატეგიაში და ის, რაც კეთდებოდა ქვეყანაში ბოლო ორი წლის განმავლობაში, ერთმანეთთან საერთოდ არ იყო თანხვედრაში. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დარგის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის შექმნაზე საუბარი დაიწყო. თუმცა, ახალი სტრატეგია ჯერ ისევ არ არსებობს. 

ესაუბრა მანანა ვარლიაშვილი

FlyGeorgia
The world awaits you

თბილისი-ბრიუსელი-თბილისი



ორი გზა
400
ლარიდან

www.flygeorgia.com
☎ + (995) 32 2 71 00 00



ფოტო: ვიქტორია ბოგაშვილი

ჩაპოხტაუი

შახლობათის ფაქმა - მალაბოთიანი სოფლები ახალი ჰახსჰაქსიჰა

მეხუთე წელია ონის რაიონის სოფელ შარდომეთში შვეიცარიულ-ქართული მესაქონლეობის ფერმა ფუნქციონირებს. ფერმა, სადაც 31-მდე ადგილობრივი მცხოვრებია დასაქმებული, მიმდებარე სოფლების დაცლას აფერხებს. ფერმის მფლობელებს მიაჩნიათ, რომ შარდომეთის ფერმა მაღალმთიანი რეგიონების ეკონომიკური განვითარების მაგალითად შეიძლება იქცეს.

ანი ჭანკოტაძე



საქონელს იალადებზე და ფერმაშიც კონსტრუქტორები შეთვალყურებენ. ფერმის დამფუძნებელს პრინციპულ საკითხად მიაჩნია, რომ ეს პერსონალი კონსტრუქტორად იწოდებოდეს და არა მწყემსად, რაკი კონსტრუქტორების საქმიანობა ჯოგის გადარეკვით არ შემოიფარგლება და ისინი ნაწილობრივ ფლობენ ვეტერინარიულ და აგრონომიულ ცოდნასაც.

სანამ ონის რაიონის სოფელ შარდომეთა-მდე მიხვალთ, გზად დაცლილ ან ნახევრად დაცლილ რაჭის სოფლებს გაივლით. კანტიკუნტად შეგხვდებათ სხვა მანქანები და გზის პირას ჩადგმული პატარა, თითქმის ცარიელი სავაჭრო ჯიხურები. ამ ფონზე შარდომეთის მეძროხეობის ფერმა განსხვავებულ შთაბეჭდილებას ტოვებს. თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ფერმის შენობების, დეკორატიული მცენარეებით გაფორმებული ადმინისტრაციული ნაგებობისა და უნიფორმებში გამოწყობილი პერსონალის დანახვისას

იფიქრებთ, რომ რომელიმე მაღალგანვითარებული აგროკულტურის ქვეყანაში იმყოფებით.

ფერმის ფუნქციური ნაგებობები რიონის პირასაა აშენებული. საქონლის სადგომის ყავისფერი სახურავებით გადახურული და შემინული ორი მოგრძო შენობის გარდა ფერმის ეზოშივეა დიდი, ჰაერგამჭოლი სათივე, ტრაქტორებისა და სხვა ტექნიკის სადგომი ნაგებობა, ახალაშენებული სასადილო მომუშავე პერსონალისთვის და ადმინისტრაციული შენობა, რომლის მეორე სართულზეც ფერმაში ჩამოსული სტუმრებისთვის სპეციალური ნომრებია განთავსებული.

ფერმის პერსონალი დირექტორის, ბუღალტრის, ყარაულის, ელექტრიკოსის, მზარეულის, დამლაგებლის, ორიოდე ვეტერინარისა და რამდენიმე ინსტრუქტორისგან შედგება. სულ ფერმაში 31-მდე თანამშრომელი მუშაობს, რომლებიც სამუშაოდ მეზობელი სოფლებიდან და ონიდან დადის. ონის რაიონში დასაქმების ადმინისტრაციული ცენტრების და მცირე სამშენებლო საწარმოს გარდა, შარდომეთის ფერმა დასაქმების ერთადერთი ადგილია. როგორც ფერმის დირექტორი, როსტომ კერვალიშვილი ამბობს, ფერმაში საშუალო ხელფასი 870 ლარია.

შარდომეთის მეძროხეობის ფერმა ქართულ-შვეიცარიული კომპანიას - „ბლაუნშტეინ საქართველოს“ ეკუთნის. მისი დამფუძნებლები ირაკლი კერვალიშვილი და მისი შვეიცარიული პარტნიორი, მაქს ბლაუნშტეინია.

კერვალიშვილმა რაჭაში ფერმის აშენება 5 წლის წინათ საკუთარი ხარჯებით დაიწყო. „თავიდან მე დავიწყე ფერმის აშენება, რომ შვეიცარიელები რისკზე წამომეყვანა. მათ ნდობას ძალიან ვუფრთხილდები, რადგან შვეიცარიელების რაჭაში ჩამოყვანა ძალიან ძნელი იყო. რაც არ უნდა ვილაპარაკოთ, საქართველო არასტაბილური ქვეყანაა და აქ ფულის დაბანდება მათთვის რისკებთანაა დაკავშირებული. ბიზნესის აქ კეთება კი არა, ბანკშიც კი არ დებენ ფულს მოგების მაღალი პროცენტის მიუხედავად“, – ამბობს კერვალიშვილი.

მაქს ბლაუნშტეინი შვეიცარიაში საკუთარი კომპანიისა და ფინანსური ჯგუფის მმართველია. „ფინანსურ ჯგუფში, რომელსაც ჩემი პარტნიორი მართავს, მონეული ჰყავს იქაუ-

■ „ბოლო წლებში ამკარა გახდა, რომ რალაცა უნდა გავაკეთოთ რაჭაში, თორემ საშინელი მასშტაბის მიგრაციაა. კაციშვილი აღარაა დარჩენილი. რაჭაში რომ სექტემბრის ბოლოდან ნახვიდეთ, ონამდე ისე ჩახვალთ, რომ გზაში ერთი კაცი არ შეგხვდებათ. ერთი-ორი ნათურა თუ ბუუტავს პატარა ჯიხურში. ამ დროს რაჭა საშინელებათა ფილმებში ნანახ მოჩვენებების სასაფლაოებს ემსგავსება“, – ამბობს კერვალიშვილი.

ფერმის შენობები იმგვარადაა მოწყობილი, რომ ზამთრობით საქონელს ჯოგურად დგომა შეეძლოს. ფერმერების თქმით, ასეთი მეთოდი ცხოველებს ერთად ყოფნას აჩვევს და ზაფხულობით, მათი გადარეკვის დროს პრობლემები აღარ იქმნება.



ფოტო: ირაკლი ბერიძე

რი ინვესტორები. შვეიცარიაში კომპანიების უმეტესობა სწორედ ამითაა დაკავებული, რომ ხალხი ფულს დებს, კომპანია ამ ფულს მომგებიანად აბანდებს და შემდეგ დივიდენდებს მათ უკან უბრუნებს. სწორედ ამიტომ, ფულის დაბანდებისას დიდ სიფრთხილეს იჩენენ, – ამბობს ფერმის დამფუძნებელი.

ფერმის აშენებამდე შვეიცარიელი სპეციალისტები რაჭაში, დაახლოებით, წელიწადნახევრის განმავლობაში იკვლევდნენ კლიმატურ გარემოს, ნიადაგს, ბალახის საფარსა და გავრცელებულ დაავადებებს. ამის შემდეგ კი ადგილობრივი საქონლის ჯიშის გაუმჯობესება დაიწყო. შვეიცარიელმა ვეტერინარებმა ადგილობრივი ჯიშის ძროხები შვეიცარიულ ჯიშთან შეაჯვარეს.

შარდომეთის ფერმა მესოციტე ჯიშების მოშენებასა და სახორცე მეურნეობაზეა ორიენტირებული. ამჟამად ფერმაში 300 სულამდე საქონელია. ინსტრუქტორი ალექსანდრე ნარიძე იხსენებს, რომ თავდაპირველად, ადგილობრივ ძროხებს, რინოსა და კეის ჯიშებთან აჯვარებდნენ, თუმცა რაკი ეს ჯიშები ტანად უფრო დიდაა, ვიდრე მათი გენეტიკური ნათესავი ადგილობრივი ჯიშები, ნაყოფის დიდი ზომის გამო, ძროხებს მშობიარობა ურთულდებადათ. ამჟამად ადგილობრივი ჯიშის გასაუმჯობესებლად შვიცისა და სემენტალის

ჯიშების გენეტიკურ მასალას იყენებენ. საქონლის გასამრავლებლად, ფერმაში, ხელოვნური განაყოფიერების მეთოდს მიმართავენ. გენეტიკურ მასალას კი შვეიცარიული კომპანიის, „Swissgenetics“-ისგან ყიდულობენ.

ფერმის ვეტერინარი, დავით ჯაფარიძე აღნიშნავს, რომ ადგილობრივი და შვეიცარიული ჯიშების შეჯვარება მეურნეობის წამრატებისთვის მნიშვნელოვანია, რადგან შვეიცარიული ჯიშების პროდუქტიულობას ადგილობრივი ჯიშების ის მეკვიდრეობა ერწყმის, რაც საქონელს ადგილობრივ ბუნებრივ გარემოსთან ადაპტაციაში ეხმარება. მაგალითად, ადგილობრივ ჯიშებს უფრო კარგად განვითარებული ჩლიქები აქვთ, რაც საქონლის კლდიან ფერდობებზე გარეკვის საშუალებას იძლევა.

გაზაფხულზე პირუტყვს საზაფხულო იალალებზე მირეკავენ და ჯოგი შემოდგომამდე ალპურ საძოვრებზე რჩება. მთის საძოვრებზე ჯოგს ინსტრუქტორები და ვეტერინარები მეთვალყურეობენ. რეგულარულად ჩამოდის ფერმის მფლობელების მიერ დაქირავებული შვეიცარიელი ფერმერიც, რომელიც შარდომეთის ფერმას შვეიცარიაში საკუთარი ფერმის პარალელურად უვლის. ფერმერი საძოვრებზე ყოველთვიურად ორ კვირას ატარებს და ადგილობრივ ინსტრუქტორებს საქონლის მოვლის მეთოდებს ასწავლის.



ფერმაში ხელოვნური განყოფიერებით ადგილობრივი ჯიშის ძროხებს შვეიცარიული ჯიშის მამრებთან ავჯარებენ. ამჟამად გაუმჯობესებული ჯიშის მეორე თაობას ელოდებიან. ფერმერები ამბობენ, რომ მესამე ასეთი ჯიშის მესამე თაობა უკვე სუფთა ჯიშად შეიძლება მიიჩნიოთ.

მთაში საძოვრების რაციონალური მართვის მიზნით ფერმერები ე.წ. „ელექტრომწყემს“ იყენებენ. ინსტრუქტორები ჯოგის საბალახო ტერიტორიას წვრილი ელექტროგამტარი თოკებით საზღვრავენ, ტერიტორიაზე ბალახის სრულად ათვისების შემდეგ ჯოგი სხვა ნაკვეთზე გადაყავთ, ძველ ადგილას კი, ორიოდე კვირაში, ახალი ბალახი ამოდის. ელექტრომწყემსი ერთი მხრით, ნაკვეთში გეობითი ძოვების საძულებას იძლევა, მეორე მხრივ კი საქონელს მტაცებლებისგან იცავს. ინსტრუქტორები იხსენებენ, რამდენჯერმე როგორ გახდა დენის დარტყმის მსხვერპლი საძოვრებზე შემოსული მგელი და დათვი. „ელექტრომწყემსის“ სამუშაოდ ფერმერები მზის ენერჯიას იყენებენ. მზის ბატარეებით იღებენ ელექტროდენს იალალებზე მონყობილი ინსტრუქტორების საცხოვრებელში წყლის გასათბობად და სხვა საყოფაცხოვრებო ფუნქციებისთვის. მზის ბატარეებს იყენებენ ქვემოთ ფერმაშიც.

გარდა შარდომეთში აშენებული საპილოტე ფერმისა, რომელიც სრულად ამუშავების შემდეგ 2000-მდე მსხვილფეხა პირუტყვს დაიტევს, კომპანიამ, საპილოტე ფერმის პარალელურად, გლეხური ფერმების მშენებლობაც დაიწყო. კომპანია გლეხებს საკუთარი ფერმების აშენებაში ეხმარება. ამის შემდეგ, სა-

პილოტე ფერმაში გაჩენილ ნამატს გლეხების ფერმებში მიაბარებენ. თითოეული საქონლის მოვლის სანაცვლოდ გლეხს წლიურად 700 ლარის ოდენობის ანაზღაურებას უზღიან და პირუტყვის დაკვლისა და გაყიდვის შემდეგ, გაყიდული ხორცის თითოეული კილოგრამიდან შემოსავლის საკუთარ წილს აძლევენ. ასეთი ფერმის აშენებისთვის გლეხებს ერთადერთი წინაპირობის დაკმაყოფილება უწევთ – მათ საკუთრებაში 30 ჰექტრის ფართობის საძოვარი უნდა გააჩნდეთ. ამავე პროექტის ფარგლებში, შვეიცარიული გლეხებისთვის კომპანია 60 000 ლარის ფარგლებში, იაფ კრედიტს აფინანსებს. გლეხებისათვის 6%-იანი სესხის 7 წლის ვადით გაცემა „ბლანშმტეინ ჯორჯიამ“ საკუთარი ქონების იპოთეკით დატვირთვით უზრუნველყო. გლეხებს კი, კრედიტის აღების სანაცვლოდ, ბანკში მხოლოდ იმ მინის ნაკვეთის ჩადება უწევთ, რომელზეც საკუთარი ფერმა აქვთ აშენებული.

„მე პირადად გაქცევაზე ვიყავი, ეს საქმე რომ არ გამოჩენილიყო და როგორც სხვებმა დატოვეს რაჭა, მეც ისე დავტოვებდი. ახლა კი ეს საქმე გამომიჩნდა და ირაკლის დახმარებით, ყველაფერი ისე კარგად მიდის, რომ მომავალი წლისთვის ღორების მეურნეობის დაწყებასაც ვაპირებ.“ – ამბობს კახა გაგნიძე, ონის რაიონის სოფელ შქმერში მცხოვრები

ადგილობრივი შარდომეთის ფერმაში რეგიონის გადარჩენის პერსპექტივას ხედავენ. სოფლების მასობრივად დაცლის პირობებში, ფერმასთან ახლომდებარე სოფელ სორში ახალგაზრდები ისევ დაბრუნდნენ. ზოგიერთი მათგანი დაოჯახდა კიდევ. „ახალგაზრდებს ნამდვილად არ გვექონდა სოფელში დარჩენის საშუალება. ყველა ქალაქისკენ მივიდოდით. ფერმის აშენების შემდეგ კი ჩვენი სოფლის ახალგაზრდებმა ყველა წამოვედით და აქ ვმუშაობთ.“ – ამბობს ზურაბ მეტრეველი, რომელიც მესაქონლეობის ფერმაში ინსტრუქტორების ზედამხედველია.

გლეხი, რომელმაც უკვე ააშენა თავისი მცირე ფერმა. გაგნიძე რაჭაში შექმნილ მდგომარეობის შეცვლაში ხელისუფლების პასუხისმგებლობასაც უსვამს ხაზს და მაღალმთიანი რეგიონების ხელშეწყობის მიზანმიმართული პროგრამების საჭიროებაზე საუბრობს. „ახლა, მაგალითად, წყლის მრიცხველის დაყენება უნდათ, როცა ქვეყანა მიაქვს რიონს. მაღალმთიან სოფელში თუ წყალზე მრიცხველი დაუყენეს ან დენზე არ დაუკლეს ტარიფი, რა უნდა გააკეთოს გლეხმა, რომელიც დედის პენსიას შეჩერებია ან მარტოხელა მოხუცია? რალაც უნდა გაკეთდეს სხვანაირად, სხვა ტიპის მიხედვა უნდა რაჭას და ზოგადად, მაღალმთიან რეგიონებს. მე პოლიტიკოსი არ ვარ, რიგითი გლეხი ვარ და ეს უბრალოდ ჩემი აზრია. მაგრამ ახლა რაჭაში ძალიან დიდი გაჭირვებაა“, – ამბობს გაგნიძე.


ადგილობრივები შარდომეთის ფერმაში რეგიონის გადარჩენის პერსპექტივას ხედავენ. სოფლების მასობრივად დაცლის პირობებში, ფერმასთან ახლომდებარე სოფელში – სორში – ახალგაზრდები ისევ დაბრუნდნენ. ზოგიერთი მათგანი დაოჯახდა კიდევც. „ახალგაზრდებს ნამდვილად არ გვქონდა სოფელში დარჩენის საშუალება. ყველა ქალაქისკენ მივდიოდით. ფერმის აშენების შემდეგ კი ჩვენი სოფლის ახალგაზრდები ყველა წამოვედით და აქ ვმუშაობთ.“ – ამბობს ზურაბ მეტრეველი, რომელიც მესაქონლეობის ფერმაში ინსტრუქტორების ზედამხედველია.

როგორც ფერმის დირექტორი, როსტომ კერვალიშვილი იხსენებს, შვეიცარიელი პარტნიორი მეურნეობის მოსაწყობად თავდაპირველად არჩევანს კახეთის რეგიონზე აკეთებდა. თუმცა ფერმის რაჭაში აშენება ირაკლი კერვალიშვილის დაჟინებული მოთხოვნა იყო.

კომპანიის ქართველი მფლობელი, ირაკლი კერვალიშვილი წარმოშობით თავადაც რაჭადანაა. ის პროფესიით არქიტექტორია, თუმცა, ძირითადად სატრანსპორტო კომპანიებში მუშაობდა. როგორც თავად იხსენებს, მთაში საქონლის მოშენების თანამედროვე მეთოდები პირველად კოლორადოში ნახა, როდესაც ამერიკაში ცხოვრობდა. კერვალიშვილის მიაჩნია, რომ რაჭაში და, ზოგადად, მაღალმთიან რეგიონებში მეცხოველეობის განვითარების

დიდი პოტენციალია. ამავდროულად, ამაში მაღალმთიანი რეგიონებიდან მიგრაციის შეჩერების პერსპექტივას ხედავს. „ბოლო წლებში აშკარა გახდა, რომ რალაცა უნდა გავაკეთოთ რაჭაში, თორემ საშინელი მასშტაბის მიგრაციაა. კაციშვილი აღარაა დარჩენილი. რაჭაში რომ სექტემბრის ბოლოდან ნახვიდეთ, ონამდე ისე ჩახვალთ, რომ გზაში ერთი კაცი არ შეგვხვდებოთ. ერთი-ორი ნათურა თუ ბჟუტავს პატარა ჯიხურში. ამ დროს რაჭა საშინელებათა ფილმებში ნანახ მოჩვენებების სასაფლაოებს ემსგავსება“, – ამბობს კერვალიშვილი.

თუმცა ხაზს უსვამს, რომ ეს პროექტი ალტრუისტული არ არის და მეხორცეობა მომგებიანი და სტაბილური ბიზნესია. მისი ინფორმაციით, საქართველოში ამჟამად ხორცის დაახლოებით 80% ბრაზილიიდან და არგენტინიდან შემოდის. მაღალი ხარისხისა და საგემოვნო თვისებების ხორცი საქათველოში დიდი იმეათობაა. ამავდროულად, მხოლოდ საქონლის ხორცის ბიზნესში ყოველწლიურად მოგების ყველაზე მცირე მარჯაზე გაანგარიშებით, 23-25 მილიონი ლარი რჩება. „წარმოგიდგენიათ, ეს ფული რომ აქ დარჩეს, საქართველოს მესაქონლეობის სეგმენტში რა ეფექტს იქონიებს?“ – ამბობს ბიზნესმენი.

ბიზნესმენს სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების შემთხვევაში შვეიცარიის მაგალითი მოჰყავს, სადაც გლეხებს 3%-იანი კრედიტების 30-წლიანი ვადით გამოტანა და ამ ფულით საკუთარი მეურნეობისთვის უახლესი ტექნოლოგიების შექენა შეუძლიათ. ამას გარდა, დიდი ყურადღება ექცევა ვეტერინარიის, აგრონომიისა და მსგავსი პროფესიების სამეცნიერო დონეზე სწავლებას. კერვალიშვილს მიაჩნია, რომ სოფლის მეურნეობის განვითარება ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიული საკითხია და თუკი სახელმწიფო ისეთი პრობლემური საკითხების მოგვარებას თავს გაართმევს, როგორცაა მინების რეგულირება, გლეხებისთვის იაფი კრედიტების უფრო ეფექტური მექანიზმების შემუშავება და აგროსფეროში თანამედროვე ცოდნის ინსტიტუციონალიზაცია, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება. 



IDS ბორჯომი საქართველო - წარმატებული კომპანიის საქმიანობა და გეგმები

„ბორჯომში“ რუსეთში საკმაოდ მაღალი მოთხოვნაა

კომპანია IDS ბორჯომი საქართველო ქართული მინერალური წყლების სეგმენტში, წლების მანძილზე, უპირობო ლიდერად რჩება. ბაზარზე კომპანია ოთხი ბრენდით არის წარმოდგენილი: „ბორჯომი“, „ლიკანი“, „ბორჯომის წყაროები“ და „ბაკურიანი“. ოთხივე ბრენდი ყველა სეზონის პროდუქტებია, თუმცა ყველაზე აქტიური სეზონი მაინც ზაფხულია. ზაფხულის გაყიდვების შედეგები სეზონის ბოლოს ეცოდინებათ, თუმცა პირველადი მონაცემებით გაყიდვებში კომპანიის წარმომადგენელი ბრენდები უკვე ლიდერობენ. კომპანიის გეგმებზე IDS ბორჯომი საქართველოს გენერალური დირექტორი, ზაზა კიკვაძე ისაუბრებს.



IDS ბორჯომი საქართველოს გენერალური დირექტორი ზაზა კიკვაძე

წელს ალბათ ყველაზე ცხელი ზაფხული გაქვთ, 7-წლიანი პაუზის შემდეგ ბორჯომი რუსეთის ბაზარზე დაბრუნდა. როგორია პირველი მონაცემები?

მინერალური წყალი „ბორჯომი“ რუსეთის ბაზარზე მაისის ბოლოს შევიდა. აღსანიშნავია რომ 7-წლიანი პაუზის მერეც მომხმარებელს ისევე ახსოვდა და ენატრებოდა „ბორჯომი“. გაყიდვების მონაცემებზე საუბარს შემოდგომამდე შევძლებთ, თუმცა უნდა აღვნიშნოთ რომ პროდუქციის გადაზიდვები გეგმის მიხედვით ხორციელდება, თავად მინერალურ წყალზე კი საკმაოდ მაღალი მოთხოვნაა.

ვინ ახორციელებს რუსეთის ტერიტორიაზე ბორჯომის დისტრიბუციას?
რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე პროდუქციის ექსკლუზიური პირობებით დისტრიბუციას, ჩვენს ჰოლდინგში შემავალი, კომპანია „IDS Borjomi Russia“ ახორციელებს.

რა სახელებს უნდა ელოდოს მომხმარებელი მინერალური წყლების კომპანიისგან?

ჩვენ მუდმივად ვატარებთ ბაზრის კვლევას და ვიცით რა უნდა გავაკეთოთ მომხმარებელთა მოლოდინის გასამართლებლად. ვიცით რა მოთხოვნები აქვს ბორჯომის, ლიკანის, ბორჯომის წყაროების, ბაკურიანის მომხმარებელს. თითოეული ბრენდისთვის მიზნობრივ სეგმენტზე ორიენტირებული აქტივობების შერჩევა ხდება. როგორც მოგესხენებათ, ბორჯომი ჩვენს პორტფელში ერთადერთი ბრენდია, რომელიც საზღვარგარეთ გაგვაქვს. სტრატეგიულ საექსპორტო ბაზრებზე (რუსეთი, უკრაინა, ამერბაიჯანი, ბელორუსი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, ყაზახეთი) ჩვენი ადგილობრივი მარკეტინგული ჯგუფები მუშაობენ კომპანიის



მიერ კონკრეტული ბაზრის შესახებ ჩატარებული კვლევების მიხედვით. რა თქმა უნდა, ეს აქტივობები ჩვენი მთავარი მიმართულებების გათვალისწინებით იგეგმება. ამ შემთხვევაში განსხვავება შეიძლება იყოს განხორციელების და გზავნილის გავრცელების გზებში, რაც დამოკიდებულია ლოკალურ მოთხოვნილებებზე, გემოვნებაზე და ცხოვრების წესზე.

უკვე აღვნიშნეთ რომ თქვენი კომპანიის პორტფელში ოთხი ბრენდი შედის, საინტერესოა რომელი მათგანია ყველაზე კარგად გაყიდვადი ბრენდი, როგორც საქართველოში ასევე საექსპორტო ბაზრებზე?

როგორც იცით, ექსპორტზე გაგვაქვს მხოლოდ „ბორჯომი“, რომელიც დღეს-ს დღეებში მინერალური წყლების სეგმენტში ნომერი პირველი იმპორტირებული ბრენდია. რაც შეეხება ადგილობრივ ბაზარს, ვაზიანი მინერალური წყლის სეგმენტში „ლიკანი“ ლიდერობს, ხოლო წყაროს წყლებში „ბაკურიანი“.

2013 წელი ჯერ არ დასრულებულა, აქედან გამომდინარე გასულ წელზე გკითხავთ - საინტერესოა რა მოცულობის პროდუქცია აწარმოეთ 2012 წელს?

2012 წელს 2005 წლის რუსულ ემბარგომდე დაფიქსირებულ მაჩვენებელთან შედარებით 30%-ით მეტი მინერალური წყალი ვაწარმოეთ.

IDS ბორჯომი საქართველო IDS Borjomi International-ის ჯგუფში შედის. მისმა ყველაზე კარგად გაყიდვადმა ბრენდმა - ბორჯომმა - მსოფლიო მასშტაბით 40-ზე მეტ ქვეყანაში დაიმკვიდრა სახელი. როგორია მთავარი მარკეტინგული სტრატეგია, როცა ისეთ გამორჩეულ და ტრადიციულ ბრენდთან გვაქვს საქმე როგორცაა ბორჯომი?

ჩვენი მთავარი მიზანია ყველას ვუჩვენოთ ბრენდის უპირატესობები, მისი ფუნქციონალი. მარკეტინგული აქტივობების განხორციელებისას ვცდილობთ ხალხს მივაწოდოთ ინფორმაცია ბორჯომის ვულკანური წამოშობის, კომლექსური მინერალის შემცველობის შესახებ. „ბორჯომი“ უნიკალური ბუნებრივი მინერალებით გამდიდრებულია წყალია, რომელიც ორგანიზმის შინაგანი შხაპის ფუნქციას ასრულებს. „ბორჯომი“ საქართველოს სავიზიტო ბარათია, რომელიც დღეს მსოფლიოს 41 ქვეყანაში იყიდება.

რომელი ახალი ბაზრების ათვისებას გეგმავს IDS ბორჯომი საქართველო უახლოეს მომავალში?

მთავარი სტრატეგია არსებულ ბაზრებზე ბრენდის პოზიციების გაძლიერებაა. შესაბამისად, რესურსის მაქსიმალურად ასათვისებლად, უკვე არსებულ ბაზრებზე ვართ ფოკუსირებული. რა თქმა უნდა, აქტიურად ვმუშაობთ რუსეთის ბაზარზე, რომელიც ჩვენი საექსპორტო ქვეყნების ჩამონათვალს ცოტა ხნის წინ დაემატა.

6 მიცინიანი საინვესტიციო ფონდის მოლოდინში

„რაც შეეხება ეკონომიკის ზრდას და მის ტემპებს, პირველი წელიწადი იქნება რთული“. ეს განცხადება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ხელისუფლებაში მოსვლის პირველ დღეებში გააკეთა. თუმცა, პირველი წელიწადი იმაზე ბევრად უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე ამას ხელისუფლება მოელოდა: შენედა ეკონომიკური ზრდის ტემპი და ინვესტიციებიც შემცირდა. ნამყვანი სარეიტინგო კომპანიებისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების შემდეგ, საქართველოს მთავრობამაც აღიარა, რომ წელს დაგეგმილი ნ-პროცენტული ეკონომიკური ზრდის მიღწევა შეუძლებელი იქნება. თუმცა სარეიტინგო კომპანიებთან შედარებით, ოპტიმისტურ პროგნოზს ინარჩუნებს.

მანანა ვარდიაშვილი



„ქართული ოცნების“ მთავრობას ახლა მთელი აქცენტი და ყურადღება საინვესტიციო ფონდებზე გადააქვს. პრემიერ-მინისტრის მიერ 2012 წლის ბოლოს დაანონსებული საინვესტიციო ფონდის ამოქმედება სექტემბრისთვის გადაიდო. ფონდში კაპიტალს 10 მსხვილი ინვესტორი ჩადებს. აქედან ორი მათგანის ვინაობა უკვე ზუსტად არის ცნობილი: პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, რომელიც ფონდში 1 მილიარდამდე დოლარს ჩადებს და ბადრი პატარკაციშვილის ოჯახი.

ინვესტორებთან მოლაპარაკებები უკვე დასრულებულია. „საინვესტიციო ფონდში კაპიტალს ჩადებენ როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ბიზნესმენები. დაზუსტებით შემოიძლია გითხრათ, რომ მათ შორის იქნება ბადრი პატარკაციშვილის ოჯახი, ასევე 2 სუვერენული ფონდი არაბეთის ემირატებიდან, ფონდები აზერბაიჯანიდან და ყაზახეთიდან, თურქული, ყაზახური და ჩინური კერძო კომპანიები. ამ ფონდებსა და კომპანიებს ჯერჯერობით ვერ დავასახელებ, რადგან ხელშეკრულებაზე ხელმოწერის პროცესი დასრულებული არ არის. თანადაფინანსებელთა შორის იქნება თვითონ პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილიც. ის ფონდში მთლიანი თანხის 10-15%-ს, დაახლოებით 1 მილიარდამდე დოლარს ჩადებს. საინვესტიციო ფონდში 6 მლრდ დოლარი იქნება აკუმულირებული, რაც იმას ნიშნავს, რომ მომავალი 4 წლის განმავლობაში, საქართველოს ეკონომიკაში 10 მლრდ დოლარის ოდენობის ინვესტიცია შემოვა“, – აცხადებს „ლიბერალთან“ საუბარში საპარტნიორო ფონდის დირექტორის მოადგილე გიორგი ბაჩიაშვილი.

ქართველი და უცხოელი ინვესტორების კერძო კაპიტალით შექმნილი საინვესტიციო ფონდი თანადაფინანსებით დაეხმარება იმ ბიზნესმენებს, რომელთაც საინტერესო და მოგებაზე გათვლილი პროექტები ექნებათ და ამ პროექტების, სულ მცირე, 25%-ს თვითონ დააფინანსებენ. ბაჩიაშვილი ამბობს, რომ ფონდის შექმნის და სრულყოფილად ამუშავებისთვის საჭირო პროცესი სექტემბრისთვის დასრულდება.

სექტემბრიდან საქართველოში კიდევ ორი საინვესტიციო ფონდი ამოქმედდება. საპარტნიორო ფონდის ბაზაზე სუვერენული ფონდი ჩამოყალიბდება, რომელიც საბიუჯეტო თანხე-

ბით მსხვილ პროექტებს დააფინანსებს. სუვერენული ფონდის პარტნიორი იქნება J.P. Morgan-ი – საინვესტიციო ჯგუფი, რომლის ერთ-ერთი აქციონერიც ბიძინა ივანიშვილია

(პრემიერ მინისტრის ქონებრივი დეკლარაციის თანახმად, მას J.P. Morgan Chase&Co-ში შეძენილი აქვს 425 600 აშშ დოლარის ლირებულების აქციები).

სუვერენული ფონდის ჰოლდინგის ქვეშ კი ამოქმედდება ახალგაზრდული ფონდი, რომელიც ახალგაზრდების მიერ შექმნილ ინოვაციურ და მცირე პროექტებზე იქნება ორიენტირებული.

საინვესტიციო ფონდების შექმნით და მიზიდველი ბიზნესპროექტების თანადაფინანსების იდეით ხელისუფლება საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირებული ნაკადის გაზრდას ცდილობს: სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2013 წლის პირველ კვარტალში, საქართველოში, 226 მილიონი აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია შემოვიდა, რაც 2012 წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელს 16%-ით ჩამორჩება.

საპარტნიორო ფონდის დირექტორის მოადგილე, გიორგი ბაჩიაშვილი აცხადებს, რომ საინვესტიციო ფონდში პრემიერ-მინისტრის თანამონაწილეობა ფონდის მიმართ ბიზნესმენების ნდობას გაზრდის. თუმცა ექსპერტთა ნაწილი ახალი საინვესტიციო ფონდების მიმართ სკეპტიკურად არის განწყობილი.

„ინვესტორები „მოდი, მოდის“ ძახილით და საინვესტიციო ფონდების მიწვევით არსად მიდიან. ინვესტიციების შემცირებას კონკრეტული მიზეზები აქვს,“ – ამბობს „ლიბერალთან“ საუბარში „ახალი ეკონომიკური სკოლა – საქართველოს“ ვიცე-პრეზიდენტი გია ჯანდიერი, – „მსოფლიო ეკონომიკა კრიზისშია და ინვესტორებს არ ულხინთ. ამას ემატება საქართველოში არსებული პოლიტიკური დაძაბულობაც. დაძაბულობა, რომელიც გასული წლის საპარლამენტო არჩევნებამდე დაიწყო, სამწუხაროდ, კლების მაგივრად, თანდათან მატულობს. ისეთმა პატარა, ღარიბმა და პოლიტიკური რისკებით დატვირთულმა ქვეყანამ, როგორც საქართველო, ინვესტიციების მოზიდვის მიზნით ბიზნესმენებს ლიბერალური ბიზნესგარემო უნდა შესთავაზოს. გაზრდილი პოლიტიკური

■ ინვესტორებთან მოლაპარაკებები უკვე დასრულებულია. „საინვესტიციო ფონდში კაპიტალს ჩადებენ როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ბიზნესმენები. დაზუსტებით შემოიძლია გითხრათ, რომ მათ შორის იქნება ბადრი პატარკაციშვილის ოჯახი, ასევე 2 სუვერენული ფონდი არაბეთის ემირატებიდან, ფონდები აზერბაიჯანიდან და ყაზახეთიდან, თურქული, ყაზახური და ჩინური კერძო კომპანიები.

უწყობის ინფორმაცია
საქართველოში (აშშ დოლარში)

- 1. 2004 – 499 100 000
- 2. 2005 – 449 800 000
- 3. 2006 – 1 190 400 000
- 4. 2007 – 2 014 800 000
- 5. 2008 – 1 564 000 000
- 6. 2009 – 658 400 000
- 7. 2010 – 814 500 000
- 8. 2011 – 1 117 200 000
- 9. 2012 – 865 000 000

რისკების და მსოფლიოს მასშტაბით გაუარესებული ეკონომიკური გარემოს ფონზე კი საქართველოს ხელისუფლებამ გამოუსწორებელი შეცდომები დაუშვა: შრომის კოდექსში დამსაქმებლებისთვის მიუღებელი ცვლილებები შეიტანა, უცხოელებისთვის მიწის მიყიდვა 2014 წლის ბოლომდე აკრძალა, ირანთან უვიზო მიმოსვლა ცალმხრივად გააუქმა და საქართველოში მყოფი ირანელი ფიზიკური და იურიდიული პირების ანგარიშები გაყინა. ასეთი ცვლილებებით, საქართველოში ინვესტიციებს ვერ მოვიზიდავთ“.

საინვესტიციო ფონდების მიმართ სკეპტიკურ დამოკიდებულებას არ მალავენ არც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები. პოლ ჰენრი ფორესტიერი, „ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის“ (EBRD) ყოფილი დირექტორი კავკასიაში, მოლდოვასა და ბელორუსში აცხადებს, რომ ახალი ხელისუფლებამ, ახალი საინვესტიციო ფონდების შექმნის განცხადებით, ბიზნესს არარეალური და დამაბნეველი მესიჯები გაუგზავნა.

საინვესტიციო ფონდების მიზნების, მოცულობისა და საქმიანობის დეტალური განმარტებისკენ მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას საერთაშორისო სავალუტო ფონდმაც. სავალუტო ფონდის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ახალი ფონდების ზომისა და მათი საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაციის არარსებობის გამო, ინვესტორებმა, შესაძლოა, საქართველოში ფულის დაბანდება გადაიფიქრონ.

ახალი ხელისუფლების კიდევ ერთი ახალი პრობლემა ეკონომიკის ზრდის შენელებაა. 2010-2012 წლებში საქართველოს ეკონომიკის ზრდა 6%-ზე მაღალი იყო. 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 6%-იან ზრდაზეა გათვლილი. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემების თანახმად კი, საქართველოს ეკონომიკური ზრდა 2013 წლის პირველ კვარტალში 1,7% იყო, აპრილში – 4%. ხოლო მაისში – 0%. ოფიციალური ინფორმაციით, 2013 წლის პირველ კვარტალში ბიზნესსექტორში დასაქმებულმა 42 000-მა ადამიანმა სამუშაო ადგილი დაკარგა.

ერთ-ერთი პირველი დასავლური ფინანსური ინსტიტუტი, რომელმაც საქართველოს ეკონომიკის ზრდის პროგნოზი 5-დან 3 პროცენტამდე შეამცირა, EBRD-ი იყო. ბანკის ანგარიშში

აღნიშნულია, რომ მის მიერ წლის დასაწყისში გაკეთებული პროგნოზის შემდეგ, საქართველოს „პერსპექტივები გაუარესდა“.

რეგიონული ეკონომიკის პერსპექტივების შესახებ EBRD-ის ბოლო ანგარიშში, რომელიც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 34 ქვეყანას მოიცავს, ევროპის განვითარების ბანკმა, 2013 წლის ეკონომიკური ზრდის საერთო პროგნოზი 3,1-დან 2,2%-მდე შეამცირა. ამის მიზეზად ბანკმა რუსეთში, პოლონეთში, თურქეთსა და სხვა რამდენიმე მსხვილი ეკონომიკის მქონე ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის შენელება დაასახელა.

საქართველოსთან დაკავშირებით ანგარიშში ნათქვამია, რომ ქვეყნის ეკონომიკური ზრდა 2012 წლის ბოლოდან შენედა, რისი მიზეზიც ინვესტიციების შემცირება და საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ხელისუფლების გადაცემასთან „დაკავშირებული გაურკვევლობა“ გახდა.

„ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის“ მსგავსად, საქართველოს ეკონომიკის ზრდის პროგნოზი შეამცირა კიდევ სამმა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტმა: FITCH-მა 5,5-დან 3%-მდე, STANDARD & POOR'S-მა 3%-მდე, ხოლო საერთაშორისო სავალუტო ფონდმა – 4%-მდე.

სარეიტინგო სააგენტო FITCH-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ეკონომიკური ზრდის ტემპის დაცემის ძირითადი მიზეზები მთავრობის ცვლილება და ახალი შრომის კოდექსია: „ეს ყველაფერი ინვესტორებში გაურკვევლობის განცდას აძლიერებს, ამიტომ, მათ ურჩევნიათ, დროებით თავი შეიკავონ ინვესტირებისგან და უკეთ გაერკვნენ ახალი მთავრობის მიერ არჩეულ კურსში“.

სავალუტო ფონდის შეფასებით კი, ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელება, რომელიც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე დაიწყო, პოლიტიკური გაურკვევლობის და ჩამოუყალიბებელი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია: „მეზობელი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის შენელებამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკაზე, თუმცა გასული წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე ინვესტორები უკვე იჩენდნენ სიფრთხილეს. არჩევნების შემდეგ ეს სიფრთხილე, თითქოსდა, გაძლიერდა მთავრობის მიერ საბიუჯეტო სახს-

რების ხარჯვის შენელებით, მოსალოდნელზე მაღალი რეალური საპროცენტო განაკვეთებითა და პოლიტიკური დაძაბულობით“.

სავალუტო ფონდის მოხსენებაში ბიზნესის წარმომადგენლებზე დაყრდნობით აღნიშნულია, რომ ხშირ შემთხვევაში, მთავრობის მიერ ძირეული რეფორმები ცხადდება ისე, რომ არც რეფორმის შინაარსი და არც მათი აღსრულების კონკრეტული ვადები დაზუსტებული არ არის. ასეთ ცვლილებებზე მითითებულია ჯანდაცვის რეფორმა, შრომის კოდექსში შეტანილი ცვლილებები და ახალი საინვესტიციო ფონდების დაფუძნების გადანიშნულებები.


პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელებას განსხვავებული მიზეზით ხსნის და აცხადებს, რომ ამაში საგანგაშო არაფერია: „ჩვენ დროებით შევაჩერეთ ოუსტიციის სახლების მშენებლობა, გაურკვეველი პროექტების განხორციელება, რომლებიც სამჯერ ძვირი ჯდება, ჩვენ მათ ავაშენებთ 3-ჯერ იაფად და გაცილებით ეფექტური იქნება. ეს თავისთავად ეკონომიკურ ზრდაზე აისახებოდა, თუმცა არაფერი საგანგაშო შექმნილ მდგომარეობაში არ არის... ეკონომიკა და ბიზნესი ვიცი და კარგი პრაქტიკა და გამოცდილება მაქვს. წინა ხელისუფლების პირობებში ეკონომიკური ზრდა იყო ხელოვნური, იმ მეთოდებით მართვა ეკონომიკის, რასაც წინა მთავრობა ახორციელებდა, წინააღმდეგობაში მოდის ეკონომიკურ კანონებთან“.


პრემიერ-მინისტრს იმედი აქვს, რომ მთავრობის მუშაობის შედეგად მიღწეულ პოზიტიურ შედეგებს მოსახლეობა მომავალ წელს იგრძნობს. „მესამე წელი იქნება კარგი, მეოთხე კი – ძალიან კარგი. ეს იქნება ჭეშმარიტი ეკონომიკური ზრდა. კარტელური შეთანხმებებით, ადვილშვილისგან მართული ეკონომიკითა და სააკაშვილის დანიშნული ბიზნესმენებით ეკონომიკა ვერ აყვავდება. ეს მოდის წინააღმდეგობაში ყველანაირ კანონთან“, – განმარტა ივანიშვილმა.

პირველი, ვინც საქართველოს მთავრობიდან აღიარა, რომ ეკონომიკური ზრდის დაგეგმილი ტემპის შენარჩუნება შეუძლებელი იქნება, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, გიორგი კვირიკაშვილი იყო. „6%-იანი ეკონომიკური ზრდის მიღწევა, ალბათ, არარეალური

იქნება. ვფიქრობთ, 4,5-5%-ის მიღწევა კიდევ არის შესაძლებელი. ამისთვის ძალიან ბევრი წინაპირობაა საჭირო. უარყოფითი პიარი, რომელიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით ვრცელდება, უნდა შეწყდეს. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს“, – აღნიშნა კვირიკაშვილმა.

ეკონომიკის ექსპერტი სოსო არჩვაძე მიიჩნევს, რომ ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელება მსხვილი ბიზნესის პასიურობითაა გამოწვეული. „ეკონომიკური ზრდა ძალიან ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, თვითონ ეკონომიკური ზრდა კი ეკონომიკური კეთილდღეობის ერთ-ერთი, და არა ერთადერთი განმსაზღვრელი ფაქტორია. საბჭოთა კავშირის ეკონომიკური ზრდის ტემპი მაღალი იყო, მაგრამ ხალხს ეკონომიკური კეთილდღეობა არ ჰქონდა,“ – ამბობს არჩვაძე, – „პრეზიდენტმა სააკაშვილმა აპოკალიფსური სურათი დახატა. ეს ნამდვილად არ არის ასე. თუმცა ნამდვილად რთული პერიოდი, განსაკუთრებით მსხვილი ბიზნესისთვის, რადგან ის „ნაციონალური მოძრაობასთან“ იყო დაკავშირებული და მისი ხელშეწყობით ვითარდებოდა. ეს დაახლოებით იმ მდგომარეობას ჰგავს, რომ ძალოსანს, რომელსაც დოპინგის მუდმივი მოხმარების ფონზე ავარჯიშებენ, დოპინგის მიცემა შეუწყვიტონ და იგივე შედეგების მიღწევა მოსთხოვონ. მსხვილი ბიზნესიც ასეა. ის ვერ შეეგუა ახალ გარემოში არსებობას. გარდა ამისა, ორხელისუფლებიანობის გამო ორჭოფულ მდგომარეობაშია. ბუნებრივია, ასეთ მდგომარეობაში მსხვილ ბიზნესს უწინდელ აქტიურობას ვერ მოვთხოვთ. მსხვილი ბიზნესის ასეთი პასიურობა კი გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე, რადგან ბიზნესის 4/5%-ს მსხვილი ბიზნესი შეადგენს“.

სავალუტო ფონდის და საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიების შეფასებით, იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში პოლიტიკური მდგომარეობა სტაბილური იქნება, გაურკვეველობა იკლებს და ბიზნესისთვის მხარდამჭერი ეკონომიკური პოლიტიკა მკაფიოდ გაცხადდება, წლის მეორე ნახევარში საქართველოს ეკონომიკა სწრაფად გაიზრდება. 2014 და შემდეგ წლებში კი ეკონომიკური ზრდა ისევ 6 პროცენტით იქნება. 

 ახალი ხელისუფლების კიდევ ერთი ახალი პრობლემა ეკონომიკის ზრდის შენელებაა. 2010-2012 წლებში საქართველოს ეკონომიკის ზრდა 6%-ზე მაღალი იყო. 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით 6%-იან ზრდაზე გათვლილი. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემების თანახმად კი, საქართველოს ეკონომიკური ზრდა 2013 წლის პირველ კვარტალში 1,7% იყო, აპრილში – 4%. ხოლო მაისში – 0%. ოფიციალური ინფორმაციით, 2013 წლის პირველ კვარტალში ბიზნესექტორში დასაქმებულმა 42 000-მა ადამიანმა სამუშაო ადგილი დაკარგა.

შეისვანა თუ ახა საბადასახადო პოლიტიკა?

არჩევნების შემდეგ ახალი ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი გზავნილი ბიზნესის პოლიტიკური წინხისგან გათავისუფლებას ეხებოდა. აისახა თუ არა ახალი ხელისუფლების განზრახვა საგადასახადო პოლიტიკაზე და როგორ აფასებენ ბიზნესმენები ოქტომბრის არჩევნების შემდეგომ საგადასახადო სფეროში გატარებულ ცვლილებებს?

თათია ხალიანი

■ „საგადასახადო კანონმდებლობის ხარვეზია, როცა საგადასახადო ორგანო ამბობს, რომ გვემოურ შემონმებაზე შედის, მაგრამ არავისთვის არ არის ცნობილი ეს გვემა როგორ და რა პრინციპით დგება. როგორ ხდება შერჩევა, ვინ უნდა შემონმდეს, ამის შესახებ ინფორმაცია არ არსებობს. ეს ინფორმაცია უნდა არსებობდეს პრინციპების დონეზე მაინც. თუ გადასახადის გადამხდელი დეკლარაციებს წარადგენს დროულად და გადასახადს იხდის დროულად, რა საჭიროა მათი შემონმება?“ – ამბობს აუდიტორი ირაკლი შავიშვილი.

ოქტომბრის არჩევნების შემდეგ მცხეთა-მთიანეთის ექსკლუზივნიტორის, ცეზარ ჩოჩელის კუთვნილ კომპანიებს სერიოზული პრობლემები შეექმნა. მისი ბიზნესგუფი, რომელშიც შედის კომპანიები „ბერტა“, „ზედაზენი“, „ბარამბო“, „ინტერპლასტი“, წინა ხელისუფლებასთან დაახლოებულ ჯგუფად ითვლებოდა. 2012 წლის იანვარს ბიზნესმენი დააკავეს, მისი უძრავ-მოძრავი ქონება კი დააყადალეს. ფინანსური პოლიცია შევიდა კომპანია „ბარამბოში“. უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია და სამენარმეო საქმიანობაში არაკანონიერი მონაწილეობა – ეს ის ბრალდებებია, რაზეც გამოძიება დღემდე მიმდინარეობს.

ცეზარ ჩოჩელი ამბობს, რომ რამდენიმე კომპანიის დაყადლება და შეჩერება ბიზნესგუფში შემავალ სხვა კომპანიებსაც პრობლემები შეუქმნა. კერძოდ, ვერ იღებენ ტენდერებში მონაწილეობას, ასევე გართულდა მომწოდებლებთან და ადგილობრივ ბანკებთან ურთიერთობა. გარდა ამისა, როგორც ბიზნესმენი ამბობს, სწორედ არჩევნების შემდეგ მის კუთვნილ კომპანიებში საგადასახადო სამსახური არაგვემოურ შემონმებაზე რამდენჯერმე შევიდა. თუმცა, მისთვის შემონმების მიზანი გაუგებარია.

„ჩვენს ყველა ბიზნესს მსოფლიოს ოთხეულში შემავალი აუდიტორული კომპანიები ამონმებენ. სახელმწიფო გვამონმებს თუ არა, ჩვენ მაინც ვამონმებთ იმ ბიზნესს, რომელსაც ვმართავთ. მათ მიერ დადებული დასკვნები გვაქვს ყველა კომპანიაში. მას შემდეგ, რაც საგადასახადო სამსახურმა შეგვამონმა, შედეგები ჯერ არ ვიცით, რადგან მონაცემები არ გამოქვეყნებულა. პასუხი კი იყო, რომ ხარვეზებია შემონმებასთან დაკავშირებით. ჩემი აზრით, ალბათ არ იყო ისეთი შედეგები, რომელიც მათ უნდოდათ,“ – ამბობს ჩოჩელი.

ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, საზოგადოებისთვის ცნობილია რამდენიმე გახმაურებული ფაქტი, როდესაც ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური სხვადასხვა უწყებებში და კომპანიებში შემონმებაზე შევიდა.

კერძოდ, 2012 წლის ნოემბერში ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა საზოგადოებრივი მაუწყებლის შემონმება დაინყო.

ტელეკომპანიის მაშინდელი დირექტორი გიორგი ჭანტურია ამბობდა, რომ ამ რევიზიასთან დაკავშირებით კითხვები ჩნდება, 1990 წლიდან ტელევიზიაში საგადასახადო ორგანო არ შესულა, მსგავსი შემონმება

არასდროს ჩატარებულა და ის არ შეიძლება გეგმიური იყოს. ფინანსთა მინისტრი კი აცხადებდა, რომ ტელეკომპანიის შემონმების საფუძველი ბიუჯეტის წინაშე ტელეკომპანიის მიერ დაგროვილი საგადასახადო დავალიანება, 3 მილიონი ლარი გახდა.


ფინანსური პოლიცია შევიდა ასევე თბილისის მერიის დასუფთავების სამსახურში არაგეგმიურ შემონმებაზე და მერიის დაქვემდებარებაში არსებულ შპს „სინათლის ქალაქში“, სადაც ფინანსური დოკუმენტაცია და ხარჯთაღრიცხვა შემონმდა. გამოძიება ჯერ არ დასრულებულა, საგადასახადო სამსახურის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ შემონმების საფუძველი გახდა კონკრეტული ინფორმაცია და ჩანაწერები, რომელიც სამსახურს მიაწოდეს.

ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური „ლიბერალთან“ ინტერვიუში აცხადებდა, რომ სამინისტრო აქტიურად სწავლობდა საგადასახადო დავალიანებებს და მოპარული ფულის გათეთრების საშუალებას არავის მისცემდა.

„საგადასახადო კანონმდებლობის ხარვეზია, როცა საგადასახადო ორგანო ამბობს, რომ გეგმიურ შემონმებაზე შედის, მაგრამ არავისთვის არ არის ცნობილი ეს გეგმა როგორ და რა პრინციპით დგება. როგორ ხდება შერჩევა, ვინ უნდა შემონმდეს, ამის შესახებ ინფორმაცია არ არსებობს. ეს ინფორმაცია უნდა არსებობდეს პრინციპების დონეზე მაინც. თუ გადასახადის გადამხდელი დეკლარაციებს წარადგენს დროულად და გადასახადს იხდის დროულად, რა საჭიროა მათი შემონმება?“ – ამბობს აუდიტორი ირაკლი შავიშვილი. ის ძირეულ ცვლილებებს საგადასახადო პოლიტიკაში ჯერჯერობით ვერ ხედავს. მიიჩნევს, რომ შედარებით უკეთესად ამოქმედდა დავების განხილვის საბჭო, თუმცა საგადასახადო შემონმებები ისევ იმავე ტემპით გრძელდება, როგორც მანამდე იყო.

ცვლილებები საგადასახადო კოდექსში

ფინანსთა სამინისტროში ამბობენ, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მთავრობამ აქტიური მუშაობა დაიწყო მოკლე ვადაში საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანისთვის. 2013 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა რიგი საგადასახადო ცვლილებები. მენარმეები მიიჩნევენ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი საგადასახადო დავალიანებასთან დაკავშირებული ცვლილება იყო. კერძოდ, საგადასახადო დავალიანების იძულებით ამოღება საგადასახადო დავის დასრულების შემდეგ იწყება. საგადასახადო დავალიანების გადავადების ერთწლიანი ვადა კი 3 წლით გაიზარდა.



საქართველოს მცირე და საშუალო მენარმეთა ასოციაციის პრეზიდენტი კახა კახიძე „ლიბერალთან“ საუბარში აღნიშნავდა, რომ მენარმეებისთვის ეს ფუნდამენტური ცვლილებაა და უფლებების დაცვის კუთხით ბიზნესს გარემოს აუმჯობესებს. თუკი აქამდე რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება საკმარისი იყო იმისათვის, რომ მენარმის ქონებისთვის მყისიერად დაედოთ ყადაღა ან კომპანიის ქონება გაეყიდათ, ახალი წესის მიხედვით, სანამ დავა არ დასრულდება, მენარმის ქონება იძულებით რეალიზაციას არ დაექვემდებარება.

რაც შეეხება სანქციების და ჯარიმების შემცირებას, ცვლილებების ამავე პაკეტის მიხედვით, რომელიც იანვარში შევიდა ძალაში, დეკლარაციის დაგვიანებით წარდგინების დაწესებული სანქციის მინიმალური ოდენობა 200 ლარის ნაცვლად 50 ლარით განისაზღვრა. საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების წესების დარღვევისათვის დადგენილი ჯარიმის ოდენობა კი 500-დან 200 ლარამდე შემცირდა. ასევე სასაქონლო ზედნადების გარეშე საქმიანობის პირველად გამოვლენისას პირი 1 000 ლარის ნაცვლად 500 ლარით ჯარიმდება. ზედნადების გარეშე განმეორებით საქმიანობისთვის კი 10 000 ლარის ნაცვლად სანქციის ოდენობა 5 000 ლარით განისაზღვრა.

ფინანსთა სამინისტროში ამბობენ, რომ არც ერთი საკანონმდებლო ცვლილება თუ ინიციატივა ბიზნესთან კონსულტაციის გარეშე არ მიიღება და მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია ბიზნესის წარმოება ხელისუფლების წარმომადგენელთა ჩარევისგან თავისუფალი იყოს.

ექსპერტები დადებითად აფასებენ ფინანსთა სამინისტროსთან არსებული საგადასახადო დავების განმხილველი საბჭოს აქტიურად ამოქმედებას.

საგადასახადო დავა ორეტაპიანია, ჯერ საჩივარი შემოსავლების სამსახურში შედის, ხოლო არასასურველი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მომჩივანს უფლება აქვს შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილება დავების განხილვის საბჭოში გაა-

საჩივროს. საბჭოს თავმჯდომარე ფინანსთა მინისტრია, ხოლო წევრები აღმასრულებელი ხელისუფლების და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები არიან და როტაციის პრინციპს ექვემდებარებიან.

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, 2013 წლის პირველ კვარტალში, გადაწყვეტილებების დაახლოებით 60%-ზე მეტი მენარმეთა სასარგებლოდ დასრულდა.

ფინანსთა სამინისტროს ინიციატივით, ამჟამად პარლამენტში განსახილველად წარდგენილია საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტი. ერთ-ერთი ცვლილება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შემოსავალს ეხება და მათთვის დაუბეგრავი ზღვარი ორმაგდება – თუ აქამდე 3000 ლარი იყო საშემოსავლო გადასახადისაგან გათავისუფლებული, ცვლილების ძალაში შესვლის შემდეგ ეს თანხა გაორმაგდება.

კანონპროექტის მიხედვით, კიდევ ერთი ცვლილება საქველმოქმედო ორგანიზაციებს და შემონიერებულობებს ეხება. „თუ აქამდე კანონმდებლობა მხოლოდ ფულად შემონიერულობას ცნობდა, ახლა შემონიერულობა შეიძლება იყოს როგორც ფული, ისე საქონელი და მიწა“, – განაცხადა ნოდარ ხადურმა.

როგორც ექსპერტები, ასევე თავად ბიზნესმენები ამბობენ, რომ ეს პერიოდი არ არის საკმარისი ახალი საგადასახადო პოლიტიკის შესაფასებლად. არსებითი ცვლილება იქნება, რომ უზრუნველყოფილი იყოს ბიზნესის მაქსიმალური თავისუფლება და ჯანსაღი კონკურენტული გარემო.

„ამ პერიოდის განმავლობაში რაიმე ფუნდამენტური ცვლილება ამ სფეროში არ მომხდარა, მაგრამ ბიზნესისთვის მთავარია იყოს თავისუფლება, არ იყოს შეზღუდვები. დანარჩენი უკვე კონკურენციის პირობებში, თავად ბიზნესზეა დამოკიდებული. ქვეყანაში არსებული საგადასახადო სისტემა, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ნორმალური და ლიბერალურია. თუმცა არის გარკვეული საკანონმდებლო საკითხები რომლებიც დასახვეწია“, – ამბობს კომპანია „ვისოლის“ დირექტორი ვასილ ხორავა. **□**

■ საგადასახადო დავა ორეტაპიანია, ჯერ საჩივარი შემოსავლების სამსახურში შედის, ხოლო არასასურველი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მომჩივანს უფლება აქვს შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილება დავების განხილვის საბჭოში გაასაჩივროს. საბჭოს თავმჯდომარე ფინანსთა მინისტრია, ხოლო წევრები აღმასრულებელი ხელისუფლების და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები არიან და როტაციის პრინციპს ექვემდებარებიან.



გაზიანი



ბუჩქნაირი



გაზიანი



ნატახტარის გაუფილტრავი
ყველაფერი, რაც ლუდში ფასობს

ნახთოაულის დასახუნებდა

53 წლის ჯემალ ლეონიძემ ციხე რამდენიმე თვის წინ პოლიტპატიმრის სტატუსით დატოვა. ბიზნესმენი, რომელიც რამდენიმე წლით ადრე ათობით მილიონი დოლარის ღირებულების ქონებას ფლობდა, ახლა უსახლკაროდაა დარჩენილი. ლეონიძე დაკარგული ქონების დაბრუნებას სხვადასხვა სამართლებრივი გზით ცდილობს. მსგავს მდომარეობაში ათასობით საქართველოს მოაქალაქეა. დავების საბჭოში, სასამართლოში და პროკურატურაში მათი საჩივრების რაოდენობა 20 ათასს აღწევს.

ზურაბ ვარდიამვილი

■ „დაბრუნეს“ დამფუძნებელი რამდენიმე ვერსიაზე საუბრობს, მისი აზრით ერთ-ერთი მიზეზი, თუ რატომ შეფერხდა გამოძიება, შესაძლოა, ისაა, რომ ხელი-სუფლება მსხვილი, მონოპოლისტი ბიზნესჯგუფებისგან საბოტაჟს უფრთხის. „სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, უმუშევრობა რაოდენობა 42 000 კაცით გაიზარდა, მსხვილმა ბიზნესმა წარმოებები რომ გააჩეროს, ეს დიდ ძვრებს და უკმაყოფილებას გამოიწვევს, არჩევნების წინ ამას ერიდებიან“.

ჯემალ ლეონიძემ კომპანია „მაგნატი 2006“ 2006 წელს დააარსა. მისი ძირითადი საქმიანობა ნავთობპროდუქტების შექმნა-რეალიზაცია იყო. ამისთვის კომპანიას ოთხი ნავთობტერმინალი, ორმოცდაორი ბენზინგასამართი სადგური, და სხვადასხვა ტექნიკური საშუალებები ჰქონდა. კომპანიას არაპროფილური საქმიანობის ისეთი ობიექტებიც გააჩნდა, როგორებიცაა რესტორნები „მწვანე კონცხი“, „მაგნატი გვირილა“, „იმერეთი“ და მეფრინველეობის ფაბრიკა „კოკო“.

ლეონიძე 2009 წლის 13 აგვისტოს დააპატიმრეს. მას ბრალი ყალბი დოკუმენტების გამოყენებით თაღლითური ხელშეკრულების დადებაში დაედო. ბიზნესმენი დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე და 362-ე მუხლების მიხედვით ცნეს და ათი წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

„ჯემალ ლეონიძის ეკონომიკური ფაქტობრივი გარემოება ნავთობპროდუქტის სარეალიზაციო ბაზარზე, მისი მატერიალური მდგომარეობა, მისი დამოკიდებულება „ზემოთ“ დადგენილ სანჯავის სარეალიზაციო ფასებისადმი, გახდა საფუძველი სახელისუფლებო ელიტის მიერ მისი კომ-

პანიის ხელისუფლებისადმი მორჩილი, ახლოს მდგომი პირისადმი კომპანიის გადაცემისა. სწორედ ამ მიზნით ხელისუფლებამ მიიღო ორი პოლიტიკურ გადაწყვეტილება: მისთვის ქონების წართმევა, და საპრობილეში გამწვანება“, – ეს არის ამონარიდი ადვოკატ ზურაბ თოდუას განცხადებიდან, რომლითაც მან პარლამენტს 2102 წლის 22 ოქტომბერს მიმართა. ადვოკატი პარლამენტისგან ყოფილი ბიზნესმენის პოლიტპატიმრად აღიარებას ითხოვდა, საბოლოოდ 5 დეკემბრის პლენარულ სხდომაზე კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა და ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამ დეპუტატების წინაშე 215 კაციანი სია ჩაიკითხა. ეს ადამიანები, მათ შორის ჯემალ ლეონიძე, საქართველოს პარლამენტმა 77 ხმით 14-ის წინააღმდეგ პოლიტპატიმრებად ცნო. „დღეს იმ ქონების უმეტესი ნაწილს, რომელიც დაეკარგე, მესამე ან მეოთხე მყიდველი ჰყავს. ასეთ პირზე თუ არის გადაყიდული, მათ ხომ ვეღარ წაართმევ, ამიტომ სახელმწიფომ უნდა ამინაზღაუროს. თუმცა ამ ზარალის ტარიფებიც კი არ არის დადგენილი. გასარკვევია, რა ღირდა მაშინ ბიზნესი და



ილუსტრაციები: რეალური პორტრეტი

ახლა რა ღირს“, – ამბობს ჯემალ ლეონიძე. მისი თქმით, დავა 2010 წლიდან, ჯერ კიდევ ციხეში მყოფმა დაიწყო, შედეგებს დღემდე ელის.

თვენახევრის წინ განცხადება საგადასახადო დავების საბჭოში შეიტანა, მისი ინფორმაციით, „ვისაც ქონების დაბრუნებაზე სარჩელი ან საჩივარი აქვს შეტანილი, არც ერთის საკითხი დადებითად გადაწყვეტილი არ არის“.

2012 წლის ნოემბერში ქონებადაკარგულმა ბიზნესმენებმა (და არამხოლოდ ბიზნესმენებმა) არასამთავრობო ორგანიზაცია „დააბრუნე“ ჩამოაყალიბეს, ინიციატორი კავკასუს-ონლაინის ყოფილი მფლობელი მამია სანადირაძეა. ორგანიზაცია ამ მომენტისთვის 300-მდე წევრს ითვლის.

„დააბრუნე“ 3013 წლის მაისს კონფერენცია გამართა, რომელსაც იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურის, სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ხელისუფლებას თავიანთი პრობლემები გააცნეს.

ბესარიონ გაბუნია „დააბრუნეს“ ერთ-ერთი დამფუძნებელია. მისი თქმით, ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, ქონებრივ დავებზე გამოძიება აქტიურად დაიწყო, თუმცა აპრილის ბოლოს მათი აბსოლუტური უმრავლესობა შეჩერდა. რატომ? ამაზე პასუხი გაბუნიას არ აქვს. „ჩვენც მაგას ვიკვლევთ, ვხვდებით მთავარ პროკურორს, იუსტიციის მინისტრს, ბიზნესობუდსმენს...“

„დააბრუნეს“ დამფუძნებელი რამდენიმე ვერსიაზე საუბრობს, მისი აზრით, ერთ-ერთი მიზეზი, თუ რატომ შეფერხდა გამოძიება, შესაძლოა, ისაა, რომ ხელისუფლება მსხვილი, მონოპოლისტი ბიზნესჯგუფებისგან საბოტაჟს უფრთხის. „სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, უმუშევრთა რაოდენობა 42 000 კაციით გაიზარდა, მსხვილმა ბიზნესმა წარმოებები რომ გააჩეროს, ეს დიდ ძვრებს და უკმაყოფილებას გამოიწვევს, არჩევნების წინ ამას ერიდებიან“.

თუმცა გაბუნია არჩევნების მოახლოებას იმედითაც შეჰყურებს. მისი აზრით, ქონებადაკარგული ბიზნესმენები ის თემაა, რომელსაც ხელს ყველა საპრეზიდენტო კანდიდატი მოჰკიდებს. ის მოძრაობის გააქტიურებას და აქციების გამართვას არ გამოირიცხავს. „ჩვენი წევრები ამას ითხოვენ, ხედავენ, რომ მშვიდი მოლაპარაკებით არაფერი გამოდის.“

ამ იდეის ადეკვატურობაში საქართველოს ბიზნესობუდსმენი გიორგი გახარია დარწმუნებული არ არის. ის ფიქრობს, რომ კონკრეტული შედეგების მიღება მხოლოდ ინდივიდუალური სარჩელებით და სამართლებრივი გზებით შეიძლება. „ამ კოლექტიური აქტივობებით მხოლოდ საზოგადოებრივი აზრი იქმნება, საზოგადოებრივი აზრი კი ვინმეს კონკრეტულ ქონებას ვერ დაუბრუნებს“.

„დააბრუნეს“ დამფუძნებლის ბესარიონ გაბუნიას აზრით, საგამოძიებო ორგანოები პოლიტიკურ გადაწყვეტილებას ელიან, „ამას ბიძინა ივანიშვილიც ამბობს. ხელისუფლება ხვდება, რომ 20 000 საქმეს ვერცერთი პროკურატურა, გამოძიება და სასამართლო ვერ გაუძლებს. თუმცა როგორი იქნება ეს პოლიტიკური გადაწყვეტილება, არ ვიცი. ჩემი აზრით კი, გამოძიება უალტერნატივოა, რადგან მე თუ ვითხოვ რაიმე ქონების დაბრუნებას, იქნებ ვიგონებ და არაფერი წაურთმევიათ? თუ არ გამოიძიეს, ვერავინ ვერავითარი პოლიტიკური გადაწყვეტილებით ან ბრძანებით ვერანაირ ქონებას ვერ დააბრუნებს“.

ხელისუფლებასთან ურთიერთობისას ქონებადაკარგული ბიზნესმენები ბიუროკრატიულ პრობლემებსაც აწყდებიან. მათ 18 ოქტომბერს სახელმწიფო კანცელარიაში რამდენიმე კითხვაზე პასუხების თხოვნით წერილი დატოვეს, თუმცა პასუხები თვეების შემდეგაც არ ჩანს.

„ამ ბიზნესმენებს არამართო ქონება წაართვეს, არამედ ღირსებაც შეუღალეს, მათი დიდი ნაწილი ციხეშიც იჯდა. იმ საშინელებებმა, რაზეც ახლა ვიდეო ჩანაწერების მიხედვით საუბრობენ, მათ თავზეც გადაიარა. სხვანაირად ვერავინ ვერაფერს

■ როგორც აღმოჩნდა, 2004-2005 წლებში სახელმწიფოსთვის ნაჩუქარი ქონების ღირებულებამ 4 449 292 ლარი და 218 500 აშშ დოლარი შეადგინა, 2006 წელს ნაჩუქარი ქონების ღირებულებამ – ჯამში 9 990 898 ლარი, 5 616 800 აშშ დოლარი და 10 100 ევრო, 2007 წელს კი ნაჩუქარი ქონების ღირებულებამ 123 396 887 ლარსა და 167 780 აშშ დოლარს გადააჭარბა. სახელმწიფოს ამ პერიოდში ჩუქნიდნენ როგორც მოძრავ, ასევე – უძრავ ქონებასა და სამეწარმეო წილებს. 2004-2007 წლებში სახელმწიფოსთვის ნაჩუქარი ქონების საერთო ღირებულებამ შეადგინა 137 837 077 ლარი, 6 003 080 აშშ დოლარი და 10 100 ევრო.

წაართმევდნენ, როგორ წარმოგიდგენიათ, რომ ერთ დღეს ადამიანმა გაიღვიძოს და მთელი ცხოვრება ნაწვალეში, რაც უშოვნია, ფული, სახლი თუ მანქანა, ადგეს და სახელმწიფოს თავისი ნებით აჩუქეს?“ – კითხულობს გახარია.

ორი თვის წინ არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან ინფორმაცია გამოითხოვა.

როგორც აღმოჩნდა, 2004-2005 წლებში სახელმწიფოსთვის ნაჩუქარი ქონების ღირებულებამ 4 449 292 ლარი და 218 500 აშშ დოლარი შეადგინა, 2006 წელს ნაჩუქარი ქონების ღირებულებამ – ჯამში 9 990 898 ლარი, 5 616 800 აშშ დოლარი და 10 100 ევრო, 2007 წელს კი ნაჩუქარი ქონების ღირებულებამ 123 396 887 ლარსა და 167 780 აშშ დოლარს გადააჭარბა. სახელმწიფოს ამ პერიოდში ჩუქნიდნენ როგორც მოძრავ, ასევე – უძრავ ქონებასა და სამეცნიერო ნიღებს. 2004-2007 წლებში სახელმწიფოსთვის ნაჩუქარი ქონების საერთო ღირებულებამ შეადგინა 137 837 077 ლარი, 6 003 080 აშშ დოლარი და 10 100 ევრო.


არსებობს შემთხვევები, როდესაც ფიზიკურმა პირმა კურორტ საირმეში 220 000 ლარად შეფასებული 3 694 კვ.მ. ფართი სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადასცა. სხვა ფიზიკურმა პირმა კი – გარდაბანში 1.5 ჰა მიწის ნაკვეთი, რომლის ღირებულებაც იმ დროისთვის 140 000 ლარს შეადგენდა, შპს კორპორაცია „ივერია პლიუსმა“ თბილისში, გორგასლის ქუჩაზე მდებარე 8,496 კვ.მ. 2,000,000 ლარის ღირებულების არასაცხოვრებელი ფართი შესწირა სახელმწიფოს. შპს „სნაიპერმა“ კი, – 182 500 აშშ დოლარის ღირებულების 500 ცალი პისტოლეტი „იერიხო“. შპს „ოლიმპმა“ სახელმწიფოს 217 000 ლარად შეფასებული 8 მიწის ნაკვეთი, მათზე მდგარი შენობა-ნაგებობებით უსასყიდლოდ გადასცა.

სამართლიანობის აღდგენის პროცესის სირთულეზე „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ხელმძღვანელი კახა კოჭო-

რიძეც საუბრობს: „წლების განმავლობაში უსამართლობას იმდენად სისტემური ხასიათი ჰქონდა, რომ ახლა სახელმწიფოს ამ პრობლემის მოსაგვარებლად უზარმაზარი ადამიანური და ფინანსური რესურსის დახარჯვა სჭირდება. უბრალოდ, რომ წარმოიდგინოთ, რა მასშტაბებზეა საუბარი, ერთი მაგალითიც საკმარისი იქნება: მთავარი პროკურორის ინფორმაციით, მხოლოდ უძრავი ქონების ჩუქების 9 600-ზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა. ცალკეა მოძრავი ქონება, ცალკე ბიზნესის ნიღები, რომლებიც ასევე კოლოსალურ თანხებს აღწევს. ბიუჯეტი ამას ფიზიკურად ვერ განვდება“.

იურისტის აზრით, ცხადია, არავის სჯერა, რომ „სახელმწიფოს მიმართ გლობალური ქველმოქმედების სურვილით გულანთებული მოქალაქეები მასობრივად მიდიოდნენ პროკურატურაში და ჩუქების ხელწერილებს წერდნენ. ამ ადამიანებს აიძულებდნენ, აშინებდნენ, აპატიმრებდნენ...“

„იმ შემთხვევაში, თუ წართმეული ქონება ისევ სახელმწიფოს ხელშია, პრობლემა უფრო მარტივად მოსაგვარებელი უნდა იყოს. თუმცა თუ ქონება სახელმწიფოს ხელში აღარ არის და მან კეთილსინდისიერ მყიდველზე გაასხვისა, ახლა მისთვის ჩამორთმევა არ უნდა დაინდოს. რადგან ეს სხვა უკანონოებაში გადაგვიყვანს. „ასეთი ადამიანებისთვის კომპენსაციების მექანიზმი უნდა არსებოდეს, მაქვს იდეა, რომ ამ საქმეში გამოიყენონ მიწის ის ძალიან დიდი ფართობები, რომელიც დაურეგისტრირებელია და სახელმწიფოს მფლობელობაშია“. – ამბობს კოჭორიძე.

ქონებანართმეული ბიზნესმენების პრობლემის გადაჭრა წინასაარჩევნოდ ახალი ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი მიმართულება იყო. „დააბრუნეს“ დამფუძნებელ ბესარიონ გაბუნას თუ ვერნუნებით, ამ თემის წინ წამოწევას კიდევ ერთხელ უკვე საპრეზიდენტო არჩევნები გამოიწვევს. საკითხავი მხოლოდ ისაა, იდგება თუ არა ეს საკითხი უკვე პრეზიდენტის არჩევის შემდგომი არჩევნების წინაშე?! 

ფიციანსხოვია სოსიანუხი სამახოტიანობისა და მუჟიეობისათვის

„შეასრულე მოვალეობა, გადაარჩინე ბავშვის სიცოცხლე“ – დიმიტრი ცინცადის სახელობის ფონდი, რომელიც ძირითადად ჟურნალისტებისგან შედგება, მთავრობას 12 წლის მირზა ცეცხლადის გადარჩენას ამ ლოზუნგით სთხოვდა. ლეიკემიით დაავადებულ მირზას სამკურნალოდ 100 000 ევრო სჭირდებოდა. რამდენიმეკვირიანი კამპანიის შემდეგ ჟურნალისტებმა ამ თანხის მხოლოდ ნაწილის შეგროვება შეძლეს.

თინა ყიფშიძე

25 ივნისს მირზა ცეცხლადეს სხვა, ასევე მძიმედ დაავადებულებთან შედარებით, გაუმართლა – სამკურნალო ფული ჯანმრთელობის სამინისტრომ მოიძია და დანაკლისი თანხა აანაზღაურა. სახელმწიფო მძიმე და ძვირადღირებულ ავადმყოფობებს, მით უმეტეს, საზღვარგარეთ მკურნალობის ხარჯებს რესურსებისა და სახსრების ნაკლებობის მომიზეზებით, როგორც წესი, არ ფარავს.

მძიმედ დაავადებულებისთვის თანხის შეგროვების განცხადებები პერიოდულად ვრცელდება, რამდენიმე შემთხვევაში თანხის შეგროვება მოხერხდა, თუმცა მსგავსი განცხადების გავრცელებაც და შემდეგ საქველმოქმედო კამპანიაც მაინც ერთეულ შემთხვევად რჩება. მსგავს ქველმოქმედებას სისტემური და ორგანიზებული ხასიათი არ აქვს, საზოგადოებამდე მხოლოდ რამდენიმე ადამიანის ისტორია მიდის და ამგვარი კამპანიებიც ყოველთვის წარმატებული არ არის. „ფონდმა ტასომ“ ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ და „ქალთა გლობალური ფონდის“ დონორობით „ფილანთროპიის, ქველმოქმედებისა და სოციალური პარტნიორობის შესახებ“ კანონპროექტი მოამზადა. კანონპროექტი ფილანთროპიულ და საქველმოქმედო საქმიანობას ახალისებს და ფილან-

თროპიის შემთხვევაში საგადასახადო შეღავათებს ითვალისწინებს.

ფილანთროპიული საქმიანობის ნახალისებით შესაძლოა საქველმოქმედო საქმიანობამ და ფილანთროპიამ ორგანიზებული, სისტემური სახე მიიღოს და ერთეულ შემთხვევად არ დარჩეს.

ფონდი „ტასოს“ ხელმძღვანელის მარინა თაბუკაშვილის თქმით, „ფილანთროპიის, ქველმოქმედებისა და საზოგადოებრივი პარტნიორობის შესახებ“ კანონპროექტი გულისხმობს, რომ სახელმწიფომ სოციალური სამართლიანობისა და მშვიდობისკენ მიმართული საქმიანობები ფილანთროპიად აღიაროს და კანონმდებლობით ბიზნესსა თუ თითოეულ მოქალაქეს ფილანთროპიული საქმიანობის დაფინანსების საგადასახადო და სამართლებრივი მოტივაცია გაუჩინოს.

კანონპროექტის მიხედვით, ფილანთროპია შეიძლება განხორციელდეს კონკრეტული სფეროების განვითარებისთვის, მაგალითად, როგორცაა ადამიანის უფლებების დაცვა, სიღარიბის აღმოფხვრა, ჯანმრთელობის დაცვა და პრევენცია, გარემოს დაცვა და ა.შ. ქველმოქმედება ფიზიკური პირების: დევნილების, ბავშვების, ხანდაზმულების, ბუნებრივი და ჰუმანიტარული კატასტროფების მსხვერპლების და ა.შ. დახმა-

რებას გულისხმობს. დახმარების განევის შემთხვევაში სახელმწიფომ ფილანთროპიული და საქველმოქმედო საქმიანობა არ უნდა დაბეგროს და ფილანთროპი ორგანიზაცია თუ ბიზნესი მოგების გადასახადის ნაწილისგან გაათავისუფლოს.

„ქველმოქმედება ადამიანის თუ ადამიანთა ჯგუფის გადაუდებელი, ამწუთიერი მოთხოვნის დაკმაყოფილებაა. ეს შეიძლება იყოს გადაუდებელი ოპერაცია, ძვირადღირებული წამლის ყიდვა, მინისძვრით დაზარალებულთა დახმარება. ამ შემთხვევაში ბიზნესმა, მთავრობამ, ორგანიზაციებმა, ყველამ უნდა გაიღოს დახმარება, მაგრამ ფილანთროპია გვჭირდება იმისთვის, რომ ქველმოქმედება არ დაგვჭირდეს. ფილანთროპიის კონცეპტი სოციალურ სამართლიანობას, ადამიანის უფლებების დაცვას, მათზე ხელმისაწვდომობას და მშვიდობას გულისხმობს,“ – ამბობს მარინა თაბუკაშვილი.

მსგავსი საკანონმდებლო პრაქტიკა ბევრ ქვეყანაში უკვე წლებია წარმატებულად მუშაობს. საქართველოში კი კანონი, რომელიც ბიზნესს თუ საზოგადოებას ფილანთროპიისადმი ინტერესს გაუჩენდა, დღემდე არ არსებობს. ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტის“ ხელმძღვანელის, ლია მუხაშვილის თქმით, საკანონმდებლო ბაზისა და შესა-

ბამისი შეღავათების არარსებობის გამო ბიზნესი ფილანთროპიულ და საქველმოქმედო ინტერესს ნაკლებად ამჟღავნებს. რამდენადაც ფილანთროპიის იმგვარი ტრადიცია, რომელიც დასავლეთში წლების განმავლობაში განვითარდა, ჩვენთან არ არსებობს და მას საკანონდებლო რეგულირება აუცილებლად სჭირდება.

„ინგლისში ოფისებში თუ სხვაგან მუდმივად აგროვებენ-ხოლმე ფულს, დღესასწაულებითაა. იქ დღესასწაულებს ვილაციის დახმარებით აღნიშნავენ. სოლიდარობის განცდა ჩვენს საზოგადოებაშიც არსებობს, ასე გადავიტანეთ 90-იანი წლები, მაგრამ ჩვენი ქველმოქმედება რომ უფრო რეგულირებული და ცივილიზებული გახდეს, ასეთი ორგანიზების ფორმები უნდა შეიქმნოს,“ - ამბობს ლია მუხაშავერია.

რაც შეეხება ბიზნესს, მუხაშავერია თვლის, რომ საქართველოში ბიზნესი საკუთარ სოციალურ პასუხისმგებლობას ნაკლებად გრძნობს. ამიტომაც მისთვის ბიძგის მიმცემად და წამხალისებლად კანონში განერილი საგადასახადო შეღავათები უნდა იქცეს.

„არ ვფიქრობ, რომ საქართველოში ბიზნესებს სოციალური პასუხისმგებლობის ისეთივე გრძნობა აქვთ, როგორც დასავლეთში. მათ იქამდე გაზრდა სჭირდებათ, ამისთვის კი საგადასახადო და სხვა შეღავათები უნდა უქმნიდეთ მოტივაციას. როდესაც ეს გამოცდილება დაუგროვდებათ, სარგებელს დაინახავენ და ა.შ. მერე გახდებიან სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობის მქონენი. დღეს ბიზნესმა ქველმოქმედება თუ გასწია, საშემოსავლო გადასახადით მაინც იბეგრება. მაგალითად, თუ რომელიმე სასტუმრომ დარბაზი კი არ მომაქირავა, არამედ მათხოვა, მას საშემოსავლოს გადახდა მაინც მოუწევს. ასეთ პირობებში მისთვის ქველმოქმედება უაზრობაა.“ - ამბობს ლია მუხაშავერია.

ფილანთროპიის შესახებ კანონის შემოღების მცდელობები წარსულშიც იყო. „კონსულტაციისა და ტრენინგების ცენ-



ქველმოქმედება ფიზიკური პირების: დევნილების, ბავშვების, ხანდაზმულების, ბუნებრივი და ჰუმანიტარული კატასტროფების მსხვერპლების და ა.შ. დახმარების გულისხმობს. დახმარების განვიც შემთხვევაში სახელწიფომ ფილანთროპიული და საქველმოქმედო საქმიანობა არ უნდა დაბეგროს და ფილანთროპი ორგანიზაცია თუ ბიზნესი მოგების გადასახადის ნაწილისგან გაათავისუფლოს.

ტრი“ ამ მიმართულებით რამდენიმე წლის წინ მუშაობდა. ექვს წამყვან ბიზნეს ორგანიზაციასთან და რამდენიმე საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან კვლევა ჩატარდა, რომლის მიხედვითაც გაირკვა, რომ ბიზნესის წარმომადგენლები საზოგადოებრივ სფეროში მომუშავე ორგანიზაციებს, მათ ვინც სხვადასხვა ჯგუფებთან – შშმ პირებთან და ბავშვებთან მუშაობენ, ნაკლებად ან თითქმის არ იცნობენ. არასამთავრობო ორგანიზაციებს კი საკუთარი ცნობადობის გაზრდისა და ბიზნესისთვის საკუთარი ორგანიზაციის წარდგენისთვის საჭირო თანხები არ გააჩნიათ.

კვლევის მიხედვით, ბიზნესისთვის ფი-

ნანსური რესურსების გაცემის მთავარი მიზანი კომპანიის ცნობადობის გაზრდაა და მათი სოციალური პასუხისმგებლობა უმეტესწილად სპონსორობით შემოიფარგლება. სპონსორობა მარკეტინგის ნაწილად განიხილება, ბიზნესი კი, როგორც წესი, სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში განხორციელებულ პროექტს მარკეტინგულ აქტივობად არ მიიჩნევს.

გარდა დაბალი სოციალური პასუხისმგებლობისა, ფილანთროპიულ საქმიანობაში ბიზნესს სხვა ფაქტორებიც უშლიდა ხელს.

„ბიზნესმენებმა არ იცოდნენ ან არ იყენებდნენ საგადასახადო კოდექსში მაშინ არსებულ შეღავათებს, რომლის მიხედვითაც წლიური მოგების 10 პროცენტი საქველმოქმედო ღონისძიებებზე შეგიძლია დახარჯო და შესაბამისად მოგების ნაკლები გადასახადი გადაიხადო. იმათაც ვინც იცოდნენ, ამ შეღავათს არ იყენებდნენ. იმ ორგანიზაციებში, რომლებსაც საქველმოქმედო სტატუსი აქვთ და რომლის დაფინანსებასაც ბიზნესი შეძლებდა, ცნობადი ორგანიზაცია სულ 3-4-ია. ვინ არიან, არც ჩვენ და არც ბიზნეს ორგანიზაციებმა არ ვიცით, შესაბამისად ნდობაც ნაკლები აქვთ“, - ამბობს „კონსულტაციისა და ტრენინგების ცენტრის“ თანამშრომელი თამარ ცირეკიძე.

თამარ ცირეკიძის თქმით, კიდევ ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი შექმნილი პოლიტიკური კონტექსტი იყო: „კვლევაში გაცხადებული არ ყოფილა, მაგრამ ჩვენთვის ბიზნესორგანიზაციების წარმომადგენლებს უთქვამთ, რომ ვისაც უნდოდათ, იმას ვერ დააფინანსებდნენ, მათ ამისათვის საჭირო თავისუფლება არ ჰქონდათ.“

„ფილანთროპიის, ქველმოქმედებისა და სოციალური პარტნიორობის შესახებ კანონის“ მიღების შემთხვევაში გამოჩნდება რეალურად რამდენად გრძნობს ბიზნესი საკუთარ სოციალურ პასუხისმგებლობას და რამდენად შეძლებენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები ბიზნესებამდე საკუთარი პრობლემების მიტანას. **□**

პიხაშიდაზის სიბი და სხაბედი

„ოქროს ირემი“ გაკოტრდა – ფინანსური პირამიდა დაინგრა და ქვეშ ათასობით დაზარალებული ოჯახი მოიყოლა. მოკლე დროში და ნაკლები ძალისხმევით გამდიდრების ბევრმა მსურველმა ფული სამუდამოდ დაკარგა.

მანანა ვარდიაშვილი



„სულ 3700 დოლარი შევიტანე. მეუღლეს ოპერაციის გაკეთება სჭირდებოდა და ვიფიქრე, რომ ოპერაციის ფული მაინც გვექნებოდა. ეს ფული თვიურ 15%-ად კერძო პირისგან ვისესხე. მოგებას აღარ ვჩივი, ჩემი შეტანილი თანხა დამიბრუნონ. რა წყალში ჩავვარდე აღარ ვიცი. ამხელა პროცენტის გადახდას ვეღარ აფუდივარ. კერძო მევახშე რამეს შემარჩენს?“, – ამბობს მზია. შპს „ოქროს ირემი“ მან თანხა 2013 წლის იანვარში შეიტანა. თვენახევარში პირველი შენატანიც უნდა აელო და 300-პროცენტისანი მოგებაც, მაგრამ 6 კვირის შემდეგ ფინანსური პირამიდაც დაიმსხვრა და სწრაფი გამდიდრების ილუზიაც.

2012 წლის ბოლოს ქართულ საფინანსო ბაზარზე პონციის ფინანსური პირამიდის სქემით მომუშავე რამდენიმე კომპანია გამოჩნდა. პონცის სქემა საინვესტიციო აფიორის ცნობილი სახეა, რომელიც ინვესტორებს ამონაგებს მომდევნო ინვესტორების მიერ გადახდილი ფულიდან უხდის.

შპს „ოქროს ირემი“ (GOLD DEER) 2012 წლის 29 ნოემბერს დარეგისტრირდა. მისი 100-პროცენტისანი წილის მფლობელი და დირექტორი ნესტან ავალიანი იყო. „ოქროს ირემის“ ოფისი თავდაპირველად ვაკეში, ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე ერთ-ერთ პრესტიჟულ საცხოვრებელ სახლში განთავსდა და ანაბარზე მოგების არარეალურად მაღალი მარჟის შეთავაზებით ბევრი მომხმარებელიც მიიზიდა.

მენაბრეებს რეკორდულად მცირე დროში, 6 კვირაში უზარმაზარ სარგებელს – 850 დოლარის სანაცვლოდ 2400 დოლარს ჰპირდებოდა. მას, ვისაც სრული პაკეტის – 850 დოლარის ერთდროულად შეტანის შესაძლებლობა არ ჰქონდა, შეეძლო მხოლოდ 170 დოლარი შეეტანა, სანაცვლოდ კი კომპანიაში 4 ადამიანი უნდა მიეყვანა. არანაკლებ მაცდური იყო კომპანია „2012 + უსასრულობის“ პირობები, რომელიც მომხმარებელს ოთხ კვირაში თანხის გაოთხმაგებას სთავაზობდა.

„კომპანიას აქვს წელიწადნახევრიანი მარკეტინგული პროექტი, რომელიც ჩვეულებრივად ფინანსურ სქემაზეა გათვლილი. ჩვენ ვმუშაობთ ქსელური მარკეტინგის პრინციპით. კომპანიამ უნდა შემოიტანოს სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკა. ამონაგები ფულით გვინდა

დავეხმაროთ საქართველოს მოსახლეობას. ეს არის სოციალური დახმარება. იმისთვის, რომ რაც შეიძლება ბევრ ადამიანს დავეხმაროთ, დავანესეთ შეზღუდვა: თითო ადამიანს საკუთარ სახელზე მაქსიმუმ 4 პაკეტის გახსნა შეუძლია“, – ასე უხსნიდა ნესტან ავალიანი მენაბრეებს კომპანიის საქმიანობის არსს.

მოუხედავად იმისა, რომ ეროვნულმა ბანკმა მოსახლეობას პონცის ფინანსური პირამიდის სქემით მომუშავე კომპანიებთან ურთიერთობისას სიფრთხილისკენ მოუწოდა და გააფრთხილა, რომ მსგავსი კომპანიები ეროვნული ბანკის ზედამხედველობის და კონტროლის ქვეშ არ იმყოფებოდნენ, „ოქროს ირემის“ და „2012 + უსასრულობის“ ოფისების კართან მომხმარებელთა რიგები დადგა. თავიდან ყველა კმაყოფილი იყო, რადგან „ქსელური მარკეტინგის სქემით“ მომუშავე ორგანიზაციის საქმიანობაში ჩაბმის მსურველი ბევრი აღმოჩნდა. პრობლემამ თავი მაშინ იჩინა, როცა კომპანიაში ფულის შეტანის მსურველთა რაოდენობა შემცირდა.

პონცის ფინანსური პირამიდის სქემით მომუშავე კომპანიების ფინანსური კატასტროფა რომ გარდაუვალი იყო, ეს ყველა მენაბრემ კარგად იცოდა: გასული საუკუნის მინურულს ამავე სქემით მომუშავე კომპანიების – „არის“, „ოქროს თასის“ თუ „საქართველოს“ მეშვეობით არაერთი მოქალაქე დაზარალდა. მაგრამ სულ რაღაც თვენახევარში და უშრომელად გამდიდრების სურვილს დაუძლეველი ხიბლი აღმოაჩნდა.

„ყველამ იცოდა, რომ ადრე თუ გვიან ეს კომპანია გაკოტრდებოდა და ვილაც-ვილაცები ფულს დაკარგავდნენ. მაგრამ მოსწრებაზე იყო ყველა, მათ შორის მეც. ჩემმა რამდენიმე ახლობელმა ამ კომპანიის მეშვეობით დიდი ფული მოიგო. ერთმა ახალთახალი „მერსედესი“ იყიდა, მეორემ – ფართი მშენებარე ბინაში. მეც ვფიქრობდი, რომ ორ თვეში ფულს ავიღებდი და დაზარალებულთა რიგებში არ მოვხვდებოდი. ეს არის სიმართლე. ექსპერტებიც ამბობდნენ, რომ საქართველოს მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე, კომპანიას მინიმუმ 8 თვის განმავლობაში პრობლემა არ შეექმნებოდა. თუმცა, „ოქროს ირემმა“ 8 კი არა, 4 თვეც ვერ გაქაჩა,“ – ამ-

■ „ოქროს ირემის“ გაკოტრების გამო დაზარალებულთა რიცხვი რამდენიმე ათასია. დაზარალებულთა ინფორმაციით, ზარალი 10 მლნ დოლარს აჭარბებს. განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში არიან ის ადამიანები, რომლებმაც დაპირებული 300%-იანი მოგების მიღების მიზნით თანხა კერძო მევახშეებისგან ისესხეს. ბევრ მათგანს სესხი თვიურ 15%-ად ჰქონდა აღებული და ახლა ფაქტობრივად უსახლკაროდ რჩებიან. „ოქროს ირემის“ წინ თითქმის ყოველ დღე საპროტესტო აქციას, მაგრამ უკვე გვინათ.

■ „სასესხო ხელშეკრულებაში ჩადებული უნდა იყოს შესაბამისი უზრუნველყოფის გარანტია. ეს შეიძლება იყოს უძრავი ქონება, ან სხვა სახის გარანტია, რომელიც სესხის გამცემს ფულის დაუბრუნებლობის შემთხვევაში ქონების რეალიზაციის გზით საკუთარი თანხის დაბრუნების შესაძლებლობას მისცემს. „ოქროს ირემსა“ და მის მენაბრეებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში ასეთი გარანტია ჩადებული არ არის. როგორც ირკვევა, „ოქროს ირემს“ არანაირი ქონება არ აქვს. შესაბამისად, დაზარალებულები საკუთარი თანხის მიღებას ვერც კომპანიის ქონების რეალიზაციიდან შეძლებენ“.

ბობს ლია კ-შვილი, რომელმაც მეგობართან ერთად კომპანიაში 28 000 დოლარი შეიტანა. ლიამ ძვირფასეულობა დააგირავა, მისმა მეგობარმა კი – ბინა.

„ოქროს ირმის“ გაკოტრების გამო დაზარალებულთა რიცხვი რამდენიმე ათასია. დაზარალებულთა ინფორმაციით, ზარალი 10 მლნ დოლარს აჭარბებს. განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში არიან ის ადამიანები, რომლებმაც დაპირებული 300%-იანი მოგების მიღების მიზნით თანხა კერძო მევახშეებისგან ისესხეს. ბევრ მათგანს სესხი თვიურ 15%-ად ჰქონდა აღებული და ახლა ფაქტობრივად, უსახლკაროდ რჩებიან. „ოქროს ირმის“ წინ თითქმის ყოველდღე საპროტესტო აქციაა, მაგრამ უკვე გვიანია.

„ოქროს ირმის“ ოფისმა უკვე რამდენიმე მისამართი შეიცვალა. მისამართის მუდმივი ცვლილებით იმ ადამიანებს გაურბიან, რომლებიც ორგანიზაციისგან კუთვნილი თანხის დაბრუნებას უკვე რამდენიმე თვეა უშედეგოდ ელიან.

ნესტან ავალიანი – ის, ვინც რამდენიმე თვის წინ ათასობით ადამიანს დიდი ენთუზიზმით უხსნიდა ფინანსური პირამიდის ხიზლს და დიდ სარგებელსაც ჰპირდებოდა, ახლა ტელეფონს აღარ პასუხობს. მისი თანამშრომლების ნაწილი აცხადებს, რომ „ოქროს ირემთან“ არანაირი კავშირი აღარ აქვს. შეიძლება თუ არა მენაბრეები „ოქროს ირმის“ ახალი ოფისის, ან პასუხისმგებელი პირების მიკვლევას, ჯერ არ იცინა.

დაზარალებულთა ნაწილი სამართლებრივი ბრძოლისთვის ემზადება, თუმცა გაირკვა, რომ მენაბრეთა კუთვნილი თანხის დაბრუნების შანსი ნულის ტოლია. „ეს ხელშეკრულება საერთოდ არ ჰგავს სესხის ხელშეკრულებას,“ – ამბობს ადვოკატი მირიან ქაჯაია, – „სასესხო ხელშეკრულებაში ჩადებული უნდა იყოს შესაბამისი უზრუნველყოფის გარანტია. ეს შეიძლება იყოს უძრავი ქონება, ან სხვა სახის გარანტია, რომელიც სესხის გამცემს ფულის დაუბრუნებლობის შემთხვევაში ქონების რეალიზაციის გზით საკუთარი თანხის დაბრუნების შესაძლებლობას მისცემს. „ოქროს ირემსა“ და მის მენაბრეებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში ასეთი გარანტია ჩადებული

არ არის. როგორც ირკვევა, „ოქროს ირემს“ არანაირი ქონება არ აქვს. შესაბამისად, დაზარალებულები საკუთარი თანხის მიღებას ვერც კომპანიის ქონების რეალიზაციიდან შეძლებენ“.

„ოქროს ირმის“ იურიდიული მისამართია ჭყონდიდელის 37. თუმცა სახლი კომპანიის საკუთრებას არ წარმოადგენს. 2013 წლის 28 მარტს შპს „ოქროს ირმის“ რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილება შევიდა. ნესტან ავალიანი შპს-ს კუთვნილი 100 პროცენტადან 50% კობა ამბარდნიშვილს დაუთმო. რას აპირებენ პარტნიორები უახლოეს მომავალში, ეს დაზარალებულთათვის უცნობია.

„ის ფაქტი, რომ წარსული გამოცდილების მიუხედავად ფინანსურ ბაზარზე მაინც გაჩნდა პონციის პირამიდის სქემით მომუშავე კომპანიები, გასაგებია: მას შემდეგ თითქმის 20 წელი გავიდა და ხალხს შესაძლოა, ყველაფერი კარგად აღარ ახსოვს,“ – ამბობს „ლიბერალთან“ საუბარში „ახალი ეკონომიკური სკოლა – საქართველოს“ პრეზიდენტი, პაატა შეშელიძე, – „მაგრამ იმ ფაქტს, რომ ეს კომპანიები ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ გაჩნდა, გარკვეული ახსნა აქვს: „ქართული ოცნება“ მოვიდა გრანდიოზული დაპირებებით, რომ ზარალს ყველა დაზარალებულს აუნაზღაურებდა. არხეინობის განცდა გაჩნდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს გარკვეული სტიმული გახდა იმ ადამიანებისთვის, რომლებიც წარსულში დაზარალდნენ და ასევე მათთვის, ვინც მომავალში დაზარალდებოდა. და მეორე და უმთავრესი: ფინანსური პირამიდის სქემით მომუშავე კომპანიებს ამდენი ადამიანი რომ მიენდო, ეს იმაზე მიუთითებს, რომ ხალხის დიდ ნაწილს სხვა წყაროებიდან შემოსავლების მიღების შანსი არ აქვს და რეალურ ბიზნესში ფულის ჩადებას ისევე ვერ რისკავს“.

„ოქროს ირმის“ დაზარალებულ მენაბრეთა ნაწილი ამბობს, რომ პირველადი შენატანის დაბრუნების შემთხვევაშიც კი მათ კერძო მევახშეებისგან აღებული პროცენტიანი ვალის დაფარვა წლობით მოუწევთ. მთავრობა მევახშეებისგან მოსახლეობის დაცვის მექანიზმებზე მუშაობს, რომელიც ჯერ კიდევ მომავლის პერსპექტივაა. ■

იაფი ხედიხების ჰიოჯი სამი თვის შებებ

თითქმის სამი თვეა შეღავათიანი აგროკრედიტების პროექტი მიმდინარეობს. როგორც პროექტის დასაწყისში ვწერდით, ამჯერადაც მენარმეების მთავარი პრობლემა ბანკებთან ურთიერთობას ეხება. როგორც ისინი ამბობენ, ბანკები აგროსესხებს მკაცრად გასცემენ, სანაცვლოდ კი საკმაოდ მაღალ ფინანსურ თუ ქონებრივ უზრუნველყოფას ითხოვენ.

სოფლის მეურნეობის სამინისტროში ამბობენ, რომ პროექტის შეფასება
ჯერ კიდევ ნაადრევია.

თათია ხალიანი



■ „ნებისმიერი მსესხებელი უნდა აცნობიერებდეს, რომ თუ მას მდგრადი პროექტი არ გააჩნია, რომელიც კრედიტის გადახდისუნარიანია, ვერ მიიღებს სესხს. არ უნდა ყოფილიყო მოლოდინი, რომ კრედიტს ყველა მიიღებდა, ვისაც კი ამის სურვილი ექნებოდა. ეს არის ბიზნესზე ორიენტირებული პროექტი“.

„ნებისმიერი მსესხებელი უნდა აცნობიერებდეს, რომ თუ მას მდგრადი პროექტი არ გააჩნია, რომელიც კრედიტის გადახდისუნარიანია, ვერ მიიღებს სესხს. არ უნდა ყოფილიყო მოლოდინი, რომ კრედიტს ყველა მიიღებდა, ვისაც კი ამის სურვილი ექნებოდა. ეს არის ბიზნესზე ორიენტირებული პროექტი,“ – ამის შესახებ სოფლის მეურნეობის მინისტრმა შალვა ფიფიამ 23 ივნისს მედიატურის ფარგლებში ჟურნალისტებთან შეხვედრაზე ისაუბრა. მისივე თქმით, ორ თვე-ნახევარში 35 მილიონი ლარის სესხია გაცემული, რაც წინა წლების აგროსფეროს დაფინანსებასთან შედარებით შთამბეჭდავი რაოდენობაა.

„შელავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ დაწყებისთანავე შპს. „ბიომაქსის“ დირექტორმა, იარაკლი აბაშიძემ ბიზნეს პროექტები მოამზადა და ბანკებს მიმართა. ერთი პროექტი სასათბურე მეურნეობის განვითარებას ეხებოდა, მეორე ბოსტნეულის გადამამუშავებელი საწარმოს ამოქმედებას. ორი თვის განმავლობაში სესხის აღებას უშედეგოდ ცდილობდა. როგორც ამბობს, ყველა ბანკი მოიარა, თუმცა რამდენიმე დღის წინ „ბაზისბანკმა“ სასათბურე მეურნეობისთვის შედარებით მცირე კრედიტი დაუმტკიცა. 30 ათას ლარიან კრედიტში კი ბანკმა უზრუნველყოფაში სალიკვიდაციო ქონება 57 ათას ლარად შეუფასა.

რაც შეეხება ბოსტნეულის გადამამუშავებელი საწარმოს შექმნას, რომელიც ბოსტნეულის დაჭრას, გარეცხვას, გაშრობას და დაფასოებას ეხებოდა, უარი მიიღო. კომპანიამ დაახლოებით 140 კვების ობიექტზე გამოკითხვა ჩაატარა და 90%-მა სურვილი გამოთქვა ამგვარად დამუშავებული პროდუქცია მიეღო. ამის შემდეგ, დასრულებული ბიზნესგეგმით მენარმემ ბანკებს მიმართა, რომ პროექტი მესამე კომპონენტის ფარგლებში დაეფინანსებინათ, რომელიც სოფლის მეურნეობის საწარმოს შექმნას ითვალისწინებდა. ბანკი მენარმეს რამდენიმე დღეში დაუკავშირდა და უთხრა, რომ მათ მიმართეს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს, იქედან კი პასუხი მიიღეს, რომ აღნიშნული პროექტი სოფლის მეურნეობის განვითარებას არ უწყობს ხელს და ამიტომ

შელავათიანი პროგრამით ვერ დაფინანსდება.

ირაკლი აბაშიძისგან განსხვავებით, განაცხადის წარდგენიდან ერთ თვეში დაუმტკიცეს სესხი მენარმე გიორგი ყანჩაველს, რომელიც გორის რაიონის სოფელ ვარიანში საკალმახე მეურნეობის მფლობელია. „შელავათიანი აგროკრედიტების პროექტის ფარგლებში“ მან 336 000 აშშ დოლარის სესხი აიღო, რითაც მეურნეობის გაფართოებას და წელიწადში 300 ტონამდე თევზის მოშენებას გეგმავს. ბანკს ბიზნესგეგმით რამდენიმე თვის წინ მიმართა. მეურნეობის ნახვის და შეფასების შემდეგ, ბანკმა 13%-იანი სესხი დაუმტკიცა, საიდანაც 12% პროცენტს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი იხდის, ხოლო მენარმეს 1%-ის გადახდა სამთვლიანი საშელავათო პეროდის გასვლის შემდეგ მოუწევს. როგორც მენარმე ამბობს, მან უზრუნველყოფაში გორში და თბილისში არსებული სახლები ჩადო.

საქართველოს ფერმერთა ასოციაციის ხელმძღვანელი, ნინო ზამბახიძე ამბობს, რომ ასოციაციაში შემავალი შვიდასამდე ფერმერიდან აგროკრედიტი მხოლოდ ერთმა მენარმემ აიღო. მიუხედავად იმისა, რომ მენარმეების აქტიუობა მაღალია და თითქმის ყველა ფერმერმა გააკეთა განაცხადი აგროსესხზე, ბანკები მათ მოთხოვნას არ აკმაყოფილებენ.

„ძალიან ჭირს აგროკრედიტის აღება, რადგან ბანკები რისკებს ძალიან ძვირად აფასებენ, ითხოვენ დიდ უზრუნველყოფას, რაც ფერმერს არ გააჩნია. სააგენტოს და სოფლის მეურნეობის სამინისტროს აქვს გარკვეული მონაცემები, მაგრამ პირადი გამოცდილებით შემიძლია გითხრათ, რომ მხოლოდ ერთმა აიღო სესხი. ისიც მეორე კომპონენტში 60 ათასი ლარის ოდენობით, უზრუნველყოფაში კი დაახლოებით 120 ათასი ლარის აქტივი აქვს ჩადებული,“ – ამბობს ზამბახიძე.

როგორც ცნობილია, „შელავათიანი აგროკრედიტების პროექტი“ სამ კომპონენტისაა. პირველი კომპონენტი მცირე მენარმეებისთვის 5 000 ლარამდე უპროცენტო სასაქონლო განვადებას გულისხმობს.

საფინანსო ორგანიზაციებსა და სასოფლო-

-სამეურნეო მაღაზიებს შორის ხელშეკრულებები ფორმდება. მაღაზია ფერმერს შესასყიდი პროდუქციის საფასურის ანგარიშს უწერს, რომელსაც საფინანსო ინსტიტუტი ანაზღაურებს. ფერმერს შეუძლია, გარდა სასუქისა, მაღაზიიდან მისთვის საჭირო საწარმო საშუალებები გამოიტანოს. განვადებთ 6-თვიანია. ვადის გასვლის შემდეგ, თუ მენარმე სესხს ვერ დაფარავს, მას წლიური 36% დაერიცხება. ამ კომპონენტში მენარმეს ბიზნესგეგმის დაწერა ან რაიმე განსაკუთრებული ბიზნესგანაცხადის მომზადება არ სჭირდება.

მეორე კომპონენტი 8%-იან სესხს გულისხმობს და საშუალო და მსხვილი ფერმერებისთვისაა. კრედიტის მოცულობა არა უმეტეს 2 წლის ვადით 5 000-დან 100 000 ლარამდეა. ამ კომპონენტში სესხი სასოფლო-სამეურნეო ისეთი საქმიანობის დასაფინანსებლად გაიცემა, როგორცაა, საბრუნავი (ერთწლიანი კულტურების სათესი და სარგავი მასალა, პესტიციდები, სასუქები, არასანაშენი და მოზარდი პირუტყვის ვეტერეპარატების შექენა და ა.შ.) და ძირითადი საშუალებების (სანაშენი პირუტყვის, ფრინველის და თევზის შექენა, სათბურის შექენა, სარწყავი სისტემის მოწყობა) დაფინანსება.

პროექტის მესამე კომპონენტი სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისთვისაა და 60 ახალი საწარმოს დაფინანსებას ითვალისწინებს. ერთ მილიონ ლარამდე სესხი სამპროცენტია-ნია და არაუმეტეს 7 წლის ვადით გაიცემა.

პროექტში 11 ბანკი და 3 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მონაწილეობს.

სახელმწიფოს და ბანკებს შორის შეთანხმების შედეგად, პროცენტის მაქსიმალური რაოდენობა 17%-ით განისაზღვრა. მას შემდეგ, რაც მენარმე სესხის აღებას გადაწყვეტს, მან ბიზნესგეგმით ბანკებს უნდა მიმართოს. ისინი განაცხადებს განიხილავენ და დადებითი პასუხის შემთხვევაში, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი სესხის თანადაფინანსებელი ხდება და აღებული კრედიტის 9%-ს იხდის. გარდა ამისა, ფონდი ბანკებს გარანტიას აძლევს, რომ თუ მენარმე ვერ დააბრუნებს სესხს, ძირითადი თანხის ერთ მესამედს დაუფარავს.

2013 წელს პროექტისთვის სოფლისა და სოფლის მეურნეობის ფონდიდან 36 მილიონი ლარია გამოყოფილი.

„ბანკი ქართუ“ ერთ-ერთია ცამეტი ბანკიდან, რომელიც იაფი კრედიტების პროგრამაშია ჩართული. ბანკის მონაცემებით, ამ დროისთვის მეორე კომპონენტის ფარგლებში დაახლოებით 450,000 ლარის ოდენობის 6 სესხია გაცემული. მესამე კომპონენტის ფარგლებში კი 935,000 აშშ დოლარით სამი საწარმო დაფინანსდა.

რაც შეეხება სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მონაცემებს, 23 ივნისის მდგომარეობით სულ 2 761 მსესხებელზე 35 მილიონ 624,936 ლარია გაცემული. აქედან, პირველ კომპონენტში, რომელიც ეხება განვადებებს 1666 მენარმე დაფინანსდა და საერთო თანხამ 811,731 ლარი შეადგინა. მეორე კომპონენტში, 1046 მენარმემ მიიღო იაფი აგროკრედიტი 21 მილიონ 66,377 ლარის ოდენობით, ხოლო მესამე კომპონენტში 54 გაიცა სესხი 8 მილიონ 366,735 დოლარის ოდენობით.

ორჯერ მეტ უზრუნველყოფასთან ერთად, რასაც ბანკები ითხოვენ, მენარმეების უკმაყოფილება რეფინანსირების შეზღუდვასაც ეხება. როგორც ისინი ამბობენ, ფერმერების უმეტესობას პროექტის დაწყებამდე ჰქონდა უკვე სესხი აღებული და ახალი სესხით ძველის გადაფარვა უნდოდადო, რასაც იაფი კრედიტების პროექტი არ ითვალისწინებს.

სოფლის მეურნეობის მინისტრ, შალვა ფიფიას განცხადებით, რეფინანსირება გარკვეულწილად შეზღუდულია და მესამე კომპონენტში საერთოდ არ არის დაშვებული.

„მეორე კომპონენტში რეფინანსირება დავუშვით იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ფერმერი, რომელიც წინა წლებში 30%-ამდე იხდიდა და კეთილსინდისიერად მუშაობდა, არ უნდა დაიჩაგროს. ოღონდ რეფინანსირება დაშვებულია მხოლოდ ერთი პირობით: გაცემული პორტფელის მხოლოდ 1/3 შეიძლება იყოს რეფინანსირებული. მიზანი არ იყო არსებული პორტფელის რეფინანსირება, მიზანი იყო მსესხებელთა ბაზის გაზრდა,“ – განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრმა. □

■ „საქართველოს ფერმერთა ასოციაციის ხელმძღვანელი, ნინო ზამბახიძე ამბობს, რომ ასოციაციაში შემავალი შვიდასამდე ფერმერიდან აგროკრედიტი მხოლოდ ერთმა მენარმემ აიღო. მიუხედავად იმისა, რომ მენარმეების აქტივობა მაღალია და თითქმის ყველა ფერმერმა გააკეთა განაცხადი აგროსესხზე, ბანკები მათ მოთხოვნას არ აკმაყოფილებენ. „ძალიან ჭირს აგროკრედიტის აღება, რადგან ბანკები რისკებს ძალიან ძვირად აფასებენ, ითხოვენ დიდ უზრუნველყოფას, რაც ფერმერს არ გააჩნია.“

პრემიერის ვიზიტი ისრაელში და ქართულ-ებრაელი ინტელექტუალები

ისრაელი საქართველოსთვის უპირველესად სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის თვალსაზრისითაა საინტერესო. პრემიერის ვიზიტის ფარგლებში ძირითადი ყურადღება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებების დაწყებას და სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციასა და გაუქმებას დაეთმო, რამაც ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობა ახალ საფეხურზე უნდა აიყვანოს.

ვასო კუჭუხიძე

24-25 ივნისს საქართველოს დელეგაცია პრემიერ-მინისტრის მეთაურობით ისრაელში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა, რომლის ფარგლებშიც ბიძინა ივანიშვილი ისრაელის პრეზიდენტ შიმონ პერესს, პრემიერ ბენიამინ ნეთანიჰუსა და ქნესეთის სპიკერ იული ედელშტაინს შეხვდა. მიუხედავად იმისა, რომ ვიზიტამდე რამდენიმე დღით ადრე საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ ებრაულ გამოცემასთან საუბრისას ისრაელთან უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობის აღდგენის აუცილებლობაზე ისაუბრა, ქართული დელეგაციის წარმომადგენლების განცხადებით, განსახილველი საკითხები ძირითადად სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების გაღრმავებას ეხებოდა.

საქართველოსა და ისრაელს შორის უკანასკნელ წლებში გაცივებული ურთიერთობის ფონზე პრემიერის საკმაოდ დიდი დელეგაციის თანხლებით ვიზიტი ისრაელში ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის აღდგენისთვის გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯად შეიძლება შეფასდეს. ერთმანეთის მიმართ გარკვეული ინტერესების ქონა კი ქვეყნებს ურთიერთობის სწრაფად ნორმალიზების აუცილებლობის წინაშე აყენებს და რაც უფრო მალე მოხდება ეს, მით უფრო მომგებიანი იქნება ორივე ქვეყნისთვის.

ისრაელი საქართველოში საბჭოთა კავშირის დაშლიდან მალე გააქტიურდა. 90-იან წლებში დაწყებული ბიზნესთანამშრომლობა ოცდამეერთე საუკუნეში სამხედრო თანამშრომლობაში გადაიზარდა და საქართველოს სამართალდამცავი თუ სამხედრო ძალების გარკვეული ნა-

წილი სწორედ ებრაული იარაღით აღიჭურვა. იმის გათვალისწინებით, რომ იარაღის ბიზნესი ისრაელის ეკონომიკის ერთ-ერთ ბურჯს წარმოადგენს, საქართველო მისთვის საინტერესო იყო როგორც მცირე, მაგრამ პერსპექტიული ბაზარი. თანამედროვე ტიპის შეიარაღებას თან ებრაელი სამხედრო ინსტრუქტორებიც მოჰყვებოდნენ და ქართულ შეიარაღებულ ძალებშიც მუშაობდნენ. სამხედრო სფეროში თანამშრომლობა ორივე მხარის ინტერესებზე იყო დაფუძნებული და სულ უფრო ღრმავდებოდა. თუმცა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ განვითარებული უსიამოვნო ფაქტების მთელი კასკადი ურთიერთობაზე უარყოფითად აისახა.

უნდობლობა ურთიერთობაში Wikileaks-ის საშუალებით გავრცელებული ინფორმაციის შემდეგ გაჩნდა, რომლის მიხედვითაც, ისრაელმა რუსეთს გადასცა საქართველოსთვის მიწოდებული შეიარაღების კოდები, ირანის რუსული შეიარაღების კოდების სანაცვლოდ. ამას მოჰყვა ქართული საარტილერიო სისტემის პრეზენტაციაზე მიხეილ სააკაშვილის მიერ გაკეთებული განცხადება, რომელშიც პრეზიდენტი „ვილკას“ სამხედრო ინფორმაციის საქართველოს მტრებისთვის მიწოდებაში ადანაშაულებდა. ბოლოს კი ქრთამის გაცემის ბრალდებით საქართველოში დააპატიმრეს ორი ებრაელი ბიზნესმენი რონი ფუქსი და ზევე ფრენკელი, რომლებიც ისრაელის იარაღის ბიზნესში უმნიშვნელო ფიგურებს წამდვილად არ წარმოადგენდნენ. ამის შემდეგ საქართველო-ისრაელს შორის ურთიერთობა მნიშვნელოვნად გაცივდა, რასაც მოგვიანებით სააკაშვილის მიერ ზემოთხსენებული ბიზნესმენების შეწყალებამაც

ვერ უშველა. მართალია, ნაციონალური მოძრაობის მაღალჩინოსნები საკუთარი მმართველობის ბოლომდე ჯიუტად ამტკიცებდნენ, თითქოს ისრაელთან ყველაფერი რიგზეა, მაგრამ აშკარაა, რომ ურთიერთობა მხოლოდ ფასადურ დონეზე იყო შენარჩუნებული. ახალი ხელისუფლების პირობებში კი თანამშრომლობის აღდგენის მოლოდინი გაჩნდა, რაც ძირითადად ორ ქვეყანას შორის ერთმანეთის მიმართ სხვადასხვა სფეროში არსებული ინტერესით არის განპირობებული.

საქართველოსთვის ისრაელი საინტერესოა პირველ რიგში სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის თვალსაზრისით. სწორედ ამიტომაც პრემიერის ვიზიტის ფარგლებში ძირითადი ყურადღება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებების დაწყებას და სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციასა და გაუქმებას დაეთმო, რამაც ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობა ახალ საფეხურზე უნდა აიყვანოს. საქართველოსთვის ასევე მნიშვნელოვანია ებრაული ინვესტიციების მოზიდვა, რადგანაც ისრაელი მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთი მონინავეა უცხოეთში ინვესტირების მხრივ.

ისრაელისთვის კი საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესის გარდა დიდი სატრანზიტო მნიშვნელობაც აქვს. არაბულ სამყაროსთან არსებული რთული ურთიერთობის გამო ისრაელს ენერგორესურსების მოძიება და შექმნა შედარებით მოშორებულ რეგიონებში უწევს. სწორედ ამიტომაც ისრაელის ენერგოპოლიტიკაში კავკასიის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მაგალითად, იგი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენით გადაზიდული აზერბაიჯანული ნავთობის სიდიდით მეორე მომხმარებელია. უკანასკნელ წლებში ბაქოსა და იერუსალიმს შორის მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობა დამყარდა, რაც სამომავლოდ რამდენიმე საშუალო მასშტაბის ენერგოპროექტის განხორციელებას გულისხმობს. საქართველოს კი, როგორც სატრანზიტო ქვეყანას, ამ პროექტების წარმატებით განვითარებაში საკუთარი წვლილის შეტანა შეუძლია.

ორ ქვეყანას საერთო ინტერესები გააჩნია უსაფრთხოების სფეროშიც. ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული მზარდი ისლამური საფრთხე საქართველოს მშვიდად ყოფნის საშუალებას არ აძლევს, ისრაელს კი ისლამურ ტერორიზმთან ბრძოლის დიდი ცოდნა და გამოცდილება აქვს. თავის მხრივ ისრაელის უსაფრთხოება დიდადაა



დამოკიდებული მისი სადაზვერვო სამსახურების გამართულად მუშაობაზე, რომლებიც ისეთ მოშორებულ რეგიონებშიც აქტიურად მუშაობენ, როგორცაა სამხრეთ ამერიკა და ავსტრალია. ხოლო რაც შეეხება კავკასიას, რომელიც ახლო აღმოსავლეთის მეზობელი რეგიონია, მათთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მით უმეტეს, ირანთან დაპირისპირების პირობებში. სწორედ თეირანის გააქტიურება კავკასიაში აიძულებს ისრაელს უფრო აქტიურ თანამშრომლობაზე გადავიდეს კავკასიის ქვეყნებთან და არ მისცეს ირანს კავკასიის გავლენის ქვეშ მოქცევის საშუალება.

ირანს კი კავკასიაში მართლაც დიდი ინტერესები ამოძრავებს, ის ერთადერთი დიდი სახელმწიფოა რეგიონში, რომელსაც კავკასიის სამივე ქვეყანასთან ასე თუ ისე ნორმალური ურთიერთობა აქვს და კარგადაც სარგებლობს ამით. ირანულმა ბიზნესმა წლების განმავლობაში ფეხი მოიკიდა კავკასიაში და რამდენიმე წლის წინ ორმხრივად გაუქმებულმა სავიზო რეჟიმმა საქართველოსთან, მას გაფართოების მეტი საშუალება გაუჩინა. 20 ივნისს The Wall Street Journal-ში გამოქვეყნდა მასალა, სადაც დეტალურად არის გამოძიებული, თუ როგორ იყენებს ირანი საქართველოსთან არსებულ უვიზო რეჟიმს მასზე დაკისრებული საერთაშორისო სანქციებისთვის გვერდის ასავლელად. ირანის ეკონომიკურ ბლოკადაში მოქცევა კი, პირველ რიგში, სწორედ ისრაელის ინტერესებში შედის. სავარაუდოდ, ამიტომ დაუკავშირა ანალიტიკოსთა დიდმა ნაწილმა რამდენიმე დღის წინ საქართველოს მიერ ირანისთვის ცალმხრივად სავიზო რეჟიმის აღდგენა პრემიერის ისრაელში ვიზიტს. ■

■ საქართველოსთვის ისრაელი საინტერესოა პირველ რიგში სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის თვალსაზრისით. სწორედ ამიტომაც პრემიერის ვიზიტის ფარგლებში ძირითადი ყურადღება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებების დაწყებას და სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციასა და გაუქმებას დაეთმო, რამაც ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობა ახალ საფეხურზე უნდა აიყვანოს. საქართველოსთვის ასევე მნიშვნელოვანია ებრაული ინვესტიციების მოზიდვა, რადგანაც ისრაელი მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთი მონინავეა უცხოეთში ინვესტირების მხრივ.

"ჩვენ ახალ ტაძრებს ვაშენებთ"

დემის პოლანდოვი, „რადიო თავისუფლება/თავისუფალი ევროპის“ მიმოხილველი, რადიო „ეხო კავკასიას“ აფხაზური ბლოკის ხელმძღვანელი

ჩემს წინა სტატიას აფხაზური ეკლესიის ავტოკეფალიის გამო მონყობილი პლემბისციტის შესახებ, უნდა გამოვტყუდე, ქართველი მკითხველისგან ჩემთვის გასაკვირი დადებითი გამოხმაურება მოჰყვა. „ლიბერალის“ აუდიტორიის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, რა თქმა უნდა, ეს რეაქცია იმის მაჩვენებლად არ აღმიქვამს, თითქოს ქართული საზოგადოება მზადაა, აფხაზებს რელიგიის საკითხში თავისუფლება მიანიჭოს. ამას გარდა, არა მგონია, ჩემთვის პატივსაცემი ჟურნალის მკითხველებს შორის ბევრი იყოს ეკლესიური. აფხაზეთის საკითხის გადაწყვეტა კი სწორედ აქტიურ მორწმუნეებს – ეკლესიის მსახურებს და საერთო პირებს მოუწევთ.

დღეს ამ თემას ერთ-ერთი მკითხველისგან მიღებული კითხვის გამო ვუბრუნდები. მან მკითხა: „მინც რატომ აქვს აფხაზეთის ეკლესიას ავტოკეფალიის უფლება?“ მინერ-მონერის დროს მივხვდი, რომ კითხვის ავტორი ჩემგან ისტორიულ ექსკურსს მოელოს, ექსკურსს აფხაზეთის გაქრისტიანების ისტორიაში. როგორც ჩანს, მისთვის ჯერ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ბიჭვინთის ეპარქიის შესახებ მაქვს საამბობი, ადგილობრივი ეკლესიის მიერ თანდათანობით მოპოვებული ავტონომიურობის შესახებ, რომელიც აფხაზეთის სამეფოს მიერ ბიზანტიისგან მეტი და მეტი დამოუკიდებლობის მიღებასთან ერთად ძლიერდებოდა. ამას ალბათ იმ პერიოდის აღწერა უნდა მოჰყვეს, როცა აფხაზებს და ქართველებს ერთიანი სამეფო ჰქონდათ და როცა აფხაზეთის ეკლესიებში ნირვა-ლოცვამ ბერძნულიდან ქართულ ენაზე გადაინაცვლა. შემდეგ – ამ სახელმწიფოს დაშლის, დაუსრულებელი

შინაომების, მკვეთრი კულტურული დაქვეითებისა და ოსმალეთის იმპერიის მიერ დასაკუთრებული აფხაზეთიდან ქრისტიანობის თანდათანობითი განდევნის ამბავი. დაბოლოს, ახალი ისტორია – აფხაზეთი, რომელიც რუსეთის იმპერიაში შედის, შემდეგ ეს იმპერია იშლება, მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართული ეკლესია „თვითნებურად“ გამოეყოფა რუსულ ეკლესიას, და აფხაზეთის ეკლესიასაც, მისი ნების წინააღმდეგ, თან გაიყოლებს. ეს მდგომარეობა იოსებ სტალინმა დააკანონა, როცა პატრიარქ სერგისდროინდელი რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია აიძულა 1943 წელს ელიარებინა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია.

არ ვიცი, ამ ყველაფრიდან რას მიიჩნევს ქართული ეკლესია ისტორიის დამახინჯებულ ინტერპრეტაციად – ალბათ, უპირველეს ყოვლისა, თანამედროვე პერიოდის ჩემეულ გადმოცემას? თუ, იქნებ ვცდები, და ქართული ეკლესია პავლე ინგოროყვას თეორიას იზიარებს, რომლის მიხედვითაც აფხაზები ჩრდილოეთ კავკასიიდან მე-17 საუკუნეში არიან გადახვენილები და ბიჭვინთის ეპარქიასთან არანაირი კავშირი არ აქვთ?

თუმცა, ვფიქრობ, ამ ისტორიულ ექსკურსებს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. აფხაზური საკითხის გადაწყვეტა წარსულში კი არა, აწმყოსა და მომავალში ძვეს.

ჩემს წინა სტატიაში იმაზე კი არ ვწერდი, თითქოს აფხაზ ხალხს რაღაც განსაკუთრებული უფლებები აქვს, რადგან აფხაზეთში თავად მოციქულებმა იქადაგეს. ვწერდი, რომ ნებისმიერ ხალხს, ისეთსაც, რომელიც სვიმონ კანანელს, კირილეს, მეთოდეს ან წმინდა ნინოს ვერ

ელირსა, უფლება აქვს ღვთის სიტყვა მშობლიურ ენაზე ეხაროს. მე კითხვას ვსვამდი: ნუთუ მართლა თვლის ქართული ან რუსული მართლმადიდებლური ეკლესია, რომ ხალხს, რომელსაც ქრისტეს დაბადებიდან პირველ ათასწლეულში საკუთარი დამწერლობა არ შეუქმნია, უკუნითი უკუნისამდე უცხო, ან კი სრულიად გაუგებარ ენაზე აქვს მისჯილი ღვთისმსახურება და ნირვა-ლოცვა?

მაგალითად, არსებობს რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის პიატიგორსკის და ჩერქეზეთის ეპარქიები. შესაძლოა, ბევრნი არ არიან, მაგრამ არსებობენ მართლმადიდებელი ჩერქეზები. თუმცა, ეპარქიასა და ჩერქეზებს ერთმანეთთან არაფერი აკავშირებთ, მხოლოდ სახელწოდება. უფრო ზუსტად, ამ და სხვა რამდენიმე ეპარქიას ჩერქეზი მრევლიც ყავს, მაგრამ ისინიც ისეთივე მრევლი არიან, როგორც რუსები – წირვას რუსულ ენაზე ისმენენ და ყოველი ახალი თაობა მეტად და მეტად იფიქნებს, რომ ისინი ჩერქეზები არიან, კარგავენ საკუთარ ენასა და კულტურას. ამკარაა, რომ რუსეთის იმპერიაში რუსული ეკლესია ასიმილაციის მექანიზმად იყო ქცეული, და დღესაც, რუსეთის ფედერაციაში, იმავე როლს ასრულებს. ასიმილაციის პროცესისგან უფრო დაცულები ის ხალხები გამოდგნენ, რომლებიც ისლამს აღიარებენ.

არადა, იმის გახსენებაც შეიძლება, რომ ოდესღაც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ჯიქეთის ეპარქიაც არსებობდა. მის მიტოვებულ ტაძრებს დღეს დიდი სოჭის ოლიმპიური მშენებლობა ბუღდოზერებით ასწორებს მიწასთან. შეიძლება იმის ხსენებაც, რომ რუსულ-კავკასიური ომის დროს ჩრდილოკავ



ნათლისღების დღესასწაული, წყალკურთხევა, 19 იანვარი 2013

■ აფხაზები დღეს თავიანთ ნებას მხოლოდ პოლიტიკური კი არა, პირველ რიგში, საეკლესიო თავისუფლების მოსაპოვებლად გამოხატავენ. ეს, სხვათა შორის, წმიდა კულტურულოგიური კუთხითაც საინტერესო პროცესია.

ვკასიელი ხალხები ისლამს-მნიშვნელოვანწილად სწორედ რუსეთის იმპერიის პოლიტიკისადმი პროტესტის ნიშნად იღებდნენ. თუმცა ისლამზე მოუქცევდნენ დასავლურ ჩერქეზულ თემებს რუსული იმპერია ზუსტად ისევე მოექცა, როგორც დანარჩენებს – ადამიანები, რომლებსაც გულზე ჯვრები ეკიდათ, ზღვასთან მიიმწყდნენ და მათსავით „ნებაყოფლობით“ შედევენეს გემებზე, რომლებსაც თურქეთისკენ უნდა აეღოთ გეზი.

მაგრამ ამის გახსენება უკვე გვიანია. ახლა უკვე უპრიანია, იშვიათ დარჩენილ ქრისტიან ჩერქეზებს ის იშვიათი მართლმადიდებლები ვუნდოთ, რომლებიც თავს წინაპრებით ჩერქეზებს უწოდებენ. გრძნობს კი რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია პასუხისმგებლობას ჩერქეზული ქრისტიანობის წინაშე? ან რომელი ხალხი მიუყვანია რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიას ქრისტიანობასთან ისე, რომ თან მისი ასიმილაცია არ მოეხდინა?

მშვენივრად მესმის, რამდენად ფაქიზი და ფეთქებადი ეკლესიასთან დაკა-

ვშირებული საკითხები, და რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორიიდან ჩერქეზების მაგალითიც სწორედ ამიტომ მოვიტანე.

აფხაზები დღეს თავიანთ ნებას მხოლოდ პოლიტიკური კი არა, პირველ რიგში, საეკლესიო თავისუფლების მოსაპოვებლად გამოხატავენ. ეს, სხვათა შორის, წმიდა კულტურულოგიური კუთხითაც საინტერესო პროცესია. რატომ წამოიჭრა აფხაზეთში საეკლესიო დამოუკიდებლობის საკითხი ახლა, საქართველოსგან ფაქტობრივი დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 20 წლის თავზე, ასეთი სიმწვავეთ? აფხაზები ხომ მაინც და მაინც დიდი რელიგიურობით გამოირჩეული ხალხი არაა. აფხაზური მართლმადიდებლობის მთელი ისტორიის განმავლობაში სწორედ ნირვა-ლოცვის უცხო ენაზე ჩატარება მიმანდა იმ ფაქტორად, რომლის გამოც ამ მინაზე არქაული ტრადიციული რწმენები დღემდე შემორჩენილი.

აფხაზებს შორის, ახალგაზრდა ახალათონელი ბერების დამოძღვრით, ქრისტიანობის ნამდვილი აღორძინება ახლა

ინწყება. სწორედ ამიტომ, ახლა საუბარი კანონიკურ ტერიტორიებზე, საეკლესიო ქონებაზე, თვით აფხაზეთის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაზეც კი არ მაქვს, არამედ, უპირველეს ყოვლისა, რწმენაზე.

წმინდა მიტროპოლიამ აფხაზური მართლმადიდებლური თემის შექმნა მოახერხა. იგი, რა თქმა უნდა, აფხაზეთის მთელ მართლმადიდებლურ მოსახლეობას არ მოიცავს, და მას არც ყველა ეთნიკური აფხაზი შეერთებია. მაგრამ თემი უკვე არსებობს. როცა კონფლიქტი „ახალგაზრდა ღვთისმსახურებსა“ და მამა ბესარიონს შორის მხოლოდ ღვივდებოდა, ერთხელ მამა დოროთეს ვუთხარი: „ვაი-და ხელისუფლებამ მხარი არ დაგიჭიროთ და ახალი ათონის მონასტრიდან განგდევნონ?“ მან მაშინ მიპასუხა, რომ ეკლესია ადამიანებია, და არა შენობა. „ჩვენ ახალ ტაძრებს ავაშენებთ“, - თქვა მამა დოროთემ. სწორედ მაშინ მიგხვდი, რა ძალა ასულდგმულებდა ახალგაზრდა ბერებს: საკუთარი სულიერი შეილების მხარდაჭერა. და აი, ახლა, რამდენიმე წლის შემდეგ, საკუთარი მრევლის მხარდაჭერით, აფხაზეთის წმინდა მიტროპოლიის კლერიკალები მსოფლიო ეკლესიას მიმართავენ და ეპისკოპოსს საკუთარი თემის სამწყსოდ სთხოვენ ხელდასხმას.

პატიოსნად ვაღიარებ: არ ვიცი, როგორ იქნება სწორი აფხაზეთის საეკლესიო საკითხის გადაჭრა. ამიტომაც ამ ტექსტში ამდენი კითხვა. მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ აფხაზეთის ამ ახალი მართლმადიდებლური თემის შეუმჩნეველობა სწორი არ იქნება. ■



სტატია მომზადებულია ჰაინრიხ ბოლის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, „ლიბერალისა“ და ხსენებული ფონდის ერთობლივი პროექტის, „სამხრეთ კავკასიის ხმების“ ფარგლებში. სტატიაში გამოთქმული მოსაზრებები, მასში გამოყენებული ტერმინოლოგია, შესაძლოა, არ თანხვედბოდეს ფურნალის რედაქციისა და ბოლის ფონდის პოზიციას.



„თუ დამტკიცებულია, რომ კონკრეტული პიროვნება მონაწილეობას იღებდა წამებაში და მათთან საპროცესო შეთანხმება გაფორმდა, ეს ასე არ უნდა იყოს და ამას დამატებით გამოვიკვლევ. წამების ამსახველი არც ერთი კადრი არ მინახავს, არ დაგიმაღავთ, რადგან ამის დრო არ მქონდა“, –

ბიძინა ივანიშვილი, საქართველოს პრემიერ მინისტრი

„ამ ქმედებით, საქართველოს პრეზიდენტმა პირველ რიგში საკუთარ პარტიას, „ნაციონალურ მოძრაობას“ მიაყენა შეურაცხყოფა, ხუთშაბათის არჩევნების დღედ გამოცხადებით, ქვეყნისა და საზოგადოების მიმართ მისი დამოკიდებულება კარგად გამოჩნდა. მილიონ 200 ათასი მიგრანტი გვყავს, როგორ მიიღებენ ისინი არჩევნებში მონაწილეობას, არ ვიცი. ჩემთვის ეს აღმაშფოთებელი იყო“, –

ბიძინა ივანიშვილი, საქართველოს პრემიერ მინისტრი



„სამწუხაროდ, საქართველოში სახელმწიფო დონეზე არ არის შემუშავებული შრომის, ჯანმრთელობისა და სამუშაო გარემოს შესახებ თანმიმდევრული ეროვნული პოლიტიკა და შესაბამისად, არ არსებობს მონიტორინგის მექანიზმი, რამდენად არის დაცული სამუშაო ადგილებზე უსაფრთხო გარემო“, –

ურია ნანუაშვილი, საქართველოს სახალხო დამცველი



„კანონი მაძლევს იმის უფლებას, რომ დავრჩე თანამდებობაზე, მაგრამ ჩვენ სწორედ იმიტომ მოვედით ხელისუფლებაში, იმიტომ გვაქვს პრეტენზია ქვეყნის მართვის, რომ ახალი სტანდარტები და პოლიტიკური კულტურა დავნერგოთ. ბუნებრივია, როგორც კი დავინყებ საარჩევნო კამპანიას, მე გადავდგები, მიუხედავად იმისა, რომ კანონი ამას არ მავალდებულებს“, –

გიორგი მარგველაშვილი, განათლების მინისტრი, „ქართული ოცნების“

პრეზიდენტობის კანდიდატი



www.ucnobifm.ge



WWW.LIBERALI.GE

გვიპოვნეთ სოციალურ ქსელზე

მთავრებით



<http://twitter.com/LiberaliMagazine>



მთავრით

Facebook

<http://facebook.com/LiberaliMagazine>

გამოიწერეთ



<http://youtube.com/LiberaliMagazine>